პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 ოქტომბერი სამშაბათი 2013
№249 (14 165) ფასი 80 თეთრი



## სანამ ევროპული ჩემპიონატი სუსტია, ნაკრებს ყოველთვის გაუჭირდება

ინტერვიუ

2

# რონალდო თუ იბრა?



## ისინი წილისყრამ არ დაინდო: ერთ-ერთისთვის მუნდიალი არ იქნება!

8

მუნდიალი 2014. პლეი ოფის წილისყრა



## გალას ჯოკერი

### ბურჯანაძე საბონისის წინააღმდეგ

### უდანაკარგო ცინცაძე

ქართული ლეგიონი

12





არსენ ვენგერი

## რატომ არაამქვეყნიური

### მილანს სან სირო თუ დაიფარავს

ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის წინათქმა

9



იურგენ კლოპი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ჯანო ანანიძე: სანამ საქართველოს ჩემპიონატი სუსტია, ნაკრებს სულ გაუჭირდება



21 წლის ქართველმა ლეგიონერმა ჯანო ანანიძემ საფეხბურთო კლუბ „როსტოვის“ ოფიციალურ საიტს ინტერვიუ მისცა. შეგახსენებთ, რომ ჯანო ამ გუნდში „სპარტაკიდან“ იჯარით გადავიდა და თავი კარგადაც წარმოაჩინა. 5 საგოლე პასით ის მხოლოდ პორტუგალიელ დანის („ზენიტი“) ჩამორჩება.

**- „როსტოვმა“ ჩემპიონატი კარგად დაიწყო, შემდეგ კი ცოტა მოეშვა, რატომ?**

- ეს რთული კალენდრის ბრალია. ზედიზედ 4 მატჩის გამართვამ მოგვიწია გრანდებთან. როცა აგებ, ფსიქოლოგიურად იშლები. მაგრამ წინ კიდევ ბევრი მატჩია. ჩვენ ისევ ის ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, რომელსაც სეზონის დასაწყისში შედეგი მოჰქონდა. თუკი მოედანზე ერთმანეთთან არ ვიკინკლავებთ, ყველაფერი გამოგვივა. შედეგი მხოლოდ კოლექტიურმა თამაშმა შეიძლება მოგვიტანოს.

**- როგორია პირადად თქვენთვის ეს სეზონი?**

- პირველ ორ ტურში მხოლოდ შეცვლაზე შევდიოდი, შემდეგ კი ძირითად შემადგენლობაში მოვხვდი. მიოდრაგ ბოჟოვიჩი მენდობა და ეს ჩემს თამაშზეც აისახება. ასე რომ, „სპარტაკში“ დაბრუნება ჯერ არ მინდა.

**- კი მაგრამ, ვინ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას - თქვენ თუ მოსკოვური კლუბი?**

- „სპარტაკის“ ხელმძღვანელობას შეუძლია, ზამთრის შეკრებაზე გამომიძახოს. მაგრამ ვთხოვ მათ, რომ ეს არ გააკეთონ. მინდა „როსტოვში“ მთელი სეზონი გავატარო, სრულად აღვიდგინო ფორმა და მოსკოვში ზაფხულში დავბრუნდე - მეტი გამოცდილებით და საკუთარ ძალებში მეტი რწმენით.

**- თავად სად გსურთ თამაში?**

- ორი წლის წინათ ბევრი წინადადება მქონდა და არა მხოლოდ რუსეთიდან, მაგრამ მოსკოველებმა არ გამიშვეს. თუ „სპარტაკს“ ვუნდივარ, მე მზად ვარ, თუ არა და, მოვძებნი კარიერის გაგრძელების სხვა ვარიანტებს. მსურს, ძალები ევროპაში მოვსინჯო.

**- საერთო ჯამში, „სპარტაკში“ 5 წელი გაატარეთ, რით დაგამახსოვრდათ ეს პერიოდი?**

- როცა ვალერი კარპინი მოვიდა, პირველ გუნდში გადამიყვანეს და იქ ძალიან ბევრი დასამახსოვრებელი მატჩი ჩავატარე. 16 წლისამ რუსეთის თასზე „კრასნოდარს“ გავუტანე, ოქტომბერში უკვე ჩემპიონატში გავიტანე გოლი „ლოკომოტივის“ კარში... მაგრამ კარგს ცუდი ცვლიდა, ტრავმები, ოპერაცია, ახლახან მამა გარდამეცვალა... ის ძალიან დამაკლდა... ვგრძნობდი, როგორ ვკარგავდი საკუთარი ძალების რწმენას. მაშინ მტკიცედ გადავწყვიტე, რომ სათამაშო პრაქტიკისთვის სხვაგან გადავსულიყავი. „როსტოვმა“ ამის შანსი მომცა. მინდა ყველას დავუმტკიცო, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ.

**- რუსულ ფეხბურთში ფიზიკურ მზადყოფნას დიდ ყურადღებას აქცევენ, თქვენ კი... დიდი გაბარიტებით არ გამოირჩევით...**

> ვიცი, რომ უნდა მოვუმატო ფიზიკურად, ამაზე ვმუშაობ კიდეც, მაგრამ ალბათ ვერასოდეს შევიცვლი თამაშის სტილს

- რუსეთში მართლაც ძნელია, აი, ევროპაში კი ჩემნაირი აღნაგობის ფეხბურთელი ძალიან ბევრია. ისინი ტექნიკის, სისწრაფისა და სისხარტის წყალობით სჯობნიან მეტოქეებს. ვიცი, რომ უნდა მოვუმატო ფიზიკურად, ამაზე ვმუშაობ კიდეც, მაგრამ ალბათ ვერასოდეს შევიცვლი თამაშის სტილს. ან რა საჭიროა? ნებისმიერ ფლანგზე შემიძლია თამაში, თუნდაც ფორვარდების უკან... ისე, მარცხნივ უფრო მიყვარს თამაში, თუმცა ცაცია არ ვარ.

**- რუსეთის ჩემპიონატის დონეზე რას იტყვით?**

- დონის განსაზღვრის მთავარი ინდიკატორი ევროთასებია. „სპარტაკი“ უკვე გავარდა, „ყუბანი“ წარუმატებლად თამაშობს, „ზენიტს“ მხოლოდ ქულა აქვს... არადა, ეს გუნდი ჩემპიონატში ყველას ანადგურებს. ყველაზე უკეთ „რუბინი“ ასპარეზობს. არ ვამბობ, რომ რუსეთში დონე დაბალია, უბრალოდ, აქ არ არის ლამაზი ფეხბურთი, როგორც ეს მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებშია. ხანდახან ცუდ მოედნებზე ვთამაშობთ, ხშირად არის ნახევრად ცარიელი ტრიბუნები... ჩემი აზრით, სანახაობას ასუსტებს ის, რომ რუსეთში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა დაცვას.

**- როგორი აზრის ხართ ლეგიონერებზე დაწესებულ ლიმიტზე?**

- ფორმულა 7+4 სჯობს 6+5-ს, თუმცა ლიმიტი სულ რომ გააუქმონ, დიდებული იქნება. მესმის, რომ ამით იცავენ რუს ფეხბურთელებს, რომელთაც თამაში სურთ. თავის დროზე, „სპარტაკი“ რუსეთის მოქალაქეობას მთავაზობდა, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან ქართველი ვარ და საქართველოს ნაკრებში თამაში მსურს. ეს რომ არა, ჩემპიონატში უფრო გამიადვილდებოდა თავის გამოჩენა.

**- როგორი მენტალიტეტის უნდა იყოს ფეხბურთელი, რომ სხვა ქვეყანას კარგად შეეწყოს?**

- კალაძე ყვებოდა, რომ ლობანოვსკისთან ორი ვარჯიშის შემდეგ სახლში დაბრუნება სურდა, ისე გაუჭირდა დატვირთვების ატანა, მაგრამ ახლობლებმა მოთმინება ურჩიეს. მოითმინა და „მილანთან“ ერთად ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა.

**- ევროპის რომელი ქვეყნის ჩემპიონატი მოგწონთ?**

- ესპანეთის, იტალიის და ინგლისის ჩემპიონატებს ვუყურებ. ესპანური ლიგა ყველაზე მეტად მომწონს. 5 წლის ასაკიდან „ბარსას“ ფანი ვარ და მის თამაშებს არ ვაცდენ. ჩემი საყვარელი ფეხბურთელი რონალდოა - ბრაზილიელს მაშინაც ვგულშემატკივრობდი, როცა „რეალში“ თამაშობდა.

**- საქართველოს ჩემპიონატს თუ ადევნებთ თვალყურს?**

- კი, ვადევნებ. შემიძლია ვთქვა, რომ სანამ საქართველოს ჩემპიონატი არ მომძლავრდება, ნაკრებს გაუჭირდება. ჩვენ მეტი სტაბილურობა გვჭირდება. შეგვიძლია საფრანგეთს ბრძოლაში არაფერი დავუთმოთ და მერე წავაგოთ ფინეთთან. მონდომება არ გვაკლია, აი, კლასი კი... ნაკრების წევრთა 90% ლეგიონერია, მაგრამ ისინი ძირითადად რუსეთსა და უკრაინაში თამაშობენ. როცა ეროვნული ჩემპიონატი წელში გასწორდება, მას ტელერეიტინგი ექნება, ხალხი ივლის სტადიონებზე, მაშინ დაიწყებს ნაკრები კარგად თამაშს. აი, ამ საკითხებზე უნდა იმუშაონ ფეხბურთის ფედერაციაში.

**- როდის გამოიჩენენ თავს ქართული კლუბები ევროთასებზე?**

- დღეს ჩვენი მოწინავე კლუბების მიზანი ევროპალიგის ან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაა. წლეულს ახლოს იყვნენ მიზანთან „დინამო“ და „დილა“. სამწუხაროდ, არ გამოვიდა. ჩვენი კლუბებისთვის კარგი მაგალითი უნდა იყოს ბატე. ბელარუსის ჩემპიონატი საქართველოსას არაფრით სჯობს, თუმცა ბატე ახერხებს რეგულარულად ევროთასებზე წარმატებით თამაშს.

**- საქართველოში ტალანტი ყოველთვის ბევრი იყო. რატომ აღარ იწვევენ ქართველ ფეხბურთელებს ევროპაში?**

- როცა ახალგაზრდულში ვთამაშობდი, ხშირად მესმოდა, რომ ბიჭების უმეტესობას კარგი წინადადებები ჰქონდათ, თუმცა მერე რუსეთსა და უკრაინაში მიდიოდნენ სათამაშოდ. ჩემი აზრით, სჯობს მაინც ევროპაში სცადო ბედი.

**- რას იტყვით ეროვნული ნაკრების პერსპექტივაზე?**

- თემურ ქეცბაიამ აქცენტი ახალგაზრდობაზე გააკეთა. ცხადი იყო, რომ ესპანეთისა და საფრანგეთის გვერდით ძნელი იქნებოდა ჯგუფიდან გასვლა, შეუძლებელიც. ამიტომ, ამოცანა იყო ისეთი გუნდის შექმნა, რომელიც ევრო 2016-ის საგზურის მოპოვებისთვის იბრძოლებს. ჯერ არ ვიცით, ვინ გვეყოლება მეტოქედ, მაგრამ მიზანი გვაქვს - ევროპის საუკეთესო 24 გუნდში მოხვედრა.

> თავის დროზე, „სპარტაკი“ რუსეთის მოქალაქეობას მთავაზობდა, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან ქართველი ვარ და საქართველოს ნაკრებში თამაში მსურდა

**- ფეხბურთის გარდა, კიდევ რით ხართ დაკავებული?**

- კინოში სიარული მიყვარს, მაგიდის ჩოგბურთის და ბილიარდის თამაში. რუსეთში მეგობრებთან ერთად ქართულ რესტორნებში დავდივარ. საქართველოში კი ყველაზე მეტად სახლში ყოფნა მიყვარს. და კიდევ - ცნობილი ფეხბურთელების მაისურებს ვაგროვებ.

**- რამდენია თქვენს კოლექციაში?**

- 10-ზე მეტი. „ბარსელონასთან“ მატჩში მაისურა დანი ალვეშს გავუცვალე, „ჩელსისთან“ - ჯონ ტერის. მაქვს ბენზემას, ჩავის, კანავაროს მაისურები. ფეხბურთს რომ თავს დავანებებ, მუზეუმივით მოვაწყობ ერთ ოთახს და იქ გამოვკიდებ ყველას, მაგრამ იქამდე ჯერ ადრეა.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● ვიტ ჯორჯია

## ლაშა კასრაძე: შარშან მეტი სოლიდურობა იყო

მიუხედავად იმისა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ კარგი დროება არ უდგას, გუნდი ჯერჯერობით ნორმალურად გამოდის მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში, მეექვსე ადგილზეა და უკან გორის „დილა“ და „ზესტაფონიც“ ჰყავს მოტოვებული.

როგორ ახერხებს ამ ყველაფერს „ვიტ ჯორჯია“? პასუხი მარტივია - გუნდში ჯერაც შემორჩენილია რამდენიმე კვალიფიციური ფეხბურთელი, რომელთაც გამოცდილებაც უმაგრებთ ზურგს. ერთ-ერთი ასეთი ფეხბურთელია 24 წლის ლაშა კასრაძე. ის ისეთი მცველია, ბურთი რომ „იცის“, იშვიათად აკეთებს „პადკატს“, წართმევაც ეხერხება და პოზიციური თამაშიც, თავითაც ნორმალურად ირჯება და თუ საჭირო გახდა, საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციასაც გაართმევს თავს.

**წინა ტურში „ვიტ ჯორჯია“ „ზესტაფონს“ ესტუმრა და ქულას გამორჩა (1:1). მარგველთა კარში საპასუხო გოლი სწორედ კასრაძემ გაიტანა.**

*„შედეგით მთელი გუნდი კმაყოფილი ვართ. ჩვენი მთავარი მწვრთნელის, ზურაბ ბერიძის დავალება იყო, რომ ჩვენსავე ნახევარზე უნდა დავხვედროდით მოწინააღმდეგეს და ზონები გადაგვეკეტა. ამ ტაქტიკამ გაამართლა და ქულაც ავიღეთ“,* - გვითხრა კასრაძემ, რომელსაც რამდენიმე კითხვაც დავუსვით...

**- თქვენ მიერ გატანილ გოლზეც გვითხარით. ეს ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციის შედეგი იყო?**

- არა, უბრალოდ, სიტუაციის მიხედვით ვიმოქმედეთ. გიორგი კორიფაძემ ჯარიმა ჩააწოდა, პენალტის ნიშნულთან დასწრებაზე ვითამაშე და თავით დავარტყი კარში. ეს იყო და ეს.

**- ფრე ლოგიკურ შედეგად მიგაჩნიათ? თამაში ვისი უპირატესობით მიმდინარეობდა?**

- ტერიტორიული უპირატესობა, ბურთის ფლობის ხანგრძლივობა „ზესტაფონის“ მხარეს იყო, თუმცა მასპინძლებს ბევრი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ, გოლიც სტანდარტული სიტუაციიდან გაგვიტანეს.

**- „ვიტ ჯორჯიას“ ბოლო დროს პრობლემები შეექმნა და საინტერესოა, პირველ რიგში რის ხარჯზე ახერხებს გუნდი კონცენტრაციის შენარჩუნებას?**

- ბიჭები ერთმანეთს გვერდში ვუდგავართ. ჩვენი მიზანია, ფორმა შევინარჩუნოთ და მერე კარგ გუნდებში გადავიდეთ. პირადად მე, „ვიტ ჯორჯიაში“ კმაყოფილი ვარ, ამ კლუბში ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად.

**- „ვიტ ჯორჯიას“ მეორე გუნდში ხშირად გითამაშიათ საყრდენ ნახევარმცველად, პირველ გუნდში კი ამ ფუნქციის შესრულება იშვიათად გიწევთ. უფრო რა ამპლუაში ხედავთ საკუთარ თავს?**

- თუ გუნდს საყრდენ ნახევარმცველად დავჭირდები, ამ პოზიციაზეც უპრობლემოდ ვითამაშებ.

**- მიმდინარე სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ შედეგსა და თამაშის ხარისხზე რას იტყოდით?**

- ამ სეზონში ისე ვთამაშობთ, ჩავარდნა არ გვქონია. ქუთაისში „ტორპედოსთან“ 1:4 კი დავმარცხდით, მაგრამ ეს უფრო უიღბლობის ბრალი იყო. ნამდვილად არ გვქონდა წასაგები თამაში, მით უმეტეს - ამ ანგარიშით.

**- ეს ჩემპიონატი, ცოტა არ იყოს, უცნაურად მიმდინარეობს. ბევრი მოულოდნელი შედეგი ფიქსირდება და სტაბილური გუნდიც ძალიან ცოტაა...**

- ჩემი აზრით, წინა სეზონთან შედარებით, წელს სუსტი ჩემპიონატია. შარშან უფრო მეტი სოლიდურობა იყო.

**- „ვიტ ჯორჯიაში“ როგორ ხედავთ საკუთარ პერსპექტივას?**

- კონტრაქტი ამ სეზონის დასრულების შემდეგ მიმთავრდება. სავარაუდოდ, საშუასეზონო პერიოდში მივიღებ გადაწყვეტილებას.

**- ფაქტია, „ვიტ ჯორჯიაში“ არაერთი ისეთი ფეხბურთელია, მოწინავე ქართულ გუნდებს რომ მოუხდებოდათ...**

- გიორგი ჯანელიძე, გურამ ადამაძე... „ვიტ ჯორჯიაში“ მართლა არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც მზად არიან უკეთეს გუნდში გადასასვლელად.

**- და ერთიც: ხელოვნურ საფარზე რომ ვარჯიშობთ და ატარებთ საშინაო შეხვედრებს, ეს ხელის შემშლელი ფაქტორი ხომ არ არის?**

- არანაირად. ფეხბურთელები ამით უკმაყოფილონი არ ვართ, მინდორზე გადასვლა არ გვიჭირს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცნაური და უხვგოლიანი



ჯაბა დვალმა დუბლი შეასრულა

**ფრიდონ გეგეშიძის** ფოტო

**უცნაურზე უცნაური** ტური გამოდგა: ამ ჩემპიონატში პირველად მოხდა, როცა ტურის ექვსი მატჩიდან სამი შეხვედრა ფრედ დამთავრდა და სამივე ერთნაირი ანგარიშით - 1:1. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ სამივე შემთხვევაში („ზესტაფონი"-"ვიტ ჯორჯია", „დილა"-"ზუგდიდი", „ტორპედო"-"სიონი") მასპინძლები უპირობო ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ ამ ტურში კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ საქართველოს ჩემპიონატი მართლაც არაპროგნოზირებადი ტურნირია. ალარაფერს ვამბობთ ორ უხვგოლიან შეხვედრაზე, ასევე... ერთნაირი ანგარიშით (6:1) რომ დამთავრდა!

## შესაშური შედეგიანობა

VII ტურის ექვს მატჩში 20 გოლი გავიდა, მომდევნოში - 23, ახლა კი - 21; ანუ, სექტემბრის ბოლოდან მოყოლებული, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ უმაღლესი ლიგის ერთ მატჩში, საშუალოდ, სამ გოლზე მეტი გადის. არადა, პირველი ტურის (18 გოლი) გარდა, ყველა დანარჩენ შემთხვევაში საშუალო მაჩვენებელი ორი ბურთი ან ნაკლები იყო ხოლმე.

რა არის შედეგიანობის ასეთი მატების მიზეზი, ნამდვილად ვერ გეტყვით; თუმცა, ფაქტი რომ მისასალმებელია, ამას გვერდს ვერ ავუვლით და ბარემ ისიც ვისურვოთ, რომ შედეგიანობის ზრდასთან ერთად, საერთოდ, ჩვენი ჩემპიონატის დონეც ამაღლებულიყოს...

## რუსთაველქალაქობა ხშირად უნდა იყოს!..

„მეტალურგმა" ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია და „რუსთაველქალაქობის" დღეს დანიშნული მატჩი მოიგო! ასე იყო შარშანწინ (ვაკეში, „მიხეილ მესხზე" **ირაკლი მაისურაძის** ეფექტური გოლებით „დინამო" რომ დაამარცხა - 3:2), ასე იყო შარშანაც (შინ „სიონს" 1:0 რომ მოუგო) და ასე მოხდა ახლაც; თანაც, მოგებასაც ხომ გააჩნია: წინა ტურის მატჩთან შედარებით შესამჩნევად შეცვლილმა „მეტალურგმა" ამ სეზონში პირველად გაიმარჯვა დიდი ანგარიშით.

ამას გარდა, ორი უპრინციპულესი მატჩის წინ **გელა სანაიას** გუნდმა სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესა და ბურთების სხვაობაც „გამოასწორა". „მერანთან" მატჩში „მეტალურგის" ყველა ფეხბურთელი აშკარად მოტივირებული გამოიყურებოდა, თუმცა ცალკე აღნიშვნის ღირსნი არიან რუსთაველთა გუნდის გამოცდილი წევრები: 33 წლის **გრიგოლ ბედიაშვილმა**, სულ მცირე, ოთხ-ხუთ ეპიზოდში გადაარჩინა თავისი გუნდი აშკარა ხიფათს, 28 წლის **რევაზ გეწაძემ** ეფექტური გოლი გაიტანა, მისმა თანატოლმა **გოგა ფიფიამ** კი 20-წუთიან მონაკვეთში ორ საგოლე პასს ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმა მიუმატა.

სხვათა შორის, „მეტალურგმა" („ოლიმპმა") თავის ისტორიაში ასეთი ანგარიშით მეორედ გაიმარჯვა: 2008-09 წლების სეზონში **ვარლამ კილასონიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა „ბორჯომს" 6:1 მოუგო.

## დინამოს შემოდგომა

...2 სექტემბერს, ქობულეთში ჩატარებულ მატჩში თბილისის „დინამო", ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, ლანჩხუთის „გურიასთან" რომ დამარცხდა, აი, იმის მერე ჩვენს ტიტულიან გუნდს ველარავინ აჩერებს. თავად განსაჯეთ: **დუშან უპრინის** გუნდმა ჩემპიონატში ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგო, ერთიც სათასო შეხვედრა და ამ შვიდ დაპირისპირებაში მეტოქეთა კარში 30 გოლი გაიტანა!

თანაც, საქმე მხოლოდ შედეგიანობაში კი არ არის - არცთუ სუსტ კი არა, ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ მოწინავე გუნდთან, „ჩიხურასთან" მატჩში „დინამოს" თამაშის ხარისხიც მოეწონებოდათ თბილისელთა გუნდის ერთგულ ქომაგებს.

ისე, მართლაც საინტერესოა, სანამდე გაგრძელდება დინამოელთა მართლაც შთამბეჭდავი საშინაო სერია: დუშან უპრინის მოსვლის შემდეგ „დინამომ" ჩემპიონატში 21 მატჩი ჩაატარა საკუთარ მოედანზე და აქედან მხოლოდ ერთხელ ითამაშა ფრედ (წინა სეზონში - „დილასთან"), დანარჩენი 20 შეხვედრა კი მოიგო!

## ჩისკოსა და დვალის დაბრუნება

ამ ჩემპიონატის პირველ ტურში, როცა „დინამო" „ზესტაფონს" მასპინძლობდა, მატჩის ბოლო წუთზე **ჩისკოს** ზუსტმა დარტყმამ თბილისელებს გამარჯვება მოუტანა. ეს შეხვედრა 11 აგვისტოს ჩატარდა და იმის შემდეგ ესპანელი თავდამსხმელი გოლის გატანას ვერ ახერხებდა. და აი, ორ თვეზე მეტხნიანი პაუზის შემდეგ ჩისკომ კვლავაც გაიხსენა გოლის „გემო": „ჩიხურასთან" მატჩში 33 წლის ფორვარდმა „ჰეთ-თრიქი" შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ ეს ჩისკოს მეორე „ჰეთ-თრიქი" იყო საქართველოს ჩემპიონატში: პირველად კი წინა სეზონში შეასრულა... „ჩიხურასთან" მატჩში (5:2). აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში მხოლოდ მეორედ მოხდა, როცა ერთმა ფეხბურთელმა მეტოქის კარში სამი გოლი გაიტანა: წინა ტურის მატჩში თავი გამოიჩინა „დინამოს" რუმინელმა ლეგიონერმა, 29 წლის **დორინ გოგამ**.

იმედი დავიტოვოთ, რომ მალე ქართველი ფორვარდებიც შესძლებენ ამ შედეგის ჩვენებას, მანამდე კი **ჯაბა დვალზე** გვინდა ვთქვათ: „დინამოს" 28 წლის თავდამსხმელმა ერთთვიანი „მშრალი სერია" დაასრულა და ამ ტურში „დუბლი" შეასრულა. დვალსა და ჩისკოს 4-4 გოლი დაუგროვდათ და ბომბარდირთა დავაშიც ჩაებნენ, რომელსაც ჯერჯერობით კვლავაც **დიმიტრი ტატანაშვილი** („ჩიხურა") ლიდერობს.

## სხვადასხვა ფაქტი

გასულ ტურში ერთი „ავტოგოლი" დაფიქსირდა: „დინამოს" გამოცდილ მცველს, 34 წლის **გივი კვარაცხელიას** ბურთი მკერდზე მოხვდა და ისე შევარდა კარში; თუმცა, ამ ავტოგოლს შეხვედრის საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია და აქვე ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ სეზონის დაწყებიდან ეს მეოთხე ავტოგოლი იყო **პაპუნა ფონიავას** („მერანი"), **გიორგი რეხვიაშვილის** („ჩიხურა") და **გიორგი ხიდეშელის** („ტორპედო") შემდეგ.

ამ ტურის კიდევ ერთ ფაქტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: „დილას" საუკეთესო ბომბარდირმა **ირაკლი მოდებაძემ** ჩემპიონატში მეექვსე გოლი გაიტანა და კვლავაც აგრძელებს საუკეთესო ბომბარდირობისათვის ბრძოლას. არადა, 29 წლის ფორვარდს „ზუგდიდთან" შეხვედრაში „დუბლის" შესრულებაც შეეძლო, მაგრამ მის მიერ შესრულებული პენალტი სტუმართა არანაკლებ გამოცდილმა მეკარემ **ზურაბ მამალაძემ** მოიგერია. სხვათა შორის, 31 წლის მამალაძემ ამ სეზონში უკვე მეორე პენალტი მოიგერია (III ტურში, „მერანთან" შეხვედრაშიც იყოჩალა).

## ეს უკვე კანონზომიერებაა!

ჯერ პირველი წრეც არ დამთავრებულა, მაგრამ „სეზონის აღმოჩენის" ნომერ პირველ კანდიდატს „გურიას", ვეჭვობთ, ამ ნომინაციაში რომელიმე გუნდმა კონკურენცია გაუწიოს; ჰო, ჩემპიონატის სტარტიდან მოყოლებული, თითქმის ყოველ მეორე ტურში ლანჩხუთელთა გუნდის „საქმენი საგმირონზე" გვიხდება ყურადღების გამახვილება. ასეა ახლაც: უკრაინელი სპეციალისტის, **რომან პოკორას** ხელმძღვანელობით „გურიამ" მეორე მატჩი ჩაატარა და ორივეში გაიმარჯვა; რაც მთავარია, ლანჩხუთელებმა ნავსი გატეხეს და სტუმრად პირველი ქულებიც აიღეს.

## უიღბლო დებიუტი

„მეტალურგთან" მატჩში მარტვილის „მერანს" ახალი მწვრთნელი ხელმძღვანელობდა: წყალტუბოს „სამგურალის", ქუთაისის „ტორპედოს", „ზესტაფონის", აზერბაიჯანული „სიმურგისა" და უნგრული „დებრეცენის" ყოფილი ფეხბურთელი **კახა ჩხეტიანი**. 35 წლის ჩხეტიანს უიღბლო დებიუტი გამოუვიდა, მაგრამ იმ ქარიან ამინდში ჩატარებულ შეხვედრაში „მეტალურგი" ისეთი მოტივირებული ასპარეზობდა, ალბათ, სხვა ნებისმიერ მეტოქესაც იოლად გაუსწორდებოდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, „მერანი" არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა, თანაც დებიუტანტი-მწვრთნელი თამამად ენდო ახალგაზრდებს და 17-18-19 წლის შვიდი ფეხბურთელი ათამაშა!

## ლამაზი გოლები

წინა კვირიდან მოყოლებული, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის სპორტულმა რედაქციამ ყველასათვის საყვარელი გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვა" აღადგინა, სადაც სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად, ტურის ყველა მატჩის საინტერესო მომენტების ნახვა შეგვიძლია. ჰოდა, გუშინდელ გადაცემაში ამ ტურში გატანილ ყველა გოლს ნახავდით და, ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ამდენი ეფექტური გოლი ჩვენს ჩემპიონატში მართლაც იშვიათობაა.

ეგ კი არა, აღარც ვიცით, საიდან დავიწყოთ: **რევაზ გეწაძის** შორეული დარტყმაც ეფექტური იყო და **გოგა ფიფიას** შესრულებული საჯარიმოც, **ჩისკოს** ოსტატურად შესრულებული „სტანდარტული" ხომ კლასის გამოვლინება იყო, ისე როგორც „მერანის" ლიდერის, 33 წლის **შოთა ბაბუნაშვილის** „მოჭრილი" დარტყმა. არანაკლებ ეფექტური გოლები ვიხილეთ ქუთაისურ მატჩშიც: დიდ ფეხბურთში ორწლიანი პაუზის მერე დაბრუნებული **ირაკლი სამხარაძე** მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და მერე, მარჯვენა ფეხით ბურთი მეკარისგან მარცხენა მაღალ კუთხეში გაგზავნა!

30 წლის სამხარაძემ დაახლოებით ისეთი გოლი გაიტანა, 1995 წლის 11 ნოემბერს, თემურ ქეცბაიამ რომ „შეუსრულა" საქართველო-უელსის შეხვედრაში სტუმართა ვეტერან მეკარე **ნევილ საუთჰოლს**! სხვათა შორის, „ტორპედო"-"სიონის" მატჩის მეორე გოლიც არანაკლებ ეფექტური იყო: მასპინძელთა მართლაც ნიჭიერმა შემტევმა, 22 წლის **ნიკა საბანაძემ** ურთულესი მდგომარეობიდან ზუსტი თავური დარტყმით ბურთი „ცხრიანში" გაგზავნა!

**გია ტუხაშვილი**

## IX ტურის სიმბოლური ნაკრები




## II ლიგა

### დასავლეთი ზონა. VII ტური

| | |
|---|---|
| სამეგრელო-საირმე | 0:4 |
| საპოვნელა-დინამო 2 (ბთ) | 0:2 |
| კოლხეთი 2 (ფ)-ეგრისი | 0:1 |
| რაჭა-მარგვეთი 2006 | 4:1 |
| ლაზიკა-მერცხალი 2 | 3:0 |
| ძუთაისი-კოლხეთი 2 (ხ) | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 6 | 5 | 1 | 0 | 16-0 | 16 |
| 2. რაჭა | 7 | 5 | 0 | 2 | 15-12 | 15 |
| 3. მარგვეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-8 | 13 |
| 4. ეგრისი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-7 | 12 |
| 5. კოლხეთი 2 (ფ) | 7 | 4 | 0 | 3 | 14-14 | 12 |
| 6. დინამო 2 (ბ) | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| 7. საპოვნელა 2 | 7 | 3 | 1 | 3 | 14-15 | 10 |
| 8. ძუთაისი | 6 | 3 | 0 | 3 | 15-14 | 9 |
| 9. საირმე | 7 | 3 | 0 | 4 | 14-16 | 9 |
| 9. კოლხეთი 2 (ხ) | 7 | 2 | 1 | 4 | 12-12 | 7 |
| 11. შუქურა 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 8-11 | 7 |
| 12. მერცხალი 2 | 7 | 0 | 1 | 6 | 4-17 | 1 |
| 13. სამეგრელო | 6 | 0 | 1 | 5 | 2-18 | 1 |

### აღმოსავლეთი ზონა. VI ტური

| | |
|---|---|
| დინამო (ს)-საქ. უნივერსიტეტი | 0:3 |
| ბორჯომი-მარკ სტარი | 1:0 |
| ფორვარდი-გოლიადორი | 0:6 |
| იბერია-დურუჯი | 2:1 |
| ლიახვი-აბული | 3:0 |
| გურჯაანი-ივერიონი | 1:1 |
| არაგვი-ივერია | 3:5 |
| სასკო 2-რუსთავი | 0:3 |

### გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| გოლიადორი-ბორჯომი | 0:3 |
| საქ. უნივერსიტეტი-იბერია | 9:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 6 | 5 | 1 | 0 | 20-2 | 16 |
| 2. მარკ სტარი | 6 | 5 | 0 | 1 | 26-5 | 15 |
| 3. საქ. უნივერს. | 6 | 5 | 0 | 1 | 25-7 | 15 |
| 4. ლიახვი | 6 | 4 | 2 | 0 | 15-4 | 14 |
| 5. ივერია | 6 | 4 | 1 | 1 | 19-10 | 13 |
| 6. გოლიადორი | 6 | 4 | 0 | 2 | 16-12 | 12 |
| 7. ივერიონი | 6 | 2 | 3 | 1 | 11-8 | 9 |
| 8. არაგვი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-12 | 8 |
| 9. ალაზანი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| 10. დურუჯი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| 11. იბერია | 6 | 2 | 1 | 3 | 8-23 | 7 |
| 12. რუსთავი | 6 | 2 | 0 | 4 | 10-22 | 6 |
| 13. დინამო (ს) | 6 | 1 | 1 | 4 | 5-19 | 4 |
| 14. აბული | 6 | 0 | 1 | 5 | 3-13 | 1 |
| 15. ფორვარდი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-16 | 1 |
| 16. სასკო 2 | 6 | 0 | 0 | 6 | 3-19 | 0 |

ფეხბურთი და ფინანსები

# რა ბიუჯეტი ექნებათ სახელმწიფო კლუბებს მომავალ წელს?

8 ოქტომბერს პარლამენტის კომიტეტებში 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყეს. ეს პროცესი მალე უნდა დასრულდეს - 22 ოქტომბერს მთავრობას პროექტი შენიშვნებით უნდა გადაუგზავნონ. ჩვენთვის ეს თემა მნიშვნელოვანია, რადგან ქართული კლუბების უმრავლესობა სწორედ საბიუჯეტო დაფინანსებაზეა მიბმული...

ცნობილია, რომ არსებობს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანის პროექტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო საკლუბო ფეხბურთის თანადგომას აპირებს. ეს დაპირება მინისტრმა ახლახან გააჟღერა. ამ პოსტზე საფეხბურთო სამყაროდან მისულ ყიფიანს, ოპოზიციაში ყოფნის დროსაც და ახლაც, ამ პრობლემების მოგვარებაზე ბევრჯერ უსაუბრია. შეიძლება ითქვას, ეს მისთვის მთავარი თემა იყო.

ცოტა ხნის წინათ, მან „ლელოს" უთხრა, რომ საქართველოში ფეხბურთის განვითარების კონცეფცია უკვე არსებობს და დეტალების დაზუსტება მიმდინარეობს, პროექტზე კი შემდეგი განაცხადა: „დაფინანსებულ ობიექტებში მოვიაზრებთ საფეხბურთო სკოლებს, პირველი და უმაღლესი ლიგის კლუბებს თავიანთი ინფრასტრუქტურით... როცა ეს პროექტი საბოლოოდ დაიხვეწება, ჯერ ფინანსისტებს წარვუდგენთ და ამის შემდეგ გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის. ეს ზამთრის პერიოდში მოხდება. პროექტისთვის კი წელიწადში, სავარაუდოდ, 30 მილიონი ლარი გამოიყოფა, რომლის 25-30 პროცენტი უმაღლესი ლიგის კლუბებს მოხმარდება".

ცხადია, ამ პროექტის განხორციელებას ქართული კლუბები მოუთმენლად ელიან, რადგან ამით მათ ხანგრძლივ წვალებასა და არასტაბილურობას წერტილი დაესმება.

რა მდგომარეობაა ამჟამად? აქვთ თუ არა კლუბებს ამის შესახებ სახელმწიფოსა და ადგილობრივ სტრუქტურებთან მოლაპარაკება დაწყებული?

ამის შესახებ „ლელომ" კომენტარები სახელმწიფო კლუბების წარმომადგენლებს სთხოვა...

### სიონის მაქსიმუმი

**ლადო ბურდული**, ბოლნისის „სიონის" გენერალური დირექტორი: „ცხადია, მუშაობა დავიწყეთ და ბოლნისის მუნიციპალიტეტს „სიონის" 2014 წლის ბიუჯეტის ჩვენეული პროექტი წარვუდგინეთ. ახალი წლიდან კლუბს 2 მილიონი ლარის დაფინანსება სჭირდება. რას დაგვიმტკიცებენ, ჯერ არ ვიცით. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ „სიონს" სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობა არც მომავალ წელს დააკლდება. საბოლოო პასუხი კი დეკემბერში გვეცოდინება".

**მალხაზ ჭეჟია**, „ზუგდიდის" დირექტორი: „ჯერ ყველა არჩევნებზეა გადართული და ვერ ვაკონკრეტებთ, რა ბიუჯეტი გვექნება. მაგრამ ჩვენი ვარიანტი უკვე დაწერილია. ჩემი აზრით, ნორმალურად რომ ვიარსებოთ - ანუ, შეკრებები გავიაროთ, მოთამაშეები მოვამზადოთ, ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯები უზრუნველვყოთ, წელიწადში, მინიმუმ, 1.5 მილიონი ლარი მაინც გვჭირდება. იმედია, ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდება და „ზუგდიდი" ამბიციას შეინარჩუნებს".

**დიმიტრი სანაკოევი**, ცხინვალის „სპარტაკის" პრეზიდენტი: „ჩვენ ახალი წლისთვისაც იგივე დაფინანსებას ვიმედოვნებთ, როგორც წინა წელს. ანუ, მოთხოვნას 1.1-მილიონიან ბიუჯეტზე წარვადგენთ. თუმცა შესაძლებელია, ცხინვალის „სპარტაკი" არა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ, არამედ, სხვა პროექტებიდან დაფინანსდეს. საერთოდ, გვსურდა, რომ ხაშურში გადავსულიყავით, მაგრამ ჯერ ეს პროექტი ვერ ხორციელდება და თბილისში ვრჩებით".



### დილა: ინფრასტრუქტურა პლუს ბავშვთა ფეხბურთი

**ზვიად შერმადინი**, გორის „დილას" დირექტორი: „დღეისთვის, გუნდში ნორმალური მდგომარეობაა ახალი ბიუჯეტის პარამეტრებზე მუშაობა მიმდინარეობს. მართალია, გორის საკრებულოში ჯერ ადგილობრივი ბიუჯეტი არ განხილულა, მაგრამ ჩვენ თადარიგს ვიჭერთ საიმისოდ, რომ 2014 წელიც ნორმალურად ჩავატაროთ. მაგრამ ერთი უკვე დანამდვილებით ვიცით - გორს იმდენი შემოსავალი არ აქვს, რომ მხოლოდ საკუთარი რაიონის იმედად ვიყოთ. ამიტომ, აუცილებელია, „დილას" ცენტრალური ბიუჯეტიდანაც დაეხმარონ. დარწმუნებული ვარ, უფულოდ არ დაგვტოვებენ, მაგრამ გუნდები მხოლოდ რაიონის იმედად რომ დარჩნენ, ზოგს მეტი ექნება და ზოგს - ნაკლები. ჩემი აზრით, „დილას" წლიურად, მინიმუმ, 2 მილიონი ლარი მაინც სჭირდება. ამას გარდა, 3 სტადიონი გვაქვს და საფეხბურთო სკოლაა მოსავლელი, სადაც 500 ბავშვი უფასოდ ვარჯიშობს. ცხადია, ეს უზარმაზარი ხარჯია და ამ ყველაფერს 2 მილიონი არ ეყოფა... ჯერ არ ვიცი, რა პასუხს მივიღებთ. მომავალი წლის ბიუჯეტზე უკვე ველაპარაკე რაიონის ყველა ხელმძღვანელს - გამგებელს, საკრებულოს თავმჯდომარეს... ველოდებით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკრებულო".

### მოკრძალებული გურულები

**თემურ ალექსაია**, ლანჩხუთის „გურიას" სპორტული დირექტორი: „ბიუჯეტისთვის წარსადგენ მოთხოვნებზე მუშაობა გვიან დავიწყეთ, რადგან უცხოელი სპონსორის იმედი გვაქვს. თანაც, გუნდის საკუთრების ფორმის შეცვლა გვსურდა და „გურიას" შპს-ს ფორმით გადაკეთების საკითხიც განიხილებოდა. მაგრამ ჯერ სპონსორთან შეთანხმება ხელმოსაწერია და კლუბი კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება. ამიტომ, მხოლოდ კერძო სპონსორის იმედად ყოფნა გაუმართლებელი იქნებოდა. სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების საკითხებზე „გურიის" ფინანსისტი და ბუღალტერი მუშაობენ და თვის ბოლომდე ბიუჯეტის ჩვენეულ ვარიანტს შეადგენენ. ახლანდელი გათვლებით, 2014 წლისთვის დაახლოებით მილიონიანი ბიუჯეტის მოთხოვნას წარვადგენთ. საქმე ისაა, რომ წლის ბიუჯეტი 600 ათასი ლარი უნდა იყოს. მაგრამ ერთი თვის ხელფასისა და ბოლო ორი მატჩის პრემიებისა და ბანკების დავალიანებები დაახლოებით 400 ათასამდეა და მისი გასტუმრებაც გვჭირდება. ანუ, ამ ყველაფერს ვითვალისწინებთ. ყველა ვალის გასასტუმრებლად და ხარჯებისთვის 1 მილიონი ლარი მაინც დაგვჭირდება. სიმართლე გითხრათ, პრობლემები მოულოდნელმა წარმატებებმა შეგვიქმნა. კარგად იცით, რომ „გურიამ" უკვე 5 შეხვედრა მოიგო და ხარჯიც გაიზარდა. ცხადია, უმაღლესი ლიგის გუნდისთვის მილიონი ლარიც მეტისმეტად მცირე თანხაა, მაგრამ ჩვენ საერთო მდგომარეობას ვითვალისწინებთ".

### ზესტაფონი: დახმარება იქნება, მაგრამ... ჯერ არჩევნები

სახელმწიფოსგან მცირე დახმარებას წლეულს პირველად ელის კერძო საკუთრებაში მყოფი „ზესტაფონიც". კლუბის მეპატრონე **ილია კოკაიამ** დასრულებული სეზონის შემდეგ ჩემპიონატიდან გასვლის სურვილი სახელმწიფოსგან „აგდებული დამოკიდებულების" გამო გამოხატა.

მთავრობა და კლუბი კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმდნენ - ინფრასტრუქტურასა (ბაზა, სტადიონი) და მის პერსონალს მუნიციპალიტეტი დააფინანსებდა, ხოლო საფეხბურთო საქმეებს კერძო ინვესტორი, ანუ - თავად „ზესტაფონის" მეპატრონე კოკაია მიხედავდა. თუმცა იანვრამდე მუნიციპალიტეტისგან დახმარება ვერ იქნება, რადგან რაიონის ბიუჯეტი წინასწარ გაწერილია. სამაგიეროდ, საკრებულოსგან იყო დაპირება, რომ სტადიონსა და ბაზაზე შუქისა და წყლის პრობლემა აღარ შეიქმნებოდა.

დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ „ზესტაფონი" რაიონისგან მიზერულ თანხას ელის. ლაპარაკია ინფრასტრუქტურის (ბაზისა და სტადიონის) კომუნალურ გადასახადებზე, რაც 225 ათას ლარს შეადგენს და ინფრასტრუქტურის შენახვის ხარჯებს ანაზღაურებს. მაგრამ ჯერ ახალი არაფერია. ფეხბურთისთვის არჩევნების შემდეგ მოიცლიანო - ამის იმედი აქვთ „ზესტაფონში".

***საერთოდ, ფეხბურთი ის სფერო არ არის, რომლისთვისაც პოლიტიკის შემდეგ იცლიან. მას არც თავისით ეშველება - მიზანმიმართული შრომა და დაფინანსებაა საჭირო. ამიტომაც დავინტერესდით საკითხით ბიუჯეტის დამტკიცებამდე, თორემ ურემი რომ გადაბრუნდება და ზაფხულში კლუბები ჯიბეგამოფხეკილები დარჩებიან, მერე გვიან იქნება...***

**მერაბ მამულაშვილი**

ზუგდიდი

# ზვიად სიხარულია

# თუ პირობები არ იქნა, სხვა გუნდში გადასვლაზე ვიფიქრებ

**„ზუგდიდმა" გორიდან მსუყე ქულა წაიღო, „დილასთან" 1:1 ითამაშა, ანგარიში კანცაკლულმა გაათანაბრა... ამ შეხვედრაში ზუგდიდელთა 21 წლის ნახევარმცველი ზვიად სიხარულია ერთ-ერთი საუკეთესო იყო, გამათანაბრებელი გოლიც მან გაიტანა.**

**სიხარულია ტექნიკური შუახაზელია, ბურთს კარგად ფლობს, პასიც არ დაეწუნება და თამაშის გამწვავებაც ეხერხება. „დილასთან" მან ლიდერივით ითამაშა და გოლის გარდა, სხვა სარგებელიც მოუტანა გუნდს...**

**„ზუგდიდში" არაერთი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს, თუმცა ამ გუნდს ჯერ ვერ მისდის საქმე კარგად და ცხრილის ქვედა ნაწილშია.**

**სიხარულიასთან ინტერვიუ სწორედ „დილასთან" მატჩით დავიწყეთ...**



ზვიად სიხარულია (წინა პლანზე) ნონო გელაშვილის ფოტო

**- „დილასთან" მიღწეული ფრით ალბათ ძალიან კმაყოფილი ხარ...**

- კარგი თამაში გამოვიდა, საინტერესო... ათი კაცით დავრჩით და მაინც მოვახერხეთ გოლის გატანა. ძალიან მოვინდომეთ, რაც შედეგშიც აისახა.

**- ამ მატჩისთვის რა დავალება მოგცათ მწვრთნელმა?**

- განსაკუთრებული არაფერი. პირველი ტაიმის მერე კი გვითხრა, მეტოქეს მისსავე ნახევარზე ეთამაშეთ მჭიდროდ, პრესინგი მოუწყვეთო. ასეც მოხდა, მწვრთნელის ტაქტიკამ გაამართლა, სასიკეთოდ დაეტყო ჩვენს თამაშს.

**- ფრით კმაყოფილი კი არის „ზუგდიდი", თუმცა მეტიც შეგეძლოთ...**

- ბოლო წუთზე სამნი დავრჩით ერთი მცველისა და მეკარის წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი კარგი შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ. ეტყობა, გამოცდილება არ გვეყო, გამოცდილი გუნდი ასეთ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა. გორის „დილასაც" ჰქონდა საგოლე მომენტები, თუმცა ჩვენი შანსი უფრო რეალური იყო. თუ „ზუგდიდი" მოინდომებს, საქართველოს ყველა გუნდს გაუწევს კონკურენციას, „დილასთან" რომ მონდომებული იყო, ასეთი მანამდე არ მინახავს.

**- გუნდში ორი გამოცდილი ფეხბურთელი დარჩა - ზურაბ მამალაძე და როინ ონიანი, თუმცა მხოლოდ მათი გამოცდილება, ალბათ, არ კმარა...**

- ეგვიპტელი მეგაჰედიც არანაკლებ გამოცდილია, თუმცა ჯერ არ არის სათანადო ფორმაში. როცა ოპტიმალურ კონდიციებს მიაღწევს, მერე უფრო გამოადგება გუნდს.

**- „დილასთან" გამთამაშებელი იყავით. ამ ამპლუას როგორ ეგუებით?**

- გორში თავდამსხმელის უკან კი ვითამაშე, მაგრამ ნომინალურად საყრდენი ნახევარმცველი ვარ და ამ პოზიციაზე თავს კომფორტულად ვგრძნობ, თუმცა მიმაჩნია, რომ „დილასთან" ცუდად არ გამოვიყურებოდი.

**- ფრე მნიშვნელოვნად განაპირობა ლუკა გუგუჩიას თამაშმაც...**

- ასეა. მან ჩინებული პასი მომცა, რომლის მერე მცველი ვარდნაში კი ცდილობდა ბურთისართმევას, მაგრამ მაინც მოვახერხეთ გოლის გატანა.

**- სად ვარჯიშობს „ზუგდიდი"? როგორია ამ მხრივ პირობები? ალბათ, დასამალი არ არის, რომ არცთუ სახარბიელო სიტუაცია გაქვთ...**

- ჯერ რუხის მოედანზე ვვარჯიშობდით, მერე კი, კობა წიტაიშვილის („ზუგდიდის" მწვრთნელი - რედ) მცდელობით, უკვე „ბაიას" ბაზაზე გადავედით. სავარჯიშო პირობების მხრივ, რუხში კატასტროფა იყო...

**- შეკრებისას „ბაიას" ბაზაზე ხართ ხოლმე?**

- არა, კლუბი თამაშის წინა დღეს სასტუმროს ქირაობს.

**- ზუგდიდში ახალი სტადიონის აშენებაზე რომ იყო ლაპარაკი, ამ მხრივ რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

- თვეების წინ ამბობდნენ, კომბინატში უნდა აშენდეს სტადიონიო, თუმცა ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, ტყუილი გამოდგა. ასე რომ, ისევ განმუხურში მოგვიწევს საშინაო შეხვედრების ჩატარება.

**- მერედა, „ზუგდიდის" გულშემატკივარი დადის განმუხურში?**

- როცა ზუგდიდში ვთამაშობდით, მაყურებელი მოდიოდა, ახლა კი... განმუხურში ჩვენს მატჩებს 30-50 კაცი ესწრება. მოედანი ნორმალურია, ისეთი არ არის, როგორიც, მაგალითად, გორში, მაგრამ ბურთის კარგად გაგორება შეიძლება.

**- ფინანსური სიტუაცია როგორია კლუბში?**

- „სიონთან" მოგებისა და „ტორპედოსთან" ფრის პრემიაა დასარიგებელი და ამ თვის ხელფასი - სხვა დავალიანება არ არსებობს.

**- სხვა გუნდებიდან გაქვთ შემოთავაზება?**

- იყო შემოთავაზება რამდენიმე ქართული გუნდისგან - „ზესტაფონი", „ტორპედო"... მაგრამ „ზუგდიდთან" კონტრაქტი მაკავშირებდა და კლუბმა არ გამიშვა, იანვრიდან კი თავისუფალი აგენტი გავხდები და თუ „ზუგდიდში" კარგი პირობები არ იქნა, სხვა გუნდში გადასვლაზე ვიფიქრებ.

**- ისე, „ზუგდიდში" არაერთი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს. როგორ ფიქრობთ, ამ კონტინგენტით რა პერსპექტივა აქვს გუნდს?**

- შემადგენლობას რაც შეეხება, ყველა კარგი ფეხბურთელია, თუნდაც ნიკა აფაქიძე და რომეო კანკია. სავარჯიშო პირობები უნდა შეუქმნან ამ ახალგაზრდებს, ფეხბურთში მთავარი სწორედ პირობებია.

**- საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გითამაშიათ. ასაკი ხელს გიწყობთ, რომ ისევ მოხვდეთ 21-წლამდელთა გუნდში...**

- როგორც ჩანს, ალექსანდრე ჩივაძეს სხვა ხედვა აქვს. ახალგაზრდულ ნაკრებში ბოლოს ორი წლის წინათ ვითამაშე, შვეიცარიასთან 0:5 რომ წავაგეთ. მაშინ გუნდს სოსო ჭედია თავკაცობდა...

**დავით თავართქილაძე**

| U17 |
|---|
| ბოლო ტური |
| 22 ოქტომბერი |
| თბილისი. მიხეილ მესხი |
| პოლანდია-საქართველო 15:30 |
| გორი. თენგიზ ბურჯანაძე |
| ფარერები-სან მარინო 15:30 |

საინტერესო სტატისტიკა

# ტორპედოს დაცვა ევროპის ტოპათეულში

ცნობილმა საფეხბურთო ინტერნეტ-გამოცემა goal.com-მა საინტერესო სტატისტიკა გამოაქვეყნა - ევროპის მასშტაბით მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატების განვლილი ეტაპების მიხედვით, საუკეთესო დაცვის მქონე 10 კლუბი გამოვლინა. სასიხარულოა, რომ მათ შორის ქუთაისის „ტორპედოც" მოხვდა. სტატისტიკური კვლევა ბოლო უქმეების მატჩებამდე გამოქვეყნდა, ანუ მაშინ, როცა ქუთაისელებს 8 თამაშში 4 გოლი ჰქონდათ გაშვებული და ამ მაჩვენებლით მე-10 ადგილზე იმყოფებოდნენ. ტოპათეული ასე გამოიყურება:

| კლუბი | გგ | თ | სა |
|---|---|---|---|
| რომა (იტა) | 1 | 7 | 0.14 |
| ოლიმპიაკოსი (საბ) | 1 | 7 | 0.14 |
| საუთჰემპტონი (ინგ) | 2 | 7 | 0.29 |
| ბაიერნი (გერ) | 3 | 8 | 0.38 |
| ფოლა (ლუქ) | 3 | 8 | 0.38 |
| ჩუკარიჩკი (სერ) | 3 | 8 | 0.38 |
| პარტიზანი (ალბ) | 3 | 6 | 0.43 |
| სტანდარდი (ბელ) | 4 | 10 | 0.40 |
| ლილი (საფ) | 4 | 9 | 0.44 |
| ტორპედო (საქ) | 4 | 8 | 0.50 |

*გგ - გაშვებული გოლი; თ - თამაში; სა - საშუალო მაჩვენებელი.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. ტორნეო ინისიალი. XII ტური

# ძალიან საინტერესო და გოლუხვი ტური


„სან ლორენსოს“ უნიჭიერესმა ანხელ კორეამ მოაგებინა

**კილმესი-ატლ. რაფაელა 1:1**

**გოლები:** 0:1 კანუე (33), 1:1 ა. გონსალესი (71)

**არ. ხუნიორსი-ესტუდიანტესი 1:0**

**გოლი:** 1:0 დ. ვილიალვა (32)

**რასინგი-ველესი 0:1**

**გოლი:** 0:1 სარატე (21)

**კოლონი-ლანუსი 0:3**

**გოლები:** 0:1 დ. გონსალესი (45), 0:2 ვ. აიალა (57), 0:3 მელანო (79)

**გაძევება:** მანსილია (43. კოლონი)

**სან ლორენსო-ოლ ბოისი 3:0**

**გოლები:** 1:0 ა. კორეა (44), 2:0 ა. კორეა (75), 3:0 ე. ვილიალბა (85)

**როსარიო-ნიუელსი 2:1**

**გოლები:** 1:0 ა. დონატი (12), 1:1 მაქსი როდრიგესი (16), 2:1 ენსინა (29)

**ხიმნასია-ოლიმპო 2:2**

**გოლები:** 1:0 ი. ფერნანდესი (24), 1:1 მუსტო (65), 1:2 ვულეტიჩი (74), 2:2 ფ. პერეირა (78)

**ტიგრე-არსენალი 2:1**

**გოლები:** 0:1 კარალიო (66), 1:1 პერეს გარსია (75), 2:1 ბორდაკაარი (77)

**გოდოი კრუსი-ბოკა 2:2**

**გოლები:** 0:1 ჟიგლიოტი (31), 1:1 ხ. ფერნანდესი (38), 2:1 ობოლო (48), 2:2 კ. პერესი (90-პენ)

**გაძევება:** ლერტორა (73. გოდოი კრუსი)

**რივერი-ბელგრანო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 12 | 8 | 2 | 2 | 18-9 | 26 |
| 2. სან ლორენსო | 12 | 7 | 2 | 3 | 19-9 | 23 |
| 3. არსენალი | 12 | 6 | 5 | 1 | 14-7 | 23 |
| 4. ბოკა | 12 | 6 | 3 | 3 | 16-14 | 21 |
| 5. ატლ. რაფაელა | 12 | 6 | 2 | 4 | 15-15 | 20 |
| 6. გოდოი კრუსი | 12 | 5 | 4 | 3 | 11-6 | 19 |
| 7. ხიმნასია | 12 | 5 | 4 | 3 | 14-15 | 19 |
| 8. არ. ხუნიორსი | 12 | 5 | 2 | 5 | 10-13 | 17 |
| 9. ლანუსი | 12 | 4 | 4 | 4 | 17-8 | 16 |
| 10. ბელგრანო | 12 | 4 | 4 | 4 | 16-13 | 16 |
| 11. ველესი | 12 | 4 | 4 | 4 | 14-12 | 16 |
| 12. ესტუდიანტესი | 12 | 3 | 7 | 2 | 10-8 | 16 |
| 13. რივერი | 12 | 4 | 3 | 5 | 8-7 | 15 |
| 14. ტიგრე | 12 | 4 | 3 | 5 | 10-12 | 15 |
| 15. როსარიო | 12 | 4 | 3 | 5 | 12-15 | 15 |
| 16. კილმესი | 12 | 4 | 2 | 6 | 7-15 | 14 |
| 17. ოლ ბოისი | 12 | 2 | 5 | 5 | 9-12 | 11 |
| 18. ოლიმპო | 12 | 2 | 5 | 5 | 13-18 | 11 |
| 19. კოლონი | 12 | 3 | 2 | 7 | 6-14 | 11 |
| 20. რასინგი | 12 | 0 | 2 | 10 | 3-20 | 2 |

**ბომბარდირები:** 6 - ფურჩი (არსენალი), მაქსი როდრიგესი (ნიუელს ოლდ ბოისი), ჟიგლიოტი (ბოკა ხუნიორსი); 5 - კაუტერუჩიო (სან ლორენსო), მატოსი (ოლ ბოისი)

**არგენტინის** ჩემპიონატის მორიგი ტური საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა - 10 შეხვედრაში გუნდებმა 24 გოლი გაიტანეს, რაც ამ ქვეყნის პირველობისთვის საკმაოდ კარგი შედეგია. საინტერესოა, რომ ერთადერთი მატჩი, რომელიც უგოლოდ დასრულდა, წესით, ყველაზე უხვგოლიანი უნდა ყოფილიყო...

## ტრაგიკომედია მონუმენტალზე

მართლაც ტრაგიკომედია იყო ის, რაც „მონუმენტალზე“ ხდებოდა - „რივერ პლეიტის“ და „ბელგრანოს“ ფეხბურთელები მომენტს მომენტზე ანიავებდნენ, **ტეო გუტიერესმა** კი პენალტიც ვერ გამოიყენა. გუნდებს 10-მდე ისეთი მომენტი ჰქონდათ, გულშემატკივრები და სპეციალისტები 100-პროცენტიანს რომ ეძახიან, აქედან უმეტესობა „ბელგრანოს“ კართან შეიქმნა, მაგრამ „მილიონარიოსის“ ფეხბურთელები დამაგვირგვინებელ ფაზაში წარმოუდგენლად ცუდად თამაშობდნენ.

**რამონ დიასის** შეგირდებმა, უამრავი მცდელობის მიუხედავად, სტუმართა კარს გასაღები ვერ მოარგეს. კარგი შანსები ჰქონდათ **მარკესს** და ცვლილებაზე გამოსულ **მახიოლოს**, მაგრამ იმ ეპიზოდებში უკვე „რივერს“ გაუმართლა. საბოლოოდ, მატჩი, რომელიც სარეკორდო ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო, არგენტინისთვის ბანალური შედეგით, 0:0 დასრულდა.

## როსარიომ დერბიში იძალა

ტურის კიდევ ერთი გამორჩეული მატჩი როსარიოში გაიმართა, სადაც ქალაქის დერბიში „სენტრალმა“ მოქმედ ჩემპიონს აჯობა. „ნიუელსს“ სანაკრებო შეკრებიდან **მაქსი როდრიგესი** დაუბრუნდა და ვეტერანმა მორიგი გოლიც გაიტანა - მაქსიმ თავის გამოჩენა ტორნეო ინისიალის ბოლო ხუთ შეხვედრაში შეძლო და ბომბარდირთა დავაში კვლავ პირველ ადგილზე გადავიდა. „როსარიომ“ წინა ტურში „ბომბონერადან“ ქულა წაიღო, ამჯერად კი ყველაზე საძულველ მეტოქეს სძლია და თანაქალაქელი 2007 წლის შემდეგ პირველად დაამარცხა. ამ წაგებით, „ნიუელსმა“ 5-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა, თუმცა გუნდი კვლავ პირველ პოზიციაზეა, რადგან ამ ტურში ვერც მისმა კონკურენტებმა იხეირეს.

## არსენალის პირველი წაგება

სარანდის „არსენალის“ წარმატებული კვირა სეზონში პირველი მარცხით დასრულდა. „მეთოფეებმა“ წინა ტურში „სან ლორენსოს“ მოუგეს, შუა კვირაში კი იმავე გუნდთან არგენტინის თასის ფინალში იმარჯვეს და ტიტულს დაეუფლნენ. როგორც ჩანს, **გუსტავო ალფაროს** გუნდი გადაიღალა. მიუხედავად იმისა, რომ „არსენალი“ 66-ე წუთზე დაწინაურდა, „ვეფხვები“ არ დანებდნენ და 2-წუთიან მონაკვეთში **კრისტიან კამპესტრინის** ორი გოლი გაუტანეს - ჯერ, თავი **მატიას პერეს გარსიამ** გამოიჩინა, შემდეგ კი მისი პასით 21 წლის **კრისტიან ბორდაკაარმა** იხეირა. ახალგაზრდა ფეხბურთელმა „ტიგრეს“ რიგებში პირველი გოლი გაიტანა და „არსენალს“ 15-მატჩიანი (ჩემპიონატში და თასზე) წაუგებელი სერია შეუწყვიტა.

## პალერმომ ბოკას არაფერი დაუთმო

**მარტინ პალერმოს** „გოდოი კრუსი“ „ბოკა ხუნიორსის“ დამარცხებასთან ახლოს იყო, მაგრამ 10-კაცით დარჩენილმა მასპინძლებმა არბიტრის მიერ დამატებულ მე-5 წუთზე საკუთარ საჯარიმოში იუხეშეს, 11-მეტრიანი კი სტუმართა მცველმა **კლაუდიო პერესმა** გამოიყენა და დედაქალაქელებს ქულა მოუტანა. პერესმა „ბოკას“ რიგებში პირველი გოლი გაიტანა და ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ პენალტის შესრულება მას მიანდეს, რადგან მოედანზე **რიკელმე, მინიო, მარტინესი** და **ჟიგლიოტი** იმყოფებოდნენ. ანგარიში სწორედ ამ უკანასკნელმა გახსნა, რასაც მენდოსელთა მხრიდან **ხოსე ფერნანდესის** და **მაურო ობოლოს** გოლები მოჰყვა.

მართალია, **კლაუდიო ბიანკის** გუნდს უკვე 6 მატჩია არ წაუგია, მაგრამ ამ 6 შეხვედრიდან გუნდმა 3 ფრედ დაასრულა, მათ შორის ბოლო ორი მატჩი. შედეგად, „ბოკას“ და ლიდერ „ნიუელსს“ შორის სხვაობა 5 ქულაა.

მიმდინარე სეზონში თავისი პირველი გოლები გაიტანა 18 წლის **ანხელ კორეამ**, რასაც 19 წლის **ექტორ ვილიალბამ** ერთიც დაამატა, „სან ლორენსომ“ კი „ოლ ბოისს“ 3:0 მოუგო და მე-2 ადგილზე გადავიდა.

● ამბები

## ერერა ოფიციალურად

„ლელოს“ ერთ-ერთ წინა ნომერში მოგახსენეთ, რომ **ვიქტორ მანუელ ვუჩეტიჩის** გაშვების შემდეგ, მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის, „ამერიკას“ დამრიგებელი **მიგელ ერერა** უნდა გამხდარიყო. მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ ეს ცნობა ოფიციალურად დაადასტურა - 45 წლის ერერა ბოლო 6 კვირის განმავლობაში „ელ ტრის“ მე-4 მწვრთნელია, თუმცა მას დროებითი დამრიგებლის სტატუსი აქვს და სამსახური მხოლოდ ახალ ზელანდიასთან გასამართავი ორი საპლეიოფო მატჩისთვის აქვს გარანტირებული. თუ მექსიკა ამ ბარიერს გადალახავს და მუნდიალის საგზურს მოიპოვებს, მაშინ, დიდი ალბათობით, ბრაზილიაში გუნდს სწორედ ერერა წაიყვანს.

მიგელ ერერა „ამერიკას“ 2011 წლიდან წვრთნის, წინა სეზონში კი გუნდს ჩემპიონის ტიტული მოუტანა. ფეხბურთელობისას, სპეციალისტს მექსიკის ნაკრებში 14 თამაში აქვს ჩატარებული.

## მწვრთნელი ფანის წინააღმდეგ

„კილმესის“ და „ატლეტიკო რაფაელას“ მატჩის დასრულების შემდეგ (1:1), მასპინძლეთა დამრიგებელი, არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, **ნელსონ ვივასი** სკანდალში გაეხვა - საფინალო სასტვენის შემდეგ, ვივასი ერთ-ერთ გულშემატკივარს მიეჭრა, რომელიც მას მატჩის დროს ლანძღავდა. შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა, რის შემდეგაც მოჩხუბრები გააშველეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით „კილმესის“ ხელმძღვანელობას ჯერ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. არგენტინელი ჟურნალისტების ცნობით, კლუბის წარმომადგენლებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, დაითხოვონ ვივასი, თუ მხარი დაუჭირონ.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

● ბრაზილია. სერია A XXX ტური



# სეზონის სენსაცია: კეირისონმა გოლი გაიტანა

**ფლუმინენსე-პონტე პრეტა 1:1**

**გოლები:** 0:1 რაფაელ რატაო (82), 1:1 დიეგო საკომანი (85-საკ. კარში)

**ნაუტიკო-სანტოსი 1:5**

**გოლები:** 0:1 ტიაგო რიბეირო (1), 0:2 სისერო (22), 0:3 ევერტონ კოშტა (25), 0:4 სისინიო (27), 1:4 მაიკონ ლეიტე (51), 1:5 სისერო (89)

**კორინთიანსი-კრისიუმა 1:0**

**გოლი:** 1:0 პატო (60)

**ბაია-სან პაულო 0:1**

**გოლი:** 0:1 ალოიზიო (25)

**გაძევება:** დენილსონი (34. სან პაულო), მაიკონი (78. სან პაულო)

**ინტერნასიონ.-გრემიო 2:2**

**გოლები:** 1:0 ვილიანსი (4), 1:1 ჯექსონი (41-საკ. კარში), 1:2 ე. ვარგასი (52), 2:2 დალესანდრო (61-პენ)

**გოიასი-ატლ. პარანაენსე 3:0**

**გოლები:** 1:0 რონი (18), 2:0 დუდუ (27), 3:0 ვალტერი (90)

**ატლ. მინეირო-ფლამენგო 1:0**

**გოლი:** 1:0 ლუკას კანდიდო (57)

**ბოტაფოგო-ვასკო 2:2**

**გოლები:** 1:0 დანკლერი (6), 2:0 ლოდეირო (7), 2:1 ჟომარი (54), 2:2 პედრო კენი (68)

**კორიტიბა-კრუზეირო 2:1**

**გოლები:** 1:0 კარლინიოსი (42), 1:1 დაგობერტო (62-პენ), 2:1 კეირისონი (73)

**პორტუგეზა-ვიტორია 1:1**

**გოლები:** 0:1 ლ. კასერესი (19), 1:1 მოიზესი (63)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 30 | 19 | 5 | 6 | 60-26 | 62 |
| 2. გრემიო | 30 | 15 | 8 | 7 | 37-26 | 53 |
| 3. ატლ. პარან. | 30 | 14 | 9 | 7 | 47-38 | 51 |
| 4. ბოტაფოგო | 30 | 14 | 8 | 8 | 44-35 | 50 |
| 5. გოიასი | 30 | 12 | 10 | 8 | 38-34 | 46 |
| 6. ატლ. მინეირო | 30 | 12 | 9 | 9 | 34-29 | 45 |
| 7. ვიტორია | 30 | 12 | 8 | 10 | 42-42 | 44 |
| 8. სანტოსი | 30 | 11 | 10 | 9 | 39-31 | 43 |
| 9. ინტერნასიონ. | 30 | 10 | 12 | 8 | 45-42 | 42 |
| 10. სან პაულო | 30 | 11 | 7 | 12 | 30-29 | 40 |
| 11. ფლამენგო | 30 | 10 | 10 | 10 | 36-36 | 40 |
| 12. კორინთიანსი | 30 | 9 | 13 | 8 | 23-18 | 40 |
| 13. პორტუგეზა | 30 | 10 | 8 | 12 | 45-43 | 38 |
| 14. კორიტიბა | 30 | 9 | 10 | 11 | 33-39 | 37 |
| 15. ფლუმინენსე | 30 | 9 | 9 | 12 | 33-37 | 36 |
| 16. ბაია | 30 | 9 | 9 | 12 | 31-38 | 36 |
| 17. ვასკო | 30 | 8 | 9 | 13 | 40-49 | 33 |
| 18. კრისიუმა | 30 | 9 | 5 | 16 | 38-51 | 32 |
| 19. პონტე პრეტა | 30 | 8 | 6 | 16 | 31-43 | 30 |
| 20. ნაუტიკო | 30 | 4 | 5 | 21 | 20-60 | 17 |

**ბომბარდირები:** 15 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 14 - ჟილბერტო (პორტუგეზა), ვილიამი (პონტე პრეტა); 13 - ფერნანდაო (ბაია), ერნანი (ფლამენგო); 12 - ვალტერი (გოიასი).

**ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგ ტურში რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. ცხრილის ქვედა ნაწილში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა, ზემოთ კი სიტუაცია უცვლელია, მიუხედავად იმისა, რომ „კრუზეირომ“ ბოლო 4 ტურში მესამე მარცხი განიცადა...**

## კეირისონი ცოცხალი ყოფილა

ერთ დროს ჩემპიონატის ლიდერმა „კორიტიბამ“, რომელმაც ძალიან მოუკლო და გასავარდნ ზონას მიუახლოვდა, საკუთარ მოედანზე ამჟამინდელ ლიდერს უმასპინძლა და შინ უქულოდ გაუშვა. გამარჯვების გოლი სტუმრებს მათმა ყოფილმა ფეხბურთელმა, **კეირისონმა** გაუტანა და ისე გაიხარა, რომ ყვითელი ბარათი მიიღო და ცრემლებიც დაღვარა. ეს გასაკვირი ნამდვილად არაა - 24 წლის ფორვარდმა, რომელიც 2009 წლიდან „ბარსელონას“ ეკუთვნის, მაგრამ ამ გუნდში ერთი მატჩიც არ უთამაშია, 2-წლიანი პაუზის შემდეგ იხეირა. აღსანიშნავია, რომ ბოლო გოლი კეირისონს სწორედ „კრუზეიროს“ რიგებში, 2011 წლის 6 ოქტომბერს (სან პაულოსთან) ჰქონდა გატანილი.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, **მარსელო ოლივეირას** გუნდმა ბოლო 4 ტურში მესამე მარცხი განიცადა, მაგრამ მის ლიდერობას ჯერ ნამდვილად არაფერი ემუქრება, რადგან მისი კონკურენტებიც საკმოდ არასტაბილურად ასპარეზობენ.

## დაკარგული შანსი

„ბოტაფოგო“ „ვასკოს“ 7 წუთის შემდეგ 2:0-ს უგებდა, მაგრამ მხოლოდ ქულას გამორჩა. მასპინძელთა რიგებში პირველი ბურთი 21 წლის **დანკლერმა** გაიტანა, ვინც „ფოგოს“ შემადგენლობაში მხოლოდ მეორე შეხვედრას ატარებდა. სტუმართა მხრიდან კი თავი **ჟუნინიო პერნამბუკანომ** გამოიჩინა - ვეტერანმა ნახევარმცველმა ორი საგოლე პასი მიითვალა. დამარცხდა ოთხეულის კიდევ ერთი ბინადარი „ატლეტიკო პარანაენსე“, რომელიც „გოიასთან“ განადგურდა. ეს უკანასკნელი სერია A-ს დებიუტანტია, მაგრამ ბოლო დროს შესანიშნავ ფორმაშია და უკვე მეხუთე ადგილზეც იმყოფება. ამ გამარჯვების წყალობით, „გოიასმა“ იმავე „ატლეტიკოსთან“ სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა.

## დერბი ფრედ დასრულდა

კიდევ ერთი ლიდერი, რომელმაც ქულები დაკარგა „გრემიო“ გახლავთ, თუმცა **რენატო გაუჩოს** გუნდს „ინტერნასიონალის“ სახით ყველაზე რთული მეტოქე ჰყავდა. პორტუ ალეგრის დერბი ძალიან დაძაბული და სანახაობრივი გამოვიდა. თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ, თუმცა „გრემიომ“ ჯერ ანგარიში გაათანაბრა, **ედუარდო ვარგასის** გოლით კი წინაც გავიდა. შეხვედრის საბოლოო შედეგი **ანდრეს დალესანდრომ** დააფიქსირა, რომელმაც 11-მეტრიანი გამოიყენა.

## მურისის ეფექტი

**მურისი რამალიო** მართლაც გენიალური მწვრთნელია. 57 წლის სპეციალისტის დაბრუნებამ „სან პაულოზე“ შესანიშნავად იმოქმედა. ბრაზილიის 6-გზის ჩემპიონმა მოკლე პერიოდში მკვეთრად მოუმატა, ბოლო 5 მატჩში 13 ქულა მოაგროვა და გასავარდნ ზონას გვარიანად დაშორდა. მორიგ ტურში „სან პაულომ“ ერთ-ერთ კონკურენტ „ბაიას“ სტუმრად მოუგო, არადა 34 წუთზე სტუმრებს **დენილსონი** გაუძევეს, 78-ეზე კი **მაიკონი**.




ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტურის შეჯამება


პირველ კადრში ჩანს, რომ ბადე ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე იყო გარღვეული. მეორე კადრში შტეფან კისლინგს „სახეზე აწერია", რომ ყველაფერი კარგად დაინახა, ხოლო მესამე კადრში მოცემულია 3D ხედი მსაჯისგან და კისლინგისგან, რაც ადასტურებს, რომ მათ უნდა დაენახათ, ბურთი კარში გარედან რომ შევარდა

# კისლინგს და მსაჯს ყველაფერი უნდა დაენახათ!

## ამის გამო ბრიხი შეიძლება მუნდიალზე აღარ გაუშვან

**შტეფან კისლინგის** ფანტომ-გოლის შესახებ პარასკევს დაწყებული დისკუსია ორშაბათსაც გაგრძელდა. გოლზე, რომელიც „ლევერკუზენის" 29 წლის თავდამსხმელმა გაიტანა, ბევრი დაიწერა და კიდევ უფრო მეტი ითქვა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გაზეთ „ბილდის" მიერ გაკეთებული დეტალური ვიდეო-ანალიზის შემდეგ დადგინდა: იმის დანახვა, რომ ბურთი „ჰოფენჰაიმის" კარში გარედან შევარდა, რეალურად მხოლოდ თავად კისლინგს და, რაც მთავარია, შეხვედრის მთავარ არბიტრს, **ფელიქს ბრიხს** შეეძლოთ. სავარაუდოდ, ორივემ დაინახა კიდეც, რასაც შტეფანის რეაქცია და ის ფაქტი ადასტურებს, რომ ბრიხმა თავიდან გოლი არ ჩათვალა, მაგრამ კისლინგს ამის აღიარების ვაჟკაცობა არ ეყო, მსაჯი კი ძალიან დაიბნა და საბოლოოდ გოლი მაინც ჩათვალა.

### სიმბოლური ნაკრები




ალბათ, უმჯობესია, მომხდარი კიდევ ერთხელ, მოკლედ შევახსენოთ: პარასკევს, „ჰოფენჰაიმისა" და „ლევერკუზენის" მატჩში, იმ დროს, როცა სტუმრები 0:1-ს იგებდნენ, კისლინგის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი „ჰოფეს" კარში ბადის გარედან შევარდა, რადგან ბადე გარღვეული იყო. დაბნეულმა მსაჯმა, 38 წლის ფელიქს ბრიხმა გოლი ჩათვალა, მატჩის შემდეგ კი განაცხადა: *„რთული სიტუაცია იყო. მე ეჭვი არ შემპარვია, რომ გოლი იყო, მაგრამ ფეხბურთელების რეაქციამ დამაეჭვა. მაგრამ რაკი ბურთი კარში იყო, რას წარმოვიდგენდი, რომ ბადე გარღვეული იქნებოდა?!"*

„ბილდმა" ხსენებულ მომენტს დეტალური ვიდეო-ანალიზი ჩაუტარა და დაადგინა, რომ კისლინგს და ბრიხს შეეძლოთ, უფრო სწორად, თითქმის ვალდებულები იყვნენ, დაენახათ, რომ ბურთი კარში გარედან შევარდა. საინტერესოა ისიც, რომ კისლინგი შეტრიალდა და თავში ხელები წაიშინა ნიშნად იმისა, ეს რა მომენტი ვერ გამოვიყენეო, ბრიხმა კი გოლი თავიდან არ ჩათვალა, თუმცა მერე მაინც ცენტრისკენ მიუთითა.

„ბილდის" ანალიზიდან ისიც ირკვევა, რომ კარის ბადე თამაშის წინ იყო გარღვეული. ერთ-ერთ კადრში, როცა „ლევერკუზენის" მეკარე **ბერნდ ლენო** ხურდება, ძალიან კარგად ჩანს, რომ ბადე გარღვეულია. მსაჯის ასისტენტმა **შტეფან ლუპმა** ბადე შესვენებაზეც შეამოწმა, მაგრამ ვიდეოში ჩანს, რომ ლუპი უფრო იმას აკვირდება, თუ რამდენად მყარადაა დამაგრებული ბადე ძელებზე. გარღვეულ ბადეს კი ვერ ამჩნევს!

ამგვარი შეცდომების კასკადმა კი საბოლოოდ სერიოზული სკანდალი გამოიწვია, რომელსაც გაგრძელება აუცილებლად ექნება, რადგან საქმე სამ ქულას ეხება, რომელიც „ლევერკუზენისთვისაც" ძალიან მნიშვნელოვანია და „ჰოფენჰაიმისთვისაც".

ლევერკუზენელებს მომდევნო მატჩი ხვალ, ჩემპიონთა ლიგაში (დონეცკის „შახტართან") აქვთ და ამ შეხვედრაში კისლინგიც ითამაშებს. გერმანიაში სხვა გუნდების გულშემატკივრები შტეფანის დისკვალიფიკაციას მოითხოვენ, რადგან მიაჩნიათ, რომ კისლინგმა ყველაფერი იდეალურად დაინახა და არ აღიარა, რომ გოლი არ უნდა ჩათვლილიყო.

„ჰოფენჰაიმმა" კი პროტესტი აფრინა და მატჩის გადათამაშებას ითხოვს. ლევერკუზენელები თანახმანი მხოლოდ იმაზე არიან, რომ ბოლო 20 წუთი გადათამაშდეს, თუმცა გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა **რაინერ კოხმა** გუშინ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მოვლენების ასეთი განვითარება გამორიცხულია. საბოლოო გადაწყვეტილებას კი, რომელიც ცხადყოფს, გადათამაშება დაინიშნება, თუ შედეგი ძალაშიდ დარჩება, ორ კვირაში მიიღებენ.

თავად მსაჯი ფელიქს ბრიხი კი დღესვე განსჯის ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩს „მილანსა" და „ბარსელონას" შორის. ბრიხს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე მსაჯობაც განაღდებული ჰქონდა, მაგრამ პარასკევის შემდეგ მუნდიალზე გამგზავრების შანსი ნამდვილად შეუმცირდა.

ასე იქნება, თუ ისე, ფაქტია, რომ ეს მატჩი უკვე შევიდა ისტორიაში. კისლინგის ფანტომ-გოლზე დისკუსია მარტო ამის გამო გაგრძელდება...

**გოტფრიდ ლენცი**

### საუკეთესო ფეხბურთელები

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. მარკო როისი | დორტმუნდი | 9 | 2.22 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 8 | 2.29 |
| 3. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 9 | 2.38 |
| 4. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 9 | 2.39 |
| 5. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 6 | 2.42 |
| 6. ტონი კროოსი | ბაიერნი | 9 | 2.43 |
| 7. მაქს კრუზე | გლადბახი | 9 | 2.50 |
| 8. არიენ როზენი | ბაიერნი | 8 | 2.50 |
| 9. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 9 | 2.56 |
| 10. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 9 | 2.56 |

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 9 | 7 | 4 | 11 |
| 2. მაქს კრუზე | გლადბახი | 9 | 5 | 5 | 10 |
| 3. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 9 | 6 | 4 | 10 |
| 4. ალექსანდრუ მაქსიმი | შტუტგარტი | 7 | 4 | 6 | 10 |
| 5. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 9 | 6 | 3 | 9 |
| 6. რაფაელ ვან დერ ვაარტი | ჰამბურგი | 9 | 5 | 4 | 9 |
| 7. მარკო როისი | დორტმუნდი | 9 | 5 | 3 | 8 |
| 8. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 8 | 5 | 3 | 8 |
| 9. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 9 | 5 | 3 | 8 |
| 10. პიერ-ემერიკ ობამეიანგი | დორტმუნდი | 9 | 5 | 2 | 7 |

XXVII ტურის გმირი

### ოლივერ ბაუმანი (ფრაიბურგი)



ესეც ასე: ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის პირველი 0:0 ბრემენში დაფიქსირდა და ეს ყველაზე მეტად „ფრაიბურგის" მეკარე ოლივერ ბაუმანის დამსახურებაა. 23 წლის ბაუმანმა ჯერ მარტო ბრემენელთა ცენტრფორვარდ **ნილს პეტერსენის** სამი ურთულესი დარტყმა მოიგერია. შეგახსენებთ, რომ ბაუმანი გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების მეკარეცაა და თუ ასე გააგრძელებს, მისით ბუნდესგუნდის თავკაცი იოახიმ ლოივიც დაინტერესდება.

ბაიერნი

# მარტინესი: თუ რამეა, დაცვაში ვითამაშებ!


ხავი მარტინესი ბრუნდება

**ხავი მარტინესი** „ბაიერნს" ტრავმის გამო დაახლოებით 7 კვირის მანძილზე აკლდა, ახლა კი 25 წლის ესპანელმა საყრდენმა ნახევარმცველმა, რომელიც რეკორდმაისტერს 40 მილიონ ევროდ ჰყავს ნაყიდი, სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა და ბრუნდება. თუმცა ცხადია, რომ შესანიშნავად შეთამაშებული „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში თავიდან დამკვიდრება ძალიან გაუჭირდება და ალბათ ამიტომაც ამბობს, დაცვაშიც შემიძლია თამაშიო.

*„წარმატებულ გუნდს ბევრნაირი ტიპის ფეხბურთელი სჭირდება. მაგალითად, გუნდში საჭიროა როგორც მებრძოლი, ისე მუშა, ტექნიკური და პასების გამანაწილებელი ფეხბურთელი. ვფიქრობ, ჩემი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მრავალმხრივი მოთამაშე ვარ. თუ ბრძოლაა, მებრძოლი ვიქნები, თუ მოკლე პასებით თამაშს დამავალებენ, მოკლე პასებით ვითამაშებ,"* - აცხადებს მარტინესი „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მარტინესი მზადაა, შეითავსოს ნებისმიერი როლი, რასაც რეკორდმაისტერის თავკაცი **ხოსეპ გვარდიოლა** დააკისრებს: *„მთავარია, სასტარტო შემადგენლობაში ვიყო და სადაც მეტყვიან, იქ ვითამაშებ. თუ ნახევარდაცვაში ჩემი ადგილი არ მოიძებნება, დაცვის ცენტრშიც შემიძლია თამაში. „ბაიერნი" მსოფლიოში საუკეთესო გუნდია და ლოგიკურია, რომ ამ გუნდში უდიდესი კონკურენციაა. ჰოდა, ნებისმიერ პოზიციაზე თამაშით კმაყოფილი ვიქნები."*

აღსანიშნავია, რომ გვარდიოლას მარტინესში ყველაზე მეტად სწორედ მისი მრავალმხრივობა მოსწონს: *„ხავის ყველგან შეუძლია თამაში - ნახევარდაცვაში, დაცვაში, „ჩელსისთან" კი თავდამსხმელივით თამაშობდა. მიხარია, რომ ბრუნდება,"* - ამბობს პეპი.

შეგახსენებთ, რომ ხავი მარტინესი „ბაიერნში" მეორე სეზონს ატარებს. წინა სეზონში მან რეკორდმაისტერის ფორმით 43 ოფიციალურ მატჩში იასპარეზა და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ „ბაიერნმა" ჰეტ-ტრიკი შეასრულა. ამ სეზონში კი მან მოედანზე მხოლოდ 81 წუთი დაჰყო და ოდენ სამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## უისდომის იჯარა და ლივერპულის გათვლები

„**მირორის**" ცნობით, „ლივერპულისა" და ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების უნივერსალი მცველი **ანდრე უისდომი** სეზონის ბოლომდე იჯარით „დერბი ქაუნთიში" გადავიდა. „ცხვრების" მთავარ მწვრთნელად ცოტა ხნის წინ **სტივ მაკლარენი** დაინიშნა, ვინც ფეხბურთელს გარანტიას აძლევს, რომ ძირითადში ათამაშებს. ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაცს სხვა გამოსავალი არც აქვს, რადგან უისდომის პოზიციაზე ერთბაშად სამი მოთამაშე ჰყავს ტრავმირებული. აქედან ორისთვის სეზონი პრაქტიკულად დასრულებულია. მერსისაიდელთა მხრიდან უისდომის დათმობა არ ყოფილა „დერბის" პრობლემებზე ფიქრით გამოწვეული. **ბრენდან როჯერსს** იანვარში, უკიდურეს შემთხვევაში კი სეზონის დასრულების შემდეგ, **უილ ჰიუზის** ყიდვა სურს. საფეხბურთო ექსპერტები 18 წლის ფეხბურთელს ჩემპიონშიპის ყველაზე ნიჭიერ ნახევარმცველად მოიხსენიებენ. ჰიუზს მიმდინარე სეზონში 17 შეხვედრაში 3 გოლი და 2 შედეგიანი გადაცემა აქვს „ბალანსზე". თავად თინეიჯერი ფეხბურთელი არ მალავს, რომ „ლივერპულის" თავგადაკლული გულშემატკივარია.

## უოლკოტის ორი კვირა

„**ტელეგრაფის**" ცნობით, „არსენალის" გარემარბის **თეო უოლკოტის** დაბრუნება კიდევ ორი კვირით გადაიდო. შეგახსენებთ, რომ 24 წლის ფეხბურთელი მუცლის ფარის კუნთებმა შეაწუხა, რის გამოც ოპერაცია დასჭირდა. ექიმების პირველადი პროგნოზით, თეო გუნდს თვის ბოლოს უნდა დაბრუნებოდა, თუმცა სარეაბილიტაციო პერიოდის დასრულებისთანავე მას ნაოპერაციები ადგილი ხელახლა ასტკივდა. სავარაუდოა, რომ უოლკოტს თამაშის საშუალება პირველად 10 ნოემბერს „მანჩესტერ იუნაიტედთან" მიეცემა. *„სამწუხაროა, თუმცა მოგვიწევს იმ ფიქრთან შეგუება, რომ უოლკოტს „დორტმუნდთან", „კრისტალ პალასთან" და „ჩელსისთან" თამაშები გაუცდება,"* - განაცხადა „მეთოფეთა" მთავარმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა**.

## შჩესნი ახალ კონტრაქტზე უარს ამბობს

**პოლონური** გაზეთების ინფორმაციით, ოქტომბრის სანაკრებო პაუზამდე „არსენალმა" **ვოიცეხ შჩესნის** თანამშრომლობის გახანგრძლივება შესთავაზა, თუმცა 23 წლის ფეხბურთელისგან უარი მიიღო. როგორც ირკვევა, მიზეზი შეთავაზებული პირობებია. ვოიცეხის ხელფასი კვირაში 50 ათას ფუნტია. კლუბი მას კონტრაქტს იმავე ანაზღაურებით სთავაზობდა. მოთამაშე და მისი აგენტი კი ხელფასის, მინიმუმ, 20 ათასით გაზრდას ითხოვენ. ამჟამად მოლაპარაკებათა პროცესი შეჩერებულია. კლუბს საკითხის გადაწყვეტა ეჩქარება, რადგან შჩესნი სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალი აგენტი ხდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

## შალკე: ჰიოგერისთვის სეზონი დამთავრდა

„შალკეს" ქომაგებმა გუშინ ძალიან სამწუხარო ინფორმაცია შეიტყვეს: გელზენკირხენული კლუბის 24 წლის უკანახაზელი **მარკო ჰიოგერი** „ბრაუნშვაიგთან" 3:2-ზე მოგებულ შეხვედრაში მძიმედ დაშავდა, ოპერაცია სჭირდება და უკვე გარკვეულია, რომ მისთვის ეს სეზონი დამთავრებულია - ჰიოგერი ფეხბურთს ზაფხულამდე ველარ ითამაშებს.

## ცილერს გლადბახი და შალკე ეპატიჟებიან

**გაირკვა**, რომ „ჰანოვერის" მეკარე **რონ-რობერტ ცილერს** კონტრაქტში ჩადებული აქვს პუნქტი, რომლის მიხედვითაც სეზონის ბოლოს კლუბის გამოცვლა საკმაოდ მცირე თანხის სანაცვლოდ შეუძლია და რაკი კარგად ასპარეზობს, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „გლადბახისა" და „შალკეს" სახით ორი სერიოზული მთხოვნელი გამოუჩნდა. მიონხენგლადბახელებს ცილერი **მარკ-ანდრე ტერ შტეგენის** შემცვლელად სჭირდებათ, რომელიც სავარაუდოდ „ბარსელონაში" გადავა, „შალკეში" კი **ტიმო ჰილდებრანდი** იმედებს მაინცდამაინც ვერ ამართლებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. VIII ტურის შეჯამება

# გოლთაცვენა და ემოციების ზღვა

## განბილებული მარადონა და გაოგნებული კონტე



ჯუზეპე როსიმ პირველი ჰეთთრიკი შეასრულა კარიერაში

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშება უდავოდ გამორჩეულია და VIII ტურმა ეს განცდა კიდევ უფრო გაამყარა - 10 შეხვედრაში 35 გოლი გავიდა, რაც საშუალოდ ერთ თამაშში 3.5 გოლია. მოკლედ, იტალიურ მოედნებზე გოლთა ცვენა იყო, საინტერესო და მოსაყოლი კი იმდენი დაგროვდა, საიდან დავიწყოთ, ეგაა საკითხავი...**

### განბილებული დიეგო ოლიმპიკოზე

სანამ უქმეებზე დატრიალებულ ამბებზე ვიტყოდით, ორი სიტყვით პარასკევს ჩატარებულ „რომა"-"ნაპოლის" პაექრობას მივუბრუნდეთ. ეს იყო მატჩი, რომელშიც „რომამ" მიჯრით მერვე სასტარტო პაექრობა მოიგო და „იუვენტუსის" რეკორდი გაიმეორა; დიახ, სასტარტო რვა მატჩი აქამდე მხოლოდ „იუვენტუსს" მოეგო, თანაც სამჯერ და სამჯერვე ჩემპიონი გახდა. სკუდეტომდე დიდი გზაა, მაგრამ „ჯალოროსი" რომ უკან დახევას არ აპირებს, ცხადზე უცხადესია. **რუდი გარსიამ** მხოლოდ გასულ ზაფხულს ჩაიბარა გუნდი.

„რომა"-"ნაპოლის" პაექრობას ტრიბუნიდან **დიეგო მარადონამ** მიადევნა თვალი და ბუნებრივია, ნეაპოლელებს გულშემატკივრობდა. დიეგო ყურადღების ცენტრში იყო, კამერა მას ხშირად აჩვენებდა და ისიც ემოციურად უჭერდა მხარს სამხრეთელებს - თამაში დამთავრებული არ იყო, როდესაც განბილებულმა და გაბრაზებულმა დატოვა „ოლიმპიკო". მოგვიანებით, „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში მარადონამ არ გამორიცხა, რომ **რაფაელ ბენიტესის** შემდეგ „ნაპოლი" სწორედ მან ჩაიბაროს. ვნახოთ...

### რაღაც უცნაური და ამოუხსნელი...

„იუვენტუსმა" „ფიორენტინას" პირველი ტაიმი ორი ბურთის სხვაობით მოუგო და მეორეში ანგარიშის გაზრდის არაერთი შანსი მიეცა - თამაშს თითქოს ინტრიგა ჰქონდა დაკარგული, როდესაც ფლორენციელებმა თავი გამოიდეს და 15-წუთიან მონაკვეთში მეტოქეს 4 გოლი გაუტანეს. აქედან სამი **ჯუზეპე როსის** ანგარიშზეა, ერთი კი **ხოაკინ სანჩესის**. როგორც ნამატჩევს **ანტონიო კონტე** იტყვის, ეს იყო რაღაც უცნაური და ამოუხსნელი:

*„პირველ ტაიმში სრულად ვდომინირებდით და არც მეორეში დაგვიკლია, მაგრამ რა მოხდა დასკვნით პერიოდში ვერაფრით ამიხსნია. უცნაური გოლები გავუშვით და შედეგად, გაუგებარი მარცხი ვიწვნიეთ. ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ ამას მაინც ვერ წარმოვიდგენდი. ამ მარცხისგან სასარგებლო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, რათა ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდეს".*

მატჩის შემდეგ ფლორენციაში დიდი ზეიმი იყო - გულშემატკივრებმა გამარჯვება ქუჩებში აღნიშნეს, ამ ფიესტას კი „ფიორენტინას" პრეზიდენტი **ანდრეა დელა ვალე** შეუერთდა; ერთ მომენტში პრეზიდენტი ტიფოზებში გადახტა და შემდეგ, ჰაერშიც ატყორცნეს... გარეშე თვალისთვის ეს ნამეტანი იყო, მაგრამ მატჩი გამოვიდა იმდენად დრამატული, რომ 90 წუთმა ემოციები ვერ დაიტია. დელა ვალემ მოკლე კომენტარიც გააკეთა და განაცხადა, რომ ეს იყო საუკეთესო მატჩი, რაც კი ოდესმე უნახავს. ემოციებს ვერ მალავდა მატჩის გმირი ჯუზეპე როსი, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

*„ჩვენ უკვე ვიცით, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყველაზე რთულ მდგომარეობაშიც კი შეგვიძლია ვიპოვნოთ გამოსავალი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მიმდინარე სეზონში ნამდვილად შეგვიძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა".*

### წავიდა თუ არა პეტკოვიჩი?

„ლაციომ" კიდევ ერთი მატჩი წააგო და სატურნირო ცხრილში მეცხრე პოზიციაზე დაეშვა. ასეთი კონკურენციის პირობებში რთულად წარმოსადგენია, რომ მიმდინარე სეზონში „ბიანკოჩელესტემ" სამეულისთვის იბრძოლოს, აღარაფერს ვამბობთ სკუდეტოზე. მოკლედ, გუნდის მთავარ მწვრთნელ **ვლადიმირ პეტკოვიჩს** ისე კარგად ველარ მისდის საქმეები, როგორც გასულ სეზონში და ეს შეიძლება გახდეს კიდეც მისი გათავისუფლების საბაბი. ან, შესაძლოა თავად მან დაწეროს განცხადება და ამის შესახებ „რაი სპორტმა" უკვე გაავრცელა კიდეც ინფორმაცია. ავტორიტეტული წყარო იუწყება, რომ პეტკოვიჩმა დატოვა გუნდი და ამის შესახებ ოფიციალური ცნობა მალე გავრცელდება.



ვლადიმირ პეტკოვიჩის წასვლა ჯერჯერობით არ დასტურდება

„ლაციოს" მესვეურები ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ პეტკოვიჩი ჯერ კიდევ გუნდის მთავარი მწვრთნელია. თუმცა კლუბის გენერალური დირექტორის **იგლი ტარეს** მოკლე კომენტარში, ფრაზამ: *„ჯერ კიდევ"*, დიდი ყურადღება მიიქცია - როგორც ჩანს, პეტკოვიჩის რომაული მომავალი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

### ახალი მწვრთნელი კატანიაში

„კატანიამ" კიდევ ერთი მატჩი წააგო, ამჯერად „კალიარისთან" და კლუბის მესვეურებმაც მწვრთნელის შეცვლა გადაწყვიტეს. „კატანიას" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ ამიერიდან **როლანდო მარანა** აღარ არის გუნდის მთავარი მწვრთნელი, მის ადგილზე კი **ლუიჯი დე კანიო** იმუშავებს. ეს უკანასკნელი ბოლოს „ჯენოას" ედგა სათავეში და იქიდან 2012 წლის ოქტომბერში გაათავისუფლეს. მოკლედ, დე კანიო ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა იტალიის ელიტარულ დივიზიონს.

ჯერჯერობით, დაკავებულ პოსტზე რჩება „ბოლონიას" დამრიგებელი **სტეფანო პიოლი**, არადა, მისი გუნდი სატურნირო ცხრილის ბოლო პოზიციაზეა. „როსობლუმ" კიდევ ერთი მატჩი წააგო, ამჯერად „სასუოლოსთან" და თანაც პიოლის დაბადების დღეს. „ბოლონიას" არ ჰყავს ცუდი შემადგენლობა, მარტო **ალესანდრო დიამანტი** რად ღირს, მაგრამ გუნდი საშინლად თამაშობს.

### თრილერი ტურინში

ტურის უკანასკნელი მატჩი ტურინის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა, სადაც „ტორინომ" „ინტერს" უმასპინძლა. ისევე როგორც ფლორენციაში, აქაც მეტად დრამატული და ემოციური მატჩი გამოვიდა, შედეგი კი საყაიმო დაფიქსირდა, 3:3. თამაში 5 წუთის დაწყებული იყო, როდესაც „ინტერის" მეკარე **სამირ ჰანდანოვიჩმა** საბედისწერო შეცდომა დაუშვა, თერთმეტმეტრიანი „აიკიდა" და წითელი ბარათი მიიღო. მართალია, ტურინელებმა პენალტი ვერ გამოიყენეს, მაგრამ შეხვედრის სტარტზევე რიცხობრივი უპირატესობის მიღება ბრწყინვალე საჩუქარი იყო. თითქოს ტურინელებმა გადამწყვეტი უპირატესობა მიიღეს, მაგრამ როგორც მატჩის მიმდინარეობამ გვიჩვენა, მასპინძლები უბრალოდ არ აღმოჩნდნენ მზად პირველ ნომრად ეთამაშათ... „ინტერი" ნელნელა გონს მოვიდა და მთლიანობაში, უკეთ გაისარჯა, ვიდრე მეტოქე.

ნამატჩევს, პრესამ **ვალტერ მაცარი** გააკრიტიკა, ბოლო წუთებში **პალასიო** უნდა შეეცვალა და უკანა ხაზი კიდევ უფრო გაეძლიერებინაო. აი, ასეა იტალიაში, 10-მა ფეხბურთელმა 11-ს არაფერი დაუთმო და კრიტიკა მაინც მაცარის დაატყდა თავს. „ინტერმა" დასანანი ქულები დაკარგა, მილანელები კი მსაჯს მისდგნენ და მიწასთან გაასწორეს. კლუბის მესვეურებმა მსაჯობას საmarcხვინო უწოდეს, მაცარიმ კი შედარებით რბილი კომენტარი გააკეთა:

*„შესანიშნავი მატჩი იყო, რომელიც უკეთეს მსაჯობას იმსახურებდა. არბიტრმა აშკარად გაგვწირა, როდესაც საწყის წუთებში მეკარე გაგვიგდო, მაგრამ საბედნიეროდ, ამან არ გაგვტეხა. მადლობა შეგირდებს თავდადებული თამაშისთვის, მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სასურველი შედეგი მიგველო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სწორ გზას ვადგავართ".*

### ციფრები და ფაქტები

* „ფიორენტინამ" პირველი მატჩი მოუგო „იუვენტუსს" 1998 წლის შემდეგ.
* „იუვენტუსმა" პირველად გაუშვა 4 გოლი მას შემდეგ, რაც გუნდს ანტონიო კონტე წვრთნის.
* ხოაკინ სანჩესმა „ფიორენტინადან", **ბრაიან პერეამ** „ლაციოდან", **ლუკა სილიგარდიმ** „ლივორნოდან", **ალექსანდრ ფარნერუდმა** „ტორინოდან", **ნიკოლა ბელომომ** „ტორინოდან", გაიტანეს პირველი გოლები სერია A-ში.
* ჯუზეპე როსიმ პირველად შეასრულა ჰეთთრიკი კარიერაში.
* „რომას" მიჯრით 5 შეხვედრაში არ გაუშვია გოლი, ასეთი შედეგი გუნდს ბოლოს 10 წლის წინ ჰქონდა.
* „ნაპოლის" სერია A-ს ბოლო 18 შეხვედრაში მინიმუმ 1 გოლი გაჰქონდა, ეს სერია კი „რომასთან" შეწყდა.
* განვლილ 8 ტურში 11 თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, ასეთი შედეგი ბოლოს 1950/51 წლების სეზონში იყო.
* მიმდინარე სეზონში, „უდინეზემ" ყველა გასვლითი მატჩი წააგო.
* „ტორინოს" „ინტერისთვის" 1994 წლის შემდეგ არ მოუგია, საყაიმო შედეგით კი მილანურ გრანდთან 9-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა.
* „ბოლონიამ" სერია A-ში გამართული ბოლო 18 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგო.
* მიმდინარე სეზონში, „ვერონამ" ყველა საშინაო მატჩი მოიგო.
* „კიევომ" მიჯრით 4 მატჩი წააგო, ასეთი სერია გუნდს ბოლოს 2010 წელს ჰქონდა.
* „ლივორნოს" 5 ტურია არ მოუგია.

**ლაშა ნიკლაური**

სიმბოლური ნაკრები




## ინგლისი

### პრემიერლიგა. VIII ტური

**პალასი–ფულჰემი 1:4**

**გოლები:** 1:0 მარიაპა (7), 1:1 კასამი (20), 1:2 სიდუელი (45), 1:3 ბერბატოვი (50), 1:4 სენდეროსი (55)

**კრისტალ პალასი (4-2-3-1):** სპერონი - ვორდი, მარიაპა, დელეინი, მოქსი - ჟედინაკი, ოკიფი - ბოლასი, კამპანია (46. ტომასი), პანჩეონი (56. შამახი) - გეილი (69. ფილიპსი)

**ფულჰემი (4-4-2):** სტეკელენბურგი - რიტერი, პანგელანდი (46. ამორებიეტა), სენდეროსი, რიჩარდსონი - პარკერი, სიდუელი, კასამი, რუისი – ბერბატოვი (90. როდალიეგა), ბენტი (77. დაფი)

**გაფრთხილება:** - რიჩარდსონი

**კარში დარტყმა:** 18-115 (4-6) **კუთხური:** 5-7 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 9-13 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 22 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 8 | 6 | 1 | 1 | 18-9 | 19 |
| 2. ჩელსი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-5 | 17 |
| 3. ლივერპული | 8 | 5 | 2 | 1 | 13-7 | 17 |
| 4. სიტი | 8 | 5 | 1 | 2 | 20-9 | 16 |
| 5. ტოტენჰემი | 8 | 5 | 1 | 2 | 8-5 | 16 |
| 6. საუთჰემპტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 8-3 | 15 |
| 7. ევერტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 12-10 | 15 |
| 8. იუნაიტედი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-10 | 11 |
| 9. ჰალი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-9 | 11 |
| 10. ნიუკასლი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-14 | 11 |
| 11. სუონსი | 8 | 3 | 1 | 4 | 12-11 | 10 |
| 12. ვესტ ბრომვიჩი | 8 | 2 | 4 | 2 | 7-6 | 10 |
| 13. ასტონ ვილა | 8 | 3 | 1 | 4 | 9-10 | 10 |
| 14. ფულჰემი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-10 | 7 |
| 15. ვესტ ჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-8 | 8 |
| 16. სტოკი | 8 | 2 | 2 | 4 | 4-7 | 8 |
| 17. კარდიფი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-13 | 8 |
| 18. ნორვიჩი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-13 | 7 |
| 19. პალასი | 8 | 1 | 0 | 7 | 6-17 | 3 |
| 20. სანდერლენდი | 8 | 0 | 1 | 7 | 5-20 | 1 |

**ბომბარდირები:** 7 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 6 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 5 - ლოიკ რემი (ნიუკასლი), აარონ რემსი (ორივე არსენალი)

## ესპანეთი

### ლა ლიგა. IX ტური

**სელტა–ლევანტე 0:1**

**გოლი:** 0:1 პ. დიოპი (89)

**სელტა (4-3-3):** იოელი – უგო მალიო, დავიდ კოსტასი, ფონტასი, ტონი – ბორხა ოუბინია, სანტი მინა (83. დავიდ როდრიგესი), რაფაელ ალკანტარა – ნოლიტო (70. ორელიანა), კრონ-დელი (46. ალექს ლოპესი), შარლესი

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი – პედრო ლოპესი, ვიქტორ როდასი, დ. ნავარო, ხუანფრანი – პ. დიოპი, სიმაო – ჩუმეტრა, ივანშიტცი (61. ვინტრა), რუბენ გარსია (46. ელ ზარი) – ბ. დიავარა (71. ბარალი)

**გაფრთხილება:** რაფაელ ალკანტარა, ორელიანა - ჩუმეტრა

**კუთხური:** 2-0; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 15-6 (4-3); **ბურთის ფლობა:** 75%-25%

**მაყურებელი:** 14 636

**ბილბაო–ვილიარეალი 2:0**

**გოლები:** 1:0 მიკელ რიკო (33), 2:0 ადურისი (35)

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი – ირაოლა, გურპეგი, ლაპორტი, ბალენსიაგა – მიკელ რიკო (80. ბენიატი), იტურასპე (73. სან ხოსე) – სუსაეტა, დე მარკოსი, მუნიაინი – ადურისი (86. ტოკერო)

**ვილიარეალი (4-4-2):** ასენხო – მარიო, მუსაჩიო, დორადო, ხაუმე კოსტა – ხ. აკინო (46. მოისესი), პინა, ბრუნო, კანი – ჯოვანი დოს სანტოსი (65. ი. უჩე), ხ. პერეირა (46. ტრიგეროსი)

**გაფრთხილება:** იტურასპე, ირაოლა, მიკელ რიკო, სუსაეტა, სან ხოსე – ბრუნო, ხ. პერეირა, ტრიგეროსი

**გაძევება:** ბრუნო (45. ვილიარეალი)

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 19-6 (3-2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 9 | 8 | 1 | 0 | 28-6 | 25 |
| 2. ატლეტიკო | 9 | 8 | 0 | 1 | 21-7 | 24 |
| 3. რეალი | 9 | 7 | 1 | 1 | 19-9 | 22 |
| 4. ვილიარეალი | 9 | 5 | 2 | 2 | 15-9 | 17 |
| 5. ხეტაფე | 9 | 5 | 1 | 3 | 14-11 | 16 |
| 6. ბილბაო | 9 | 5 | 1 | 3 | 15-13 | 16 |
| 7. ესპანიოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-11 | 14 |
| 8. ვალენსია | 9 | 4 | 1 | 4 | 12-13 | 13 |
| 9. ლევანტე | 9 | 3 | 4 | 2 | 9-14 | 13 |
| 10. ელჩე | 9 | 3 | 3 | 3 | 10-12 | 12 |
| 11. სევილია | 9 | 2 | 4 | 3 | 15-16 | 10 |
| 12. სოსიედადი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-10 | 10 |
| 13. მალაგა | 9 | 2 | 3 | 4 | 11-9 | 9 |
| 14. ვალეკანო | 9 | 3 | 0 | 6 | 7-21 | 9 |
| 15. ბეტისი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-12 | 8 |
| 16. გრანადა | 9 | 2 | 2 | 5 | 5-10 | 8 |
| 17. ვალიადოლიდი | 9 | 1 | 4 | 4 | 9-15 | 7 |
| 18. ოსასუნა | 9 | 2 | 1 | 6 | 6-13 | 7 |
| 19. სელტა | 9 | 1 | 3 | 5 | 8-13 | 6 |
| 20. ალმერია | 9 | 0 | 3 | 6 | 11-20 | 3 |

**ბომბარდირები:** 10 – დიეგო კოსტა (ატლეტიკო); 8 – მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 5 – როდრი (ალმერია), პედრო (ბარსელონა)



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. პლეი ოფის კენჭისყრა

# რონი თუ ზლატანი?

## ერთ-ერთი მუნდიალს დააკლდება


ბრაზილიაში ორივესთვის ადგილი არ არის

**გუშინ** მუნდიალის პლეი ოფის კენჭისყრა გაიმართა. შვეიცარიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ალექსანდრ ფრაიმ და ფიფას მალალჩინოსანმა გორდონ სავიჩმა - ევროპის ზონაში თავთავიანთ ჯგუფებში მე-2 ადგილზე გასული გუნდები დაანწყვილეს.

შეგახსენებთ, რომ 9 ქვეჯგუფიდან ერთის მეორეადგილოსანი, დანია, როგორც უარესი, თავიდანვე დაემშვიდობა მუნდიალს, ხოლო დანარჩენი 8 კენჭისყრაში მონაწილეობდა.

კენჭისყრამ შვედეთისა და პორტუგალიის ნაკრებები ერთმანეთს შეახვედრა. მოკლედ, თანამედროვეობის ორი დიდი ფეხბურთელიდან ერთ-ერთი აუცილებლად მაყურებლის როლით უნდა დაკმაყოფილდეს, ვინ იქნება უილბლო შვედთა ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი თუ კრიშტიანო რონალდო, ამას ნოემბრის ბატალიები გვიჩვენებს.

საფრანგეთის ნაკრებს, რომელიც ჩვენს ქვეჯგუფში იყო და მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთს ჩამორჩა, საჯილდაო ქვად უკრაინა შეხვდა, ხოლო ხორვატიას შედარებით გაუმართლა - სლავთა მეტოქე ისლანდიის ნაკრებია, რომელიც არასოდეს ყოფილა დიდი საფეხბურთო ფორუმის მონაწილე. დაბოლოს, მე-4 წყვილში ჩვენ მივიღეთ ბალკანური დერბი რუმინეთსა და საბერძნეთს შორის.

დიდიე დეშამის საფრანგეთი ზედიზედ მე-10 მუნდიალს უმიზნებს, ამისთვის კი უკრაინის ბარიერია დასაძლევი. არ არის იოლი წინაღობა, თუმცა საფრანგეთის ნაკრები ფავორიტია.

**პორტუგალია-შვედეთი**
**უკრაინა-საფრანგეთი**
**საბერძნეთი-რუმინეთი**
**ისლანდია-ხორვატია**
**მატჩები 15 და 19 ნოემბერს გაიმართება**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვარსკვლავი




# სტივის კარიერის ანი და ჰოე

**ტურის** მიმოხილვაში უკვე გავუსვით ხაზი, რომ „ლივერპული"-"ნიუკასლის" შეხვედრაში **სტივ ჯერარდმა** მე-100 გოლი გაიტანა პრემიერლიგაში. მერსისაიდელთა ვებგვერდმა ლეგენდად ქცეული ფეხბურთელის კარიერა წლების მიხედვით დაალაგა და ისე შემოგვთავაზა. მაშ ასე:

**1998** - „ბლექბერნთან" მატჩში დებიუტი ჰქონდა „ლივერპულის" შემადგენლობაში.

**1999** - გაიტანა პირველი გოლი „შეფილდ უენსდის" კარში.

**2000** - მიიწვიეს ინგლისის ნაკრებში. დებიუტი უკრაინის ნაკრებთან შედგა.

**2001** - სეზონის განმავლობაში პირველად გაიტანა 10 გოლი. „ლივერპულმა" კი იმ წელს ე.წ. სათასო „ტრებლი" შეასრულა. მოიგო ლიგისა და ასოციაციის თასები, უეფას თასი, ინგლისისა და ევროპის სუპერთასები.

**2002** - მყარად დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. პირველად გახდა ინგლისის ვიცეჩემპიონი.

**2003 - სამი ჰიიპიასგან** გადაიბარა „ლივერპულის" კაპიტნის სამკლავური.

**2004** - ნაკრების ლიდერის რანგში გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატზე.

**2005** - მოიგო ჩემპიონთა ლიგა და თანაც ფინალში თამაშის შემობრუნების უმთავრესი სულის ჩამდგმელი გახდა.

**2006** - ასოციაციის თასის ფინალში „ვესტ ჰემთან" მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში 30 იარდიდან გაათანაბრა ანგარიში. პენალტების სერიაში კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი და „ლივერპულს" გაამარჯვებინა.

**2007** - „ლივერპულთან" ერთად კიდევ ერთხელ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

**2008** - ჩემპიონთა ლიგაში ულამაზესი გოლები გაიტანა „ინტერისა" და „არსენალის" წინააღმდეგ.

**2009** - ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულმა" „რეალი" დაამარცხა. გუნდს კიდევ ერთხელ დააკლდა სულ ცოტა პრემიერლიგის ჩემპიონობამდე.

**2010** - „ოლდ ტრეფორდზე" „ლივერპულმა" 4:1 იმარჯვა, კაპიტანმა დუბლი შეასრულა.

**2011** - ემოციურად, საკლუბო ემბლემაზე ამბორით აღნიშნა კიდევ ერთი გოლი პრინციპულ მეტოქესთან.

**2012** - მეექვსასე თამაში „ლივერპულის" რიგებში „ნიუკასლის" წინააღმდეგ.

**2013** - გაიტანა მესამე გოლი პრემიერლიგაში იმავე „ნიუკასლთან" და ასაკის მიუხედავად, ჯერაც ბევრისთვის ითვლება მისაბაძ ფეხბურთელად.

■ ■ ■

სწორედ უკანასკნელ მიღწევაზე გააკეთა 33 წლის ფეხბურთელმა კომენტარი „კაჭკაჭებთან" შეხვედრის დასრულების შემდეგ: *„ჩემთვის ეს შესანიშნავი მიღწევაა, თუმცა მას სიამოვნებით გავცვლიდი დამატებით კიდევ ორ ქულაში. დაგროვილი ქულები და ცხრილში დაკავებული ადგილი, აი, ეს არის ჩემთვის უმთავრესი პრიორიტეტი. თუკი გუნდის კარგ თამაშს პირადი მიღწევებიც ახლავს თან, ეს კიდევ უფრო უკეთესია. ჩემთვის სეზონის დაწყებამდე რომ ეთქვათ, რვა ტურის შემდეგ ასეთი შედეგი გექნებათო, ბედნიერი ვიქნებოდი. აი, დღეს კი ნამდვილად იმედგაცრუებული ვარ, რადგან შეგვეძლო სამი ქულის მოპოვება. საერთო ჯამში მაინც კარგი კვირა იყო იმის გათვალისწინებით, რომ ნაკრებმაც მიაღწია დასახულ მიზანს".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ვარსკვლავი

# პეტრ ჩეხის დიდი იუბილე

**სტივენ ჯერარდის** მე-100 გოლის გარდა, უქმეებზე ინგლისში ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა კიდევ მოხდა. „კარდიფთან" შეხვედრაში პეტრ ჩეხმა თავისი მე-300 თამაში ჩაატარა პრემიერლიგაში. აქედან მან 145-ჯერ მოახერხა კარის მშრალად შენახვა; გაიმარჯვა 64.7% შემთხვევაში; გოლს საშუალოდ 0.73 თამაშში ერთხელ უშვებდა. 31 წლის მეკარეს ძალიან უნდოდა, საიუბილეო შეხვედრა უგოლოდ ჩაეტარებინა, თუმცა მცველების მიერ დაშვებული ბრიყვული შეცდომის გამო მთელი იმედები მე-10 წუთზე წყალში ჩაეყარა. პეტრს თანაგუნდელებმა ბოლომდე აღარ გაუტეხეს ხათრი და საბოლოოდ 4:1 იმარჯვეს. ჩეხი თამაშის დასრულების შემდეგ მაინც კმაყოფილი ჩანდა. მან **მარშალისა** და **ეტოოს** მომენტიც შეაფასა, რამაც მასმედიას სერიოზული თემა მისცა განსასჯელად. შეგახსენებთ, რომ კამერუნელმა უელსელთა გოლკიპერს ბურთზე ფეხი მაშინ წაურტყა, როცა ის თამაშში შეყვანას აპირებდა.

*- როცა „ჩელსიში" მოვდიოდი სათამაშოდ, მაშინ ჩემი უპირველესი ამოცანა ძირითადში ადგილის დამკვიდრება იყო. 300 თამაშის ჩატარება კი, ცხადია, უდიდესი პატივია. სამომავლოდაც ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუკი საქმეს ამავე სტანდარტებით მივუდგები, კიდევ უფრო მეტის მიღწევას შევძლებ.*

*„კარდიფთან" მოგება მნიშვნელოვანი იყო, რადგან წინა სანაკრებო შეხვედრების შემდეგ „ევერტონთან" დავმარცხდით. ზოგი წინასწარ ფიქრობს მსოფლიოს ჩემპიონატის პერიპეტიებზე, ზოგი ნერვიულობს, რომ იქ წასვლა არ მოუწევს, ერთი სიტყვით, ბოლომდე კონცენტრაცია ჭირს. შაბათსაც ნაწილობრივ ასე იყო, მაგრამ მერე ძალები მოვიკრიბეთ და გავიმარჯვეთ. არადა, მეტოქეს ორი შესანიშნავი შანსი ჰქონდა გასატანად. მეორე ტაიმში ნაჩვენები თამაშის ხარჯზე ნამდვილად დავიმსახურეთ სამი ქულა.*

*როცა მეკარე მოძრაობით გვარწმუნებს, რომ ბურთის თამაშში შეყვანა უნდა, მას არავინ გაეკარება. თუკი ხელით აპირებს ბურთის თამაშში დაბრუნებას, ესეც გასაგებია, მაგრამ ბურთის ასე ტარება, მარტო იმიტომ, რომ ის შენს ხელშია... არ ვიცი. აღნიშნულ მომენტში მსაჯს თავად უნდა განესაზღვრა, რას აპირებდა მარშალი. რაც უნდა იყოს, ნამდვილად უჩვეულო მომენტი იყო. ვერც კი ვიხსენებ, ბოლოს როდის ვნახე მსგავსი რამ.*

**ლევან ბიბილაშვილი**



შაბათს „კარდიფთან" პეტრ ჩეხმა პრემიერლიგაში მე-300 თამაში ჩაატარა

ამბები

## დაკავებულია ორი გულშემატკივარი

**ბირმინგემის** „ვილა პარკზე" „ასტონ ვილა"-"ტოტენჰემის" შეხვედრის 31-ე წუთზე სტუმართა გულშემატკივრების სექტორიდან გვერდითა არბიტრ **დევიდ ბრაიანს** შესანიღბი საკვამლე კოჭა ესროლეს და კეფაში გაარტყეს. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა პოლიციამ ხულიგნობაში ეჭვმიტანილები მაინც დააკავა. სამართალდამცავები მათ ვინაობას არ აკონკრეტებენ, თუმცა განცხადებაში მითითებულია ბრალდებულთა ასაკი - 25 და 47 წლის. მათ საქმეს სასამართლო უახლოეს მომავალში განიხილავს.

## ჰოჯსონი და ფერდინანდი ისევ ერთად

**ინგლისის** ნაკრების თავკაცი, 66 წლის **როი ჰოჯსონი** და „მანჩესტერ იუნაიტედის" 34 წლის ცენტრალური მცველი **რიო ფერდინანდი** ისევ იმუშავებენ ერთად, ოღონდ არა ეროვნულ გუნდში. ისინი საფეხბურთო ასოციაციის მიერ შექმნილი კომისიის მუშაობაში ჩაერთვებიან, რომელმაც პრემიერლიგაში ლეგიონერთა არანორმალური მოზღვავების გამო სპეციალური ღონისძიებები უნდა დასახოს, რაც, პირველ რიგში, სწორედ ნაკრების ინტერესებში შედის. ფერდინანდი ერთ-ერთია იმ მოთამაშეთა შორის, ვინც ამ თემაზე უკვე დიდი ხანია ლაპარაკობს.

## ევრა წასვლაზე ალაპარაკდა

**2014 წლის** ივნისის ბოლოს **პატრის ევრასა** და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ვადა გასდის. კლუბს 32 წლის ფრანგისთვის დარჩენა ჯერ არ შეუთავაზებია. მეტიც, მთელი ზაფხულის განმავლობაში ისმოდა ხმები, რომ „ეშმაკები" კვალიფიციურ მარცხენა მცველს ეძებდნენ. სახელდებოდა **ფაბიო კოენტრაუსა** და **ლეიტონ ბეინსის** სახელები. თუმცა მათთან თანამშრომლობა არ შედგა. „ვნერვიულობ თუ არა ამის გამო? ოდნავადაც არა. აშკარაა, კლუბი არც აპირებს მოლაპარაკებების დაწყებას," - აცხადებს ევრა.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მესამე ტურის წინ

# ლონდონში არაამქვეყნიურ ფეხბურთს ველით

## მილანს სან სირო თუ დაიფარავს

**E ჯგუფი**

**შალკე-ჩელსი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - უჩიდა, ფელიპე სანტანა, ჰიოვედესი, აოგო - ნოიშტედტერი, ჰიოგერი - კლემენსი, მეიერი, დრაქსლერი - სალაი.

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, ბერტრანი - ლამპარდი, რამირესი - ოსკარი, მატა, აზარი - ტორესი.

**არბიტრი:** ვიქტორ კაშაი (უნგრეთი)

**სტიაუა-ბაზელი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სტიაუა (4-2-3-1):** ტატარუშანუ - გეორგიევსკი, სუკალა, გარდოში, პარვულესკუ - ბურჩეანუ, პინტილი - პოპა, სტანჩუ, ტანასე - პიოვაკარი.

**ბაზელი (4-4-1-1):** ზომერი - ფოზერი, ივანოვი, შერი, ტ. ჯაკა - სალა, დელგადო, ფრაი, ანდრისტი - შტოკერი - შტრელერი.

**არბიტრი:** მატეი იუგი (სლოვენია)

**F ჯგუფი**

**არსენალი-დორტმუნდი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი - არტეტა, რემსი - კასორლა, იოზილი, უილშირი - ჟირუ.

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ობამეიანგი, მხითარიანი, როისი - ლევანდოვსკი.

**არბიტრი:** იონას ერიკსონი (შვედეთი)

**მარსელი-ნაპოლი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა - ფანი, ნ'კულუ, დიავარა, მენდი - რომაო, იმბულა - აიუ, ვალბუენა, ტოვენი - ჟინიაკი.

**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - მაჯო, რაულ ალბიოლი, პ. კანავარო, არმერო - ინლერი, ბეჰრამი - ხოსე კალეხონი, ჰამშიკი, ინსინიე - იგუაინი.

**არბიტრი:** ჯიუნეით ჩაქირი (თურქეთი)

**G ჯგუფი**

**აუსტრია-ატლეტიკო 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**აუსტრია (4-3-3):** ლინდნერი - დილავერი, როგული, ორტლეხნერი, ზუტნერი - სიმკოვიჩი, ჰოლანდი, მადერი - სპირიდონოვიჩი, ჰოსინერი, იუნი.

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ლუისი - კოკე, ტიაგო, გაბი, თურანი - დიეგო კოშტა, ვილია.

**არბიტრი:** დანიელე ორსატო (იტალია)

**პორტუ-ზენიტი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ (4-3-3):** ელტონი - დანილო, მანგალა, ოტამენდი, ალექს სანდრო - დეფური, ფერნანდო, ჟოსუე - ვარელა, ჯეკსონ მარტინესი, კინტერო.

**ზენიტი (4-2-3-1):** ლოდიგინი - სმოლნიკოვი, ნეტო, ლომბერტსი, ანსალდი - ზირიანოვი, ფაიზულინი - არშავინი, შიროკოვი, დანი - ჰალკი.

**არბიტრი:** პაოლო ტალიავენტო (იტალია)

**H ჯგუფი**

**მილანი-ბარსელონა 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-1-2):** ამელია - აბატე, საპატა, მექსე, კონსტანტი - მონტოლივო, დე იონგი, მუნტარი - რობინიო - მატრი, ბირსა.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, ბარტრა, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - სანჩესი, მესი, ნეიმარი.

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)

**სელტიკი-აიაქსი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სელტიკი (4-4-2):** ფორსტერი - ფიშერი, დიკი, ამბროუზი, მალგრიუ - პუკი, ფორესტი, ლედლი, კაიალი - სამარასი - სტოუკსი.

**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი - ვან რინი, მოისანდერი, დენსვილი, ბლინდი - სერერო, შიონე, დუარტე - ფიშერი, ჰუსენი, სანა.

**არბიტრი:** ივან ბებეკი (ხორვატია)

**დღის მთავარი მატჩები „არსენალი"-"დორტმუნდი" და უკვე ლამაზ ტრადიციად ქცეული „მილანი"-"ბარსელონაა". ფეხბურთის გურმანებს ასარჩევად გვაქვს საქმე - პირველ რიგში, ინგლისურ-გერმანულ დაპირისპირებას მივადევნოთ თვალყური თუ იტალიურ-ესპანურს. ფაქტია, რომ ორივე შეხვედრისგან დიდი მოლოდინია და არც სხვა თამაშებია ინტერესს მოკლებული, თუნდაც „შალკე"-"ჩელსი".**

### E ჯგუფი:
### გადავა ჩელსი პირველ ადგილზე?

ლონდონის „ჩელსის" საქმე ნელ-ნელა უკეთ მიდის. **ჟოზე მოურინიო** პრემიერლიგაში პირველი ადგილისკენ მიისწრაფვის და ახლა ჩემპიონთა ლიგაში აქვს ვითარება დასალაგებელი. სენსაციური სტარტის მერე, „ლურჯებმა" ჯგუფის უდავო ფავორიტის სტატუსი უნდა გაამართლონ და „შალკეს" მოუგონ. სათქმელად ადვილია, მაგრამ გასაკეთებლად არც ისე. მას მერე, რაც **იენს კელერმა** კრიზისი დაძლია, მისი „შალკე" მშვენივრად ათამაშდა და კარგ ფორმაშია, გელზენკირხენელებს ყველა ტურნირზე ჩატარებული ბოლო 10 მატჩიდან 8 მოგებული აქვთ. ბუნდესლიგის წინა ტურში „ხუმარები" ორჯერ აგებდნენ ბრაუნშვაიგის „აინტრახტთან", მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელების ყოჩაღობის წყალობით, საბოლოოდ მაინც იმარჯვეს - ჯერ 18 წლის **მაქს მეიერმა** გაათანაბრა, მერე ასევე 18 წლის **ლეონ გორეცკამ**, ხოლო გამარჯვებისა 25 წლის რომან ნოიშტედტერმა გაიტანა 90-ე წუთზე. ასე რომ, კელერის ახალგაზრდული გუნდი, რომლის საშუალო ასაკი 25 წელიც არ არის, კარგ ხასიათზეა და ერთადერთი რაც „აუფშალკეს" ან თუ გნებავთ „ფელტინს არენას" ბინადრებს გუნებას უფუჭებთ ის არის, რომ **კლაასიან ჰუნტელაარი** და **ჯეფერსონ ფარფანი** ისევ ტრავმირებულნი არიან, ხოლო **კევინ-პრინს ბოატენგის** თამაში საეჭვოა. ეს რომ მათ შემტევ პოტენციალს ამცირებს და მრავალფეროვნებას აკლებს, ცხადზე უცხადესია.

„ჩელსი" ნელ-ნელა კი განიცდის პროგრესს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო და ამას არც თავად მოურინიო უარყოფს. კვლავ ძალაშია თავდამსხმელის პრობლემა. ლონდონელთა ფორვარდებს გოლების გატანა უჭირთ. „კარდიფთან" მატჩში **სამუელ ეტოო** გახდა გუნდის პირველი თავდამსხმელი რომელმაც გოლი გაიტანა. ტრავმის გამო ვერ ითამაშებს **ეშლი კოული. მარკო ვან გინკელის** არყოფნა ძველი ამბავია. **ანდრე შურლეს** თამაში კი საეჭვოა. უკვე მოურინიოს საყვარელი ფეხბურთელი გუნდს სამშობლოში გაჰყვა, მაგრამ ითამაშებს თუ არა, უცნობია, მედიკოსების საბოლოო დიაგნოზს ველოდებით.

E ჯგუფის მეორე შეხვედრაზე სათქმელი ბევრი არაფერია. თუ „სტიაუას" რაიმეზე პრეტენზია აქვს, ეს შეხვედრა უნდა მოიგოს, რომ მესამე ადგილისთვის მაინც შეძლოს გაბრძოლება. თავის მხრივ, მოსაგები აქვს **მურატ იაკინის** „ბაზელსაც", რადგან ლონდონში მოპოვებულ ბონუს სამ ქულას თუ რუმინელებთან ალებული 6 დაამატეს, ჯგუფიდან გასვლა რეალური გახდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ჩელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-2 | 3 |
| 3. ბაზელი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. სტიაუა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

### F ჯგუფი:
### ვინ იფრენს ემირატებზე?

„ემირატებზე" ერთმანეთს ორი ლამაზი გუნდი შეხვდება და ვნახოთ, ამჯერად როგორ იფრენენ „არსენალი" და „დორტმუნდი". მოლოდინი რასაკვირველია უდიდესი გვაქვს - მაღალი ხარისხის ფეხბურთი, სუპერსანახაობრივი შოუ და გოლები. ის, რაც „მეთოფეებმა" „ნორვიჩთან" შეხვედრაში გააკეთეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ფეხბურთიც ხელოვნებაა. ასეთი დახატული თამაში აი „იმ" ძველ „არსენალსაც" კი შეშურდებოდა, რომელსაც „ხელშეუხებელნი" შეარქვეს და რომელიც არაამქვეყნიურ ფეხბურთს გვთავაზობდა. **არსენ ვენგერს** ბრწყინვალე რიმეიქი გამოუვიდა, რომელსაც **ბრაიან დე პალმაც** სიამოცნებით მოაწერდა ხელს. **ჯეკ უილშირის** გოლისას გათამაშებული კომბინაციის ვიდეოჩანაწერი აუცილებლად კოსმოსში უნდა გაიგზავნოს. იქამდე კი მიწაზე დავეშვათ და აღვნიშნოთ, რომ ლონდონელები მომგებიან პოზიციაში არიან, ისინი ლიდერობენ და „დორტმუნდთან" ზედიზედ ორი პრინციპული დაპირისპირებიდან პირველს საკუთარ კედლებში მართავენ. თუ ვენგერის ბიჭები ამ შეხვედრას მოიგებენ, უკვე შეგვეძლება წინ გასწრება მოვლენებისთვის და იმის თქმა, რომ „არსენალი" გასულია. ვფიქრობ, ისედაც გასულია, მაგრამ მაინც.



არსენ ვენგერის ახალი „ხელშეუხებელნი"

ბუნებრივია თავისას ეცდება „დორტმუნდი", რომელიც არანაკლებ ლამაზი გუნდია და თუ რა შეუძლია და თან სტაბილურად, წინა სეზონშიც გვიჩვენა. თვის დასაწყისში „გლადბახთან" წაგება ცოტა მოულოდნელი და კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო, მაგრამ ხდება ხოლმე და **იურგენ კლოპის** გუნდიც რიხიანად აგრძელებს რამდენიმე ფრონტზე ბრძოლას. კლოპს ამ შეხვედრაში **სებასტიან კელი, ილქაი გიუნდოგანი** და **ლუკაშ პიშჩეკი** დააკლდებიან. ძველებურად გადატვირთულია „არსენალის" ლაზარეთიც: **ტომას ვერმაელენი, აბუ დიაბი, იაია სანოგო, თეო უოლკოტი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ლუკას პოდოლსკი, მატიე ფლამინი...** თუმცა ეს „მეთოფეებს" ხელს სულაც არ უშლით დიდებული ფეხბურთის თამაშში და განსაკუთრებით **აარონ რემსი, ჯეკ უილშირი** და **ოლივიე ჟირუ** უნდა გამოვარჩიოთ. ჟირუ, რომელიც უკვე ისე ათამაშდა, თითქოს ვენგერის ხელში იყოს გაზრდილი და მთელი კარიერა „არსენალში" ჰქონდეს გატარებული. მოკლედ, გემრიელი მატჩი გველის...

ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფის მეორე შეხვედრა „მარსელსა" და „ნაპოლის" შორის. **ელი ბოპის** „ოლიმპიკი" ცუდ ფორმაშია და რეალობას თვალს თუ გავუსწორებთ, ამ ჯგუფიდან გამსვლელი ნამდვილად არ არის, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ შეიძლება. აი, ნეაპოლელებისთვის კი, ჩემი აზრით, სწორედ ფრანგებთან გასამართი ეს ორი შეხვედრა გამოდგება გადამწყვეტი და განსაკუთრებით, უშუალოდ ეს „ველოდრომზე" ჩასატარებელი მატჩი. თუ **რაფაელ ბენიტესს** ამ ჯგუფიდან გასვლა უნდა და ჩვენ ვიცით, რომ უნდა, მაშინ „მარსელის" კრიზისით სარგებლობა და ამ შეხვედრის მოგებაა საჭირო. ბოლოს კი ვთქვათ, რომ ორივე გუნდს თითო მცველი აკლია, მასპინძლებს - **ლუკაშ მენდეში**, ხოლო სტუმრებს - **მიგელ ბრიტოსი**.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 3. ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. მარსელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### G ჯგუფი:
### ჰალკი დრაკონების წინააღმდეგ

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „აუსტრიასაც" და „ატლეტიკოსაც" ბევრი გოლი გააქვთ, წესით, უხვგოლიანი შეხვედრა უნდა გამოვიდეს. ვენელებს შემტევი სტილი აქვთ, **ნენად ბიელიცა** მათ ცოტა ავანტიურულ ფეხბურთსაც კი ათამაშებს და „აუსტრია" ალბათ ისევ შეტევაში გაიქცევა. მადრიდელებმა უიქენდზე „ბარსელონას" წაფორხილებით ვერ ისარგებლეს და ჩემპიონატში პირველ ადგილზე გადასვლის შანსი დაკარგეს. მეტიც, მათ სულაც წააგეს „ესპანიოლთან" და „ბარსა" ქულით წინ გაუშვეს, ხოლო თანაქალაქელი „რეალი" მოიახლოვეს. ეს ნიშნავს, რომ **დიეგო სიმეონე** ძალიან გაბრაზებულია, ხოლო როცა არგენტინელი გაბრაზებულია მის წინააღმდეგ ყოფნას არავის ვუსურვებდით. „ატლეტიკო" **ლეო ბაპტიშტაოს** მოისაკლისებს, ხოლო **მირანდას** თამაში საეჭვოა. რაც მთავარია, ევროსარბიელზე მინდორს უბრუნდება შესაშურ ფორმაში მყოფი **დიეგო კოშტა**. ავსტრიელებს კი ორი **ალექსანდრი** დააკლდებათ - **გორგონი** და **გრუნვალდი**. ისე კი გირჩევდით, რომ განსაკუთრებული ყურადღება „აუსტრიას" სამ ფეხბურთელს მიაქციოთ - მეკარე **ჰაინც ლინდნერს**, მცველ **მანუელ ორტლეხნერსა** და თავდამსხმელ **ფილიპ ჰოსინერს**.

„პორტუმ" საკუთარ მოედანზე „ატლეტიკოსთან" წაგებით საქმე გაირთულა და ახლა „ზენიტთან" შეხვედრაში ძალიან ყურადღებით უნდა იყოს, **პაულო ფონსეკას** „დრაკონებმა" **ლუჩანო სპალეტის** სანკტპეტერბურგელებთან მინიმუმ 4 ქულა უნდა აიღოს. რა თქმა უნდა, ყველას გვაინტერესებს, რას იზამს **ჰალკი** თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. **აქსელ ვიტსელი** რუსებს დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლებათ, ხოლო **იგორ ბაბურინი** ტრავმირებულია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. აუსტრია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 4. ზენიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

### H ჯგუფი:
### ტრავმირებული მილანი და გულგატეხილები გლაზგოში

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, „მილანი"-"ბარსელონაზე" ახალი და ბევრი სათქმელი ნამდვილად არაფერი გვაქვს. ალბათ ფეხბურთელები თავად გვეტყვიან ყველაფერს მინდორზე და წესით, ძალიან კარგი თამაში უნდა გამოვიდეს. რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ „როსონერის" კრიზისზე და პრობლემებზე, ეს „მილანია" და მას ყოველთვის შეუძლია ნებისმიერის თავისუფლად დამარცხება, თანაც ჩემპიონთა ლიგაზე კარგად თამაში ამ კლუბს სისხლში აქვს გამჯდარი. კატალონიელები ისე მქუხარედ ველარ გამოიყურებიან, მაგრამ **ხერარდო მარტინო** ეტაპობრივად ალაგებს სიტუაციას, თავად ნელ-ნელა ეჩვევა „ბარსას" და კატალონიელები ეჩვევიან მას. რაც მთავარია **ლიონელ მესი** დაბრუნდა და ცხადია, „სან სიროს" სტუმრები ფავორიტები არიან. „მილანს" არც **მარიო ბალოტელი** ეყოლება, არც **ჯამპაოლო პაცინი**, არც **სტეფან ელ შაარავი** და ასე შემდეგ... **მასიმილიანო ალეგრის** ისევ უამრავი ფეხბურთელი აკლია და რთულ სიტუაციაშია. ალბათ ძირითადში ვიხილავთ **ვალტერ ბირსას**, რომელმაც ულამაზესი გოლით მოაგებინა „მილანს" „უდინეზესთან". ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ალეგრის არჩევნის საშუალება არც აქვს.

„სელტიკი"-"აიაქსი" ისეთი თამაშია, რომელმაც წესით პასუხი უნდა გასცეს შეკითხვას, თუ რომელი მათგანი შეძლებს ბრძოლის გაგრძელებას მეორე ადგილისთვის. ფრე დიდად არც ერთს აძლევს ხელს, პირველ რიგში დაზავებაზე ყაბულს მასპინძლები ვერ იქნებიან. **ნილ ლენონის** „სელტიკმა" ჯგუფის ორივე შეხვედრაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ მაინც 0 ქულა აქვს და გლაზგოელები ახლა მოსაგებად ყველაფერს გააკეთებენ. ერთი ესაა, მათ თითქმის ნახევარი გუნდი არ ჰყავთ, მათ შორის - **კრის კომონსი, სკოტ ბრაუნი** და **ადამ მეტიუზი. ემილიო ისაგირესა** და **მიკაელ ლუსტიგის** მინდორზე გასვლა კი სათუოა. ლენონი ვა-ბანკზე წავა და ამსტერდამელთა ერთ-ერთი შანსი ესეც არის. თავის მხრივ, ჰოლანდიელებიც დაჩაგრულები არიან, ალბათ გახსოვთ, როგორ დაკარგეს მათ 2 ქულა „მილანთან", რომელ წუთზე და რა ვითარებაში დანიშნული პენალტით. ასე რომ, ეს გულგატეხილების დაპირისპირებაა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. აიაქსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| 4. სელტიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**გიორგი კაკაბაძე**



ინდორ ჰოკეი



# ქუთაისი ზედიზედ მესამედ გაჩემპიონდა

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ინდორ ჰოკეიში ვაჟთა შორის, რომლის დასკვნითი ეტაპს ქუთაისის სპორტის სასახლემ 19-21 ოქტომბერს უმასპინძლა. წლევანდელ ჩემპიონატში თავდაპირველად 6 გუნდი ჩაერთო, მაგრამ მეორე წრეში „ოზურგეთი" უსახსრობის გამო გამოეთიშა გათამაშებას და ჩემპიონატი 5 გუნდით გაგრძელდა. პირველი წრის შემდეგ 13 ქულით „აჭარა" ლიდერობდა, რომელსაც ქულით ჩამორჩებოდა „ქუთაისი". საჩემპიონო ბრძოლა სწორედ ამ ორ გუნდს შორის გაიმართა. „ქუთაისმა" მეორე წრე კარგად წარმართა, პირველ მატჩში „თბილისი" დაამარცხა 7:2, შემდეგ „აბაშას" (12:1) და „ლანჩხუთს" (11:1) სძლია და „აჭარასთან" გადამწყვეტ ბრძოლას კარგ განწყობაზე შეხვდა. საჩემპიონო მატჩამდე ბათუმელებმა „ლანჩხუთი" (11:5) და „აბაშა (10:0) იოლად დაამარცხეს, მაგრამ ახალგაზრდა ჰოკეისტებით დაკომპლექტებულ „თბილისთან" წაიფორხილეს. დაძაბული შეხვედრა ფრედ 3:3 დაასრულეს და „ქუთაისთან" მატჩის წინ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ფინალისდარ შეხვედრაში ზღვისპირელებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს, ტურნირის მასპინძლებს კი ჩემპიონობისთვის ფრეც ჰყოფნიდათ. გადამწყვეტი დაპირისპირება საინტერესო და დაძაბული გამოდგა. თავდაპირველად „ქუთაისი" ჩაუქობდა და **სოსო კუხიანიძის** დუბლით დაწინაურდა კიდეც - 2:0, მაგრამ სტუმრებმა თამაში გამოასწორეს და **გია თევდორაძის** გოლებით ანგარიში გაათანაბრეს - 2:2. დარჩენილ დროში ორივე გუნდს ჰქონდა გატანის შანსი, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და „ქუთაისი" (მწვრთნელები: **დავით მოდებაძე, ხვიჩა ჯავახაძე**) ზედიზედ მესამედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. გამარჯვებული გუნდი მომავალი წლის 24-26 თებერვალს სერბეთში ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. სხვათა შორის, ქალთა შორის ჩემპიონატშიც, რომელიც ოზურგეთის სპორტის სასახლეში გაიმართა, გამარჯვებული „ქუთაისი" გახდა. მესამე ადგილზე „თბილისი" გავიდა, მეოთხე და მეხუთე ადგილებზე კი შესაბამისად „აბაშა" და „ლანჩხუთი" აღმოჩნდნენ.

**ავთო თევდორაძე** (საქართველოს ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი) „ჩემპიონატის დონემ საგრძნობლად მოიმატა. გათამაშებას თავისი ხიბლი შესძინა „თბილისმა", რომელიც მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონატს დაუბრუნდა და პირველივე ცდაზე მესამე ადგილი დაიკავა. კარგი პირობები აქვთ შექმნილი „აჭარას" და „აბაშას". ყოველივე ამის ფონზე ძალიან სამწუხაროა გურიის რეგიონში სპორტის ამ სახეობის მიმართ დამოკიდებულება. გურიაში ყოველთვის კარგი გუნდები იყო, მაგრამ რატომღაც, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ახალი ხელმძღვანელობის პირობებში ჰოკეი დაბლოკილია, ყველა შეჯიბრების წინ გვიწევს მათთან ჩასვლა და ხვეწნა-მუდარა. ოზურგეთში გუნდი ფაქტობრივად დაიშალა, „ლანჩხუთს" კი, რომელიც გოგონებში პირველ, ვაჟებში კი მესამე ადგილზე იყო, ხელი არ შეუწყვეს და უყურადღებოდ მიტოვებულმა გუნდებმა ყველა თამაში წააგეს. რომ არა ეს სამწუხარო ფაქტი, წლეულს საქმე მნიშვნელოვნად გამოსწორდა. წინა წლებისგან განსხვავებით სპორტის სამინისტროსგან გარკვეული დაფინანსება მივიღეთ და არაერთი შეჯიბრება ჩავატარეთ. ახლო მომავალში ვგეგმავთ წყალტუბოს რეგიონში ჰოკეის გუნდების ჩამოყალიბებას და ჩემპიონატში მათ ჩართვას... ბოლოს, ვულოცავ „ქუთაისს" ჩემპიონობას და იმედი მაქვს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს გუნდი ევროთასებისთვის კარგად მოემზადოს და სერბეთში ღირსეულად იასპარეზოს. აღსანიშნავია ისიც, რომ იანვარში საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრებები ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებენ. ორ კვირაში დავასახელებთ ორივე ნაკრების შემადგენლობას და დავიწყებთ ევროპისთვის მზადებას. ძალიან კარგი ახალგაზრდობა მოდის როგორც ბიჭებში, ასევე გოგონებში და იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო სარბიელზეც გამოვიჩენთ თავს".

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ჩოგბურთი

# ანა 19 საფეხურით დაწინაურდა

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) განახლებულ რეიტინგში **ანა ტატიშვილმა** მაკონის (აშშ) ტურნირზე მოპოვებული 50 ქულის წყალობით 19 ადგილით წინ გადაინაცვლა. როკ ჰილის (აშშ) ფინალისტობისთვის დამსახურებული 34 ქულა მომავალი ორშაბათისთვის დაერიცხება.

WTA-ს კლასიფიკაციას კვლავ დაუბრუნდნენ **თამარ ჭალაგანიძე** და **მარიამ ბოლქვაძე**, რომლებიც 3-3 ქულით მეორე ათასეულში არიან. სულ კი რეიტინგში 8 ქართველია: 158 (177). ანა ტატიშვილი (397), 231 (233). **სოფიო შაფათავა** (245), 274 (276). **ოქსანა კალაშნიკოვა** (182), 517 (482). **მაკა ჩახნაშვილი** (71), 594 (572). **ეკატერინე გორგოძე** (49), 717 (723). **სოფიო ქვაცაბაია** (28), 1188 (1191). თამარ ჭალაგანიძე (3), 1200 (1202). მარიამ ბოლქვაძე.

წყვილებში: 52 (51). ოქსანა კალაშნიკოვა (1742), 84 (84). ანა ტატიშვილი (1033), 219 (221). სოფიო შაფათავა (296), 449 (448). ეკატერინე გორგოძე (106), 509(509). სოფიო ქვაცაბაია (85), 666 (659). მაკა ჩახნაშვილი (47), 1213 (1214). თამარ ჭალაგანიძე (4), 1237 (1237). მარიამ ბოლქვაძე (3).

მიმდინარე კვირას ქართველი ჩოგბურთელები აქტიურად ჩაებმებიან სხვადასხვა შეჯიბრებაში. ანა ტატიშვილი ამერიკაშივე რჩება და ფლორენსიის 25.000-იან ტურნირში ითამაშებს. სავარაუდოდ, მე-4 ნომრად განითესება. რეიტინგფავორიტად მარიანა დუკე-მარინო (კოლუმბია) რჩება, რომელმაც როკ ჰილის ფინალში ტატიშვილს აჯობა. მეორე-მესამე ნომრები იქნებიან მიჩელე დებრიტო (პორტუგალია) და მედისონ ბრენგლი (აშშ).

ამომავალი მზის ქვეყანაში იმყოფება სოფიო შაფათავა. ამჯერად ჰამამაცუს ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) იასპარეზებს. ჩვენებური მესამე ნომერია და გზიდან „უაილდ ქარდით" მოწვეული ნაცუმი ჩიმურას ჩამოშორებას (იაპონია) შეეცდება (ამ ტურნირზე პირველი ნომერია ყაზახი ზარინა დიიასი).

წყვილებში შაფათავა შვეიცარიელ ბელინდა ბენჩიჩთან არის შეამხანაგებული და სტარტზე იაპონელების - მიიაბი ინოუეს და ჩიაკი ოკადაეს დუეტს დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში პირველ ნომრად განთესილ მიკი მიიამურას და აკიკო ომაეს (ორივე-იაპონია) ტანდემს შეხვდება.

ანტალიაში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომლის ძირითად ბადეში ორი ქართველი იასპარეზებს. ეკატერინე გორგოძე მე-7 ნომერია და სტარტზე კვალიფიკაციიდან აღზევებულ კატერინა სტრესნაკოვასთან (სლოვაკეთი) გაარკვევს ურთიერთობას. სოფიო ქვაცაბაია ბელგიელ კიმბერლი ციმერმანს გაუწევს მეტოქეობას.

წყვილებში გორგოძემ და ეკატერინა ნიკლაურმა (რუსეთი) პირველ წრეში გულნაზ დოკი (ყაზახეთი) და ვალერია მაკსიმჩენკო (რუსეთი) დაამარცხეს - 6:3, 6:1 და მეოთხედფინალში ასპარეზობის რეიტინგფავორიტებს — მარი ბენოიტსა და კიმბერლი ციმერმანს (ორივე-ბელგია) შეხვდებიან. ქვაცაბაიამ და მასპინძელმა ესენ კოკჩემ მესამე ნომრად განთესილ კამილ ჩელისა და ალიქს კოლომბონის (ორივე-საფრანგეთი) დუეტთან წააგეს - 5:7, 2:6.

## მეტრეველი ძირითად ბადეში

თბილისელი ჩოგბურთელი **ალექსანდრე მეტრეველი** ყაზახეთში ვაჟთა 10.000-იან ტურნირში მონაწილეობს. საკვალიფიკაციო ეტაპზე მან ორ მეტოქეს აჯობა (მასპინძელ სერიჟან აბდუხალიკოვს-7:5, 6:2 და ესპანელ ხოსე ვიდალ აზორინს-6:3, 6:1) და ძირითად ბადეში მოხვდა. აქ კი პირველ წრეში იან საბანინს (რუსეთი) გაუწევს მეტოქეობას. პროფესიონალ ჩოგბურთელ ვაჟთა ასოციაციის რეიტინგში (ATP) მეტრეველს 7 ქულით 1119-ე ადგილი უკავია.

**ვაჟა დანელია**


ანა ტატიშვილი

ბატუტზე ხტომა



# დუშეთში ემზადებიან

ბულგარეთის დედაქალაქი სოფია 3-19 ნოემბერს ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის **ზაურ სულაშვილის** (მწვრთნელები - **ლია ხრიკული, ვლადიმირ გოლოვინი, ზურაბ კიკნაძე, ირმა სოლოლაშვილი**) ხელმძღვანელობით თბილისში ემზადებოდა, 16 ოქტომბრიდან კი ნაკრებმა დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე გადაინაცვლა და იქ განაგრძობს საწვრთნელ შეკრებას. სპორტსმენები დუშეთში თვის ბოლომდე დარჩებიან. ნაკრების თავკაცმა გუშინ ბულგარეთში წამსვლელთა ვინაობა დაგვისახელა.

სოფიაში 3-10 ნოემბერს უფროსები იასპარეზებენ. აქ ჩვენებურთაგან ერთეულებში მედლებისთვის **ლუბა გოლოვინა, თენგიზ კოშკაძე** და **თამარ კაკაშვილი** იბრძოლებენ. 11-19 ნოემბერს სარბიელზე ახალგაზრდები გავლენ. საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: 13-14-წლიანებში - **ქრისტინე სორდია**; 15-16-წლიანებში - **თეონა ჯანჯღავა, ანა ოდიშვილი** და **ზურაბ ნოზაძე** ერთეულებში, ჯანჯღავა და ოდიშვილი სინქრონულ ხტომებში; 17-18-წლიანებში - **ნანა გოგაშვილი** ერთეულებში; სინქრონულში იგი ქრისტინე სორდიას შეუწყვილდება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ჩვენებურები სხვათა ღირსებას იცავენ

როდოსზე (საბერძნეთი) სტარტი აიღო ვაჟთა 29-ე და ქალთა მე-18 საკლუბო ჩემპიონატმა, რომელშიც 64 გუნდი მონაწილეობს, თუმცა მათ შორის საქართველოს გუნდებს ვერ ვხედავთ, არადა, მანდილოსნებს მსგავს შეჯიბრებებში არაერთხელ უსახელებიათ თავი. ყოველივეს მიუხედავად, ტურნირზე ორი ქართველი მაინც ცდის ძალებს. **ლელა ჯავახიშვილი** სომხეთის „მიკას" ღირსებას იცავს. პირველ ტურში ერევნის კლუბმა ვილნიუსელები დაჯაბნა 3:1. ლელა ჯავახიშვილმა და ელინა დანიელიანმა, შესაბამისად, ჯინეტარე პაულაუსკაიტეს და დომინიკა ბატკოვსკიტეს აჯობეს, ხოლო ჰარიკა დრონავალი და ლილით მკრტიჩიანი დეიმანტე დაულიტესა და სალომეა ზასკაიტეს დაუზავდნენ. მეორე ტურში „მიკა" ვარსკვლავებით დახუნძლულ ევროპის მრავალგზის ჩემპიონ "მონტე კარლოსთან" დამარცხდა - 1,5:2,5 (ჰარიკა დრონავალი-ჰოუ იფანი 0,5:0,5, ლილით მკრტიჩიანი-ჰამფი კონერუ 0,5:0,5, ელინა დანიელიანი-ანა მუზიჩუკი 0:1, ლელა ჯავახიშვილი-პია კრამლინგი 0,5:0,5).

**ბადურ ჯობავა** როსტოვის კლუბში გამოდის. პირველ ტურში მისმა თანაგუნდელებმა „აკრეს აპელდორნი" (საფრანგეთი) გაანადგურეს- 6:0. ჯობავამ შავი ფიგურებით როლანდ პრუიჯსერსი დაამარცხა. როსტოველებმა მე-2 ტურში იტალიის "ბოლონიას" სძლიეს - 4.5:1.5 (გუშინ ჯობავა ისვენებდა). ვაჟებში რეიტინგფავორიტია აზერბაიჯანის "სოკარი", რომელმაც ორივე შეხვედრა დიდი ანგარიშებით მოიგო.

**ვაჟა დანელია**


მარჯვნივ ბადურ ჯობავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# მსოფლიოზე მედლებს ზედა წონებში მოველით

გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრებმა მსოფლიოს პირველობისათვის მოსამზადებლად დასკვნითი შეკრება დაასრულა. სეზონის ეს უმთავრესი შეჯიბრება ლუბლიანაში (სლოვენიაში) 23-27 ოქტომბერს გაიმართება. ამავე შეჯიბრებაზე პირველად ძიუდოს ისტორიაში, ამ ასაკში მსოფლიოს გუნდური პირველობაც ჩატარდება. შეგახსენებთ ჩვენი გუნდის შემადგენლობას: **ლერი ჭელიძე** (55 კგ), **გელა კელიხაშვილი** (66), **ლევან გუგავა, ფრიდონ გიგანი** (ორივე – 73), **ბექა დონლევანი** (81), **ბექა ღვინიაშვილი, ლაშა ტაველური** (ორივე – 90), **გურამ თუშიშვილი** (100), **ლევან მატიაშვილი, გიორგი ზაქარიაძე** (+100). შეკრების ბოლო დღეს მთავარ მწვრთნელ **გია გუგავას** ვესაუბრეთ.

**- ნაყოფიერი გამოდგა შეკრება?**

- ამაზე უკეთ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვისაუბრებთ, თუმცა ბიჭების მომზადების დონით ამჟამად კმაყოფილი ვართ. საბედნიეროდ, ტრავმები არ არის. გორში მოსამზადებლად შემთხვევით არასოდეს ჩამოვდივართ. ნაკრების წევრებს აქ ძლიერი სპარინგ პარტნიორები მრავლად ჰყავთ, საცხოვრებელი პირობებიც კარგია და კვებაც, ამიტომ, უკვე ტრადიციულად, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების წინ დასკვნითი შეკრებებისთვის გორს ვირჩევთ.

**- ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებს შორის შუალედი მოკლე იყო. გუნდი სათანადო კონდიციებში ხვდება ზედიზედ მეორე მნიშვნელოვან სტარტს?**

- შესვენება თითქმის არ გვქონია. ევროპის პირველობიდან ჩამოსულებმა ერთ კვირაში ისევ შეკრება დავიწყეთ, რომელიც დასრულდა და ორიოდ დღეში უკვე სლოვენიაში ვიჭიდავებთ. ფსიქოლოგიურად კი არიან ბიჭები ოდნავ გადაღლილი, მაგრამ საგანგაშო არაფერია. მთავარია, რომ გუნდის მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია.



გია გუგავა

**- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შემადგენლობაში ცვლილებებისას რა გაითვალისწინეთ?**

- სლოვენიაში მიგვყავს ყველა, ვინც ევროპაზე კარგად გამოვიდა. სხვების შეცვლისას ცხადია, უპირატესობა მივანიჭეთ, ვინც სადღეისოდ უკეთეს ფორმაშია. შედეგს ძირითადად ზედა წონის ფალავნებისგან ველით. ევროპაზეც მათ კარგად იასპარეზეს. ბექა ღვინიაშვილი (90) და გურამ თუშიშვილი (100) სულაც ჩემპიონები გახდნენ.

**- 60 კგ-ზე უარი რატომ თქვით?**

- ამ წონაში გვყავდა ვაჟა მარგველაშვილი, რომელმაც შარშან ევროპის ჩემპიონატის ფინალში იჭიდავა, მაგრამ წლეულს ველარ გამოვიდა კარგად. ის ძალიან პერსპექტიული ძიუდოისტია, მაგრამ ამ წონაში მისი გაჩერება საცოდაობაა, რადგან ბევრის დაკლება უწევს. შესაბამისად იგი არ მიგვყავს ლუბლიანაში. იგივე მიზეზით უარი ვთქვით მინდია ლოლიჯაშვილზე, რომელიც ასევე უმჯობესია, თუ 55 კგ-დან 60-ში აინაცვლებს.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდური პირველობა პირველად ტარდება. როგორ გგონიათ, გუნდურში უფროსების წარმატებებს აუბამენ მხარს ახალგაზრდები?**

- ცხადია, ჩვენც ყოველნაირად შევეცდებით საუკეთესო შედეგი ვაჩვენოთ როგორც პირად, ისე გუნდურ პირველობაში. სხვათა შორის, გარკვეულწილად 60 კგ-ზე უარის თქმა სწორედ გუნდური პირველობის ფაქტორიდან გამომდინარეობდა. კერძოდ, იქ 66 კგ-დან იწყება ასპარეზობა და თუ ევროპაზე 66 კგ-ში არ გვყავდა მონაწილე, ამჯერად ამ წონაში მონაწილე გელა კელიხაშვილია და 60-ზე საერთოდ უარი ვთქვით. მართალია, იმის ხარჯზე, რომ ორ-ორი მონაწილე გვყოლოდა 90 და + 100 კგ-ში. ამ წონებზე უარს ვერ ვიტყოდით. მათგან როგორც პირად, ისე გუნდურ პირველობაში მედლებია მოსალოდნელი.

**- ჩემპიონატში გუნდური პირველობის ჩართვას როგორ აფასებთ?**

- საერთოდ ვფიქრობ, რომ გუნდური პირველობა მაყურებელში პირადზე უფრო დიდ ინტერესს იწვევს. ეს ჯერ ექსპერიმენტია, მაგრამ მე მომწონს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



# პიროაკა ბრუნდება

ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ სპორტს უბრუნდება ცნობილი იაპონელი ძიუდოისტი, მსოფლიოს ორგზის ვერცხლის მედალოსანი და ლონდონის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ჰიროაკი ჰიროაკა** (60). მუხლის ტრავმა მან სწორედ ოლიმპიადაზე მიიღო და რაკი მკურნალობა გაუგრძელდა, 28 წლის ასაკში კარიერის დასრულებასაც აპირებდა. ახლა აზრი შეიცვალა, თუმცა თავის წონით კატეგორიასაც ემშვიდობება და 66 კილოგრამში გადადის.

ჰიროაკა თბილისშიც რამდენჯერმეა ნამყოფი – ჯერ კიდევ სულ პატარა ბიჭი, ახალგაზრდებში რომ ჭიდაობდა, პარალელურად კი ეროვნულ ნაკრებში დგამდა პირველ ნაბიჯებს. 2006 წელს ჩვენს ტურნირზე მეორეზეც გავიდა, როცა ფინალი ფრანგ **დმიტრი დრაჟინთან** წააგო, 2007-ში კი ჩემპიონი გახდა. უცხოეთის პირველხარისხოვან შეჯიბრებებში პირველ წარმატებას უკვე მომდევნო წელს მიაღწია, როცა აზიის ჩემპიონატი მოიგო. იმავე სეზონში პეკინის ოლიმპიადაზეც იასპარეზა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, პირველივე ორთაბრძოლა წააგო ამერიკელ **ტარაიე ვილიამს-მურაისთან**. სამაგიეროდ, 2009-ში როტერდამში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა, სადაც უკრაინელთა ქართველ **გიორგი ზანტარაიასთან** წააგო და ვერცხლი ირგუნა. მომდევნო წელს მსოფლიოზე ბრინჯაოს დასჯერდა, რაც ცოტა მოულოდნელია იმ ფონზე, რომ ის ტურნირი ტოკიოში ჩატარდა. 2011 წელს ისევ გავიდა მსოფლიოს ფინალში, მაგრამ კვლავ ხელი მოეცარა. ამჯერად – უზბეკ **რიშოდ სობიროვთან**. 2012-ში, ლონდონში მესამედ იასპარეზა უპირველესი ტურნირის ფინალში, მაგრამ რუს **არსენ გალსტიანთან** წაგების გამო ვერ გაასამა და „მარად მეორედ" დარჩა.

ჰიროაკა კარიერის განმავლობაში სულ ოთხჯერ შეხვდა სამ ქართველს და დადებითი ბალანსიც აქვს. ჩვენებურთაგან მისი დამარცხება მხოლოდ **ნესტორ ხერგიანმა** შეძლო (მათ სულ ერთხელ იჭიდავეს), **ვახტანგ ხოსიტაშვილმა** ერთი, **დავით ასუმბანმა** კი ორივე პაექრობა წააგო იაპონელთან.

ახალ წონაში – 66-ში ჰიროაკას უძნელესი კონკურენციის დაძლევა მოუწევს თავად იაპონიის ნაკრებში, სადაც მას სამი ტიტულოვანი ფალავანი ხვდება – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი **მასაში ებინუმა**, მსოფლიოს ჩემპიონი **ჯუნპეი მორიშიტა** და მსოფლიოს წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **მასააკი ფუკუოკა**. საინტერესოა, რომ სამივე მათგანი ფუკუოკაზე ახალგაზრდაა, ხოლო ამათ ახალი თაობიდან კიდევ ვინ დაემატება უახლოეს წლებში, ეს ცალკე საუბრის თემაა.

ჰიროაკა არაა ერთადერთი გამონაკლისი, ვინც ოლიმპიადის შემდეგ 60 კილოგრამი კატეგორია დატოვა – 66-ში გადაინაცვლეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ლონდონის ოლიმპიადის პრიზიორმა სობიროვმა და მსოფლიოსა და ევროპის გამარჯვებულმა ზანთარაიამ. თავის მხრივ, დანაკლისია 66-შიც, რადგან, როგორც ცნობილია, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** უახლოეს ტურნირებში უკვე 73-ში იჭიდავებს.

## მეთევზე ხროლი

ჰიროაკასი არ იყოს, ჰოლანდიელი **ხენკ ხროლიც** (100) „მარად მეორეა", თუმცა ის იაპონელზე მეტად უიღბლოა – მსოფლიოს ჩემპიონატის სამი ფინალი წააგო! საინტერესოა, რომ მას ევროპის პირველობაზეც ამდენივე დასკვნითი პაექრობა წაუგია! თუმცა ამ 6 ვერცხლის გარდა, მის აქტივში ევროპის ჩემპიონატის ერთი ოქრო და ორი ოლიმპიური ბრინჯაოა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ვერცხლი ხროლმა წლეულს აგვისტოში მოიპოვა რიო დე ჟანეიროში, როცა აზერბაიჯანელ **ელხან მამადოვთან** ლამის მოგებული შეხვედრა წააგო. იქვე მორიგი უსიამოვნებაც დაემართა – მაჯა იტკინა და დღემდე მკურნალობს. სწორედ ამ სარეაბილიტაციო პერიოდში გულის გადასაყოლებლად ესპანეთში გაემგზავრა, სადაც თავს თევზაობითაც ირთობდა. აი, სწორედ იქ მოინადავლა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნადავლი – იმდენად ზარაქიანი ლოქო დაიჭირა, საინფორმაციო საშუალებებშიც მოხვდა – 226 სანტიმეტრიანი თევზი წონით 75 კილოგრამი იყო.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# საირხეშიც გაიხსნა

## ეს უკვე რიგით მე-14 სარბიელია, რომელიც ფონდ "ქართუს" დაფინანსებით გაშენდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ბიძინა ივანიშვილის** ინიციატივით დაწყებული ქართული საჭიდაო არენების აგების მასშტაბური პროექტი მთავრობის მეთაურის მშობლიურ რაიონშიც „ჩავიდა". ქართული ჭიდაობის ფედერაციამ მე-14 ახალი საჭიდაო სოფელ საირხეში გახსნა. მიუხედავად გვარიანი სიცივისა, ადგილობრივები ფონდ „ქართუს" დაფინანსებით აშენებულ ახალ სარბიელზე პირველ შეჯიბრებას მაყურებელი მრავლად დაესწრო. გახსნის საზეიმო ცერემონიალზე საჩხერის ანსამბლმა „საწერეთლომ" ენერგიული ქართული ცეკვების „ცეცხლი დაანთო". შეკრებილთ საჩხერის რაიონიდან პარლამენტის დეპუტატმა, ქალბატონმა **მანანა კობახიძემ** მიმართა. *„ეს ახალი საჭიდაო არენა ჩვენს რაიონში უდავოდ ხელს შეუწყობს სპორტის, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებას. მისი აგებისთვის დიდი მადლობა ფონდ „ქართუს" და ბატონ ბიძინა ივანიშვილს. რომ არა მისი მხარდაჭერა, ასეთი არენების აგება და ასეთი ლამაზი შეჯიბრებების გამართვა რთული, ან სულაც შეუძლებელი იქნებოდა. მინდა მივულოცო ქართული ჭიდაობის ფედერაციას და შეჯიბრების ყველა მონაწილეს, რომელიც დღეს ამ სარბიელზე იბრძოლებს გამარჯვებისათვის"* - თქვა ქალბატონმა მანანამ. სტარტზე რამდენიმე პაექრობა ნახევრადმოყრილ არენაზე კი ჩატარდა, მაგრამ სუსხმა მაინც თავისი გაიტანა და შეჯიბრების ორგანიზატორებმა ასპარეზობის საჩხერის სპორტულ დარბაზში გაგრძელება გადაწყვიტეს. შეჯიბრება 1998 – 1999 წწ დაბადებულ ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის გაიმართა. ადგილობრივებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ ქუთაისის, ზესტაფონის, ხაშურის, ქარელის, თიანეთის, ცაგერის წარმომადგენლები. აღსანიშნავია ყველაზე მსუბუქ წონებში თიანეთელ და ქარელელ მოჭიდავეთა წარმატება. მათ შესაბამისად 46 და 50 კგ წონით კატეგორიებში კვარცხლბეკზე ადგილები არავის დაუთმეს. საინტერესოა, რომ 46 კგ-ის ფინალისტი თიანეთელები **ზაურ** და **ზვიად ივანაურები** ტყუპი ძმები არიან. ორ-ორი გამარჯვება იზეიმეს ადგილობრივი ქუთაისის ჭიდაობის სკოლების სპორტსმენებმა. დამაჯერებელი იყო ძიუდოში საქართველოს მოქმედი ჩემპიონის საჩხერელი **გიორგი გოგოლიძეს** წარმატება. მძიმე წონაში შთამბეჭდავი, სუფთა გამარჯვებებით მივიდა კვარცხლბეკის პირველ საფეხურამდე ქარელელი **ნიკა სიდამონიძე**, რომელიც ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის წლევანდელი ჩემპიონია. იგი ეფექტური ჭიდაობით გამოირჩევა და ამჯერადაც საკმაოდ ტექნიკურად ასპარეზობდა.

**ვასილ ბალახაძე**
საჩხერიდან
ფოტო: www.qartlisport.ge

### კვარცხლბეკი

**46 კგ.** 1. ზაურ ივანაური, 2. ზვიად ივანაური, 3. გიორგი ჯიმშიტაშვილი (სამივე - თიანეთი)

**50 კგ.** 1. ბექა ციცქიშვილი, 2. ბექა მულაძე, 3. შალვა ოსაძე (სამივე - ქარელი)

**55 კგ.** 1. ენვერ ლაცაბიძე (საჩხერე), 2. თორნიკე ბეგლარიშვილი (ქარელი), 3. ნიკა დაბრუნდაშვილი (ხაშური)

**60 კგ.** 1. გიგა კაკაურიძე, 2. გოდერძი მახვილაძე (ორივე - ქუთაისი), 3. პეტრე არჩვაძე (საჩხერე)

**66 კგ.** 1. ლევან ჭარბაძე, 2. რეზო ჯიაძე (ორივე – ქუთაისი), 3. ალექსი სვიანაძე (ზესტაფონი)

**73 კგ.** 1. ლუკა მაისურაძე, 2. შათირ შერაზადიშვილი (ორივე - ხაშური), 3. გიორგი ქომეთიანი (ცაგერი)

**81 კგ.** 1. გიორგი გოგოლიძე (საჩხერე), 2. პაატა ტოგონიძე, 3. ბაქარ უკლება (ორივე - ქუთაისი)

**+ 81 კგ.** 1. ნიკა სიდამონიძე (ქარელი), 2. ილო მაჭარაშვილი (საჩხერე), 3. გიორგი ცარციძე (ზესტაფონი).



ქართველი ვითიბი ლიგაზე



გიორგი ცინცაძე (ბურთით) ნიმბურკელთა ფართან

# უდანაკარგოდ

**გიორგი ცინცაძის** „დონეცკმა" ვითიბი ლიგაზე მეორე მატჩი ჩაატარა და ჯერაც უდანაკარგოა. უკრაინელებმა ჩეხეთის „ნიმბურკს" უმასპინძლეს და 80:74 დაამარცხეს. სხვათა შორის, ამავე გუნდთან გიორგის შარშანაც მოუწია დაპირისპირებამ - ევროთასის პირველ ჯგუფურ ეტაპზე მისმა „ბუდიველნიკმა" ორი მატჩის ჯამში ჩეხები უკან მოიტოვა.

ქართველი გამთამაშებელი ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში იყო, 25 წუთში 3 ქულა, 3 მოხსნა, 5 შედეგიანი გადაცემა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. გიორგისთან ერთად სასტარტო ხუთეულში იყო **ბერნარდ კინგი**, რომელმაც 12 ქულა და 12 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ვითიბი ლიგაზე „დონეცკთან" ერთად სამ გუნდს აქვს 2-2 მოგება - რუსულ „უნიქსს" და ლიტვურ „ლიეტუვოს რიტასს". ამავე ტურნირის ეგიდით ცინცაძის თანაგუნდელები ესტონეთს ეწვევიან და ტალინის „კალევთან" 27 ოქტომბერს ითამაშებენ.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი ფინეთში

# ბაქრაძის ათიანი

ფინეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მეოთხე მატჩი გამართა **გივი ბაქრაძის** „კორიკობრატმა". ქალაქ ლაპუას გუნდმა ევროთასის მონაწილე „ნილან ბიზონსს" უმასპინძლა და 65:88 დამარცხდა.

ახალგაზრდა ქართველი გამთამაშებელი „კორიკობრატის" სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო. აი, მისი სტატისტიკაც: 25 წუთი, 10 ქულა, 3 მოხსნა, 4 შედეგიანი გადაცემა. გივიმ 8-დან 4 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაქრაძემ ფინეთის ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, ხოლო ვარჯიში „ნილანთან" შეხვედრამდე ორი დღით ადრე განაახლა.

„ბიზონების" შემადგენლობაში 17 ქულა ჩააგდო **ფრენკ რობინსონმა**, რომელიც ორიოდე წლის წინათ ქართულ „სოხუმში" თამაშობდა.

ლაპუას „კორიკობრატს" ოთხი ტურის შემდეგ ჯერ მოგება არა აქვს. მისი მომდევნო მატჩი 23 ოქტომბერს იგეგმება. ლაპუელთა მეტოქე კტპ იქნება.

ვაჟა სიმონიშვილი

თბილისის ჩემპიონატი. ს-16

# აკადემია ჩემპიონია

| 18 ოქტომბერი | |
|---|---|
| საკალათბურთო აკადემია | |
| 1/4 ფინალი | |
| მართვე-დინამო | 61:89 |
| 1-ელი ექსპ. სკოლა-ზაზა | 87:62 |
| შსს აკადემია-იმედი | 91:63 |
| კნაუფ/აკადემია-აკადემია 2 | 115:48 |
| 20 ოქტომბერი | |
| 1/2 ფინალი | |
| 1-ელი ექს სკოლა-დინამო | 40:57 |
| კნაუფ/აკადემია-შსს აკადემია | 74:67 |
| 21 ოქტომბერი | |
| ფინალი | |
| კნაუფ/აკადემია-დინამო | 91:47 |
| მე-3 ადგილისთვის | |
| 1-ელი ექსპ სკოლა-შსს აკადემია | 57:72 |

თბილისის ჩემპიონი 16-წლამდელთა შორის „კნაუფ-აკადემია" გახდა. **გია კაზანჯიანისა** და **ვასილ სომხიშვილის** გაწვრთნილმა აკადემიელებმა ფინალურ მატჩში „დინამოს" შანსი არ დაუტოვეს და დედაქალაქის საუკეთესო გუნდის ტიტული ირგუნეს.

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ „კნაუფ/აკადემია" ჩემპიონობას არ დათმობდა. პირველი მეოთხედი კაზანჯიანის გუნდმა 24:12 მოიგო, მეორეში 19:14 იმარჯვა, ხოლო მესამე პერიოდის შემდეგ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო - აკადემიელები 27 ქულით იგებდნენ და მათი ტრიუმფი დროის ამბავი იყო.

საბოლოოდ „კანაუფ/აკადემიამ" 91:47 იმარჯვა. აკადემიელებს **დავით აფხაზავამ** ულიდერა, რომელმაც 19 ქულა, 4 მოხსნა და 4 პასი მოაგროვა. აფხაზავა საბოლოოდ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ტურნირის ბომბარდირი კი „ზაზას" მოთამაშე **რატი ტოლიაშვილი** გახდა.

მესამე ადგილისთვის მატჩში „შსსაკადემიამ" 1-ელი ექსპერიმენტალური სკოლის გუნდ „ჰიუნდაის" 72:57 აჯობა და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა. ტურნირის პრიზიორები თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა **პაატა გურასპაულმა** და კავშირის წევრებმა დააჯილდოვეს.

ამით დასრულდა თბილისის ჩემპიონატი, რომელმაც დედაქალაქის ჩემპიონი და პრიზიორები გამოავლინა, თან საქართველოს ჩემპიონატისთვის გუნდებიც შეარჩია. ტურნირის საუკეთესო 10 გუნდი ქვეყნის პირველობაზე ითამაშებს. ესენი არიან: „კნაუფ/აკადემია", „დინამო", „შსს აკადემია", „1-ელი ექსპერიმენტალური სკოლა", „ზაზა", „იმედი", „აკადემია 2", „მართვე", „არმია" და „ჰიუნდაი 2".

www.gbf.ge



ქართველები ესპანეთში

# კუნძულელთა შემოსევა

## ბურჯანაძე საბონისის წინააღმდეგ

ესპანეთის ჩემპიონატსა და ევროთასზე ეფექტური მოგებების შემდეგ „სარაგოსას" ფეხი დაუცდა. ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ არაგონელები შინ კუნძულელ „კანარიასთან" ვერაფერს გააწყობდნენ... სტუმრებმა მესამე პერიოდში 18:10 მოიგეს, რის შემდეგაც მიღწეულის შენარჩუნება მოახერხეს და - 66:60 „კანარიასის" სასარგებლოდ.



გიორგი შერმადინი კანარელებთან

აქამდეც დაგვიწერია, რომ „სარაგოსას" თამაში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქართველებზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მატჩის წაგება გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, ქართველებმა ჩვეულად რომ ვერ ითამაშეს. თავად განსაჯეთ: **გიორგი შერმადინმა** 21 წუთში 4-4 ორქულიანი და საჯარიმო ტყორცნა, საიდანაც 3 ორქულიანი აუცდა. მის ანგარიშზე 6 ქულა, 7 მოხსნა და 2 ჩაჭრაა.

**ვიქტორ სანიკიძემ** 17 წუთი ითამაშა, 2 ქულა, 3 მოხსნა და თითო პასი-დაფარება გაიფორმა. ვიქტორმა მატჩი 5 ფოლის გამო გათვალისწინებულზე ადრე დატოვა.



ბურჯანაძე „უნიკახასთან" მატჩის დაწყებისას

ასე და ამგვარად, „სარაგოსას" ორი ტურის შემდეგ თითო მოგება-წაგება აქვს. არაგონელები მომდევნო თამაშს ევროთასზე 23 ოქტომბერს ბერლინში, „ალბას" წინააღმდეგ ჩაატარებენ.

■ ■ ■

საშინაო მატჩი დათმო **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმაც". მანაც კუნძულელებთან წააგო - მალაგის „უნიკახამ" 85:65 აჯობა.

19 წლის ბექამ 14 წუთი ითამაშა და ურიგოდ არ გარჯილა - 5 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი), 4 მოხსნა, 1 პასი.

საინტერესოა, რომ „უნიკახას" მწვანე მაისურით ითამაშა 17 წლის **დომანტას საბონისმა** (4 ქულა, 5 მოხსნა), რომელიც ლეგენდარული **არვიდას საბონისის** ვაჟია.

27 ოქტომბერს „კახასოლი" „ვალიადოლიდს" ესტუმრება.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი თურქეთში



მანუჩარ მარკოიშვილი

# ჯოკერი

ბანქოს თამაშია ასეთი - ჯოკერი. 36 ქაღალდში მხოლოდ ორი ჯოკერია და ყველა ცდილობს ეს „ისინი" ბოლოსთვის შემოინახოს, რადგან ჯოკერი ყველაფერს ჭრის...

..."გალათასარაი" „ბეშიქთაშის" მატჩის ბოლოს, თანაბარ ანგარიშზე (63:63) **მანუჩარ მარკოიშვილმა** ბურთი ჩაჭრა, მეტოქის ფარქვეშ შეიჭრა და ორი ჯარიმის ტყორცნის უფლება მოიპოვა. ერთიც ჩააგდო, მეორეც და 65:63. ამას მოჰყვა მისი ეფექტური ორქულიანი დრიბლინგი, კიდევ ერთი საჯარიმო... შუალედში „გალათასარაის" დანარჩენი კალათბურთელებიც შედეგიანად გაისარჯნენ და მას მერე „ბეშიქთაშს" ანგარიშის გათანაბრების შანსიც არ მისცემია.

მანუმ მეოთხე პერიოდი შეუცვლელად ჩაატარა, მანამდე კი 30 წუთში მოედანზე მხოლოდ 4 წუთი ჰქონდა გატარებული. მწვრთნელმა იგი, როგორც ჯოკერი, გადამწყვეტი მომენტისთვის შემოინახა და არც შემცდარა. მარკოიშვილის მონაგარი ასეთი იყო: 14 წუთი, 5 ქულა (1-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა.

„გალათასარაის" უახლოესი თამაში 24 ოქტომბერს ელის - ევროლიგაზე ამ შეჯიბრების მოქმედ ჩემპიონ „ოლიმპიაკოსს" უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი უკრაინაში

# მარცხი დერბიში

უკრაინის ჩემპიონატში დნიპროული დერბი გაიმართა. ერთმანეთის წინაშე **ლევან ფაცაციას** „დნიპრო-აზოტი" და „დნიპრო" წარდგნენ. ამ გუნდებმა წინასასეზონიდ ერთურთში გენერალური რეპეტიცია გამართეს და გამარჯვება აზოტელებს დარჩათ. ამჯერად „დნიპრომ" მოიგო. 30 წუთის განმავლობაში თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, მეოთხე რაუნდში ფაცაციას გუნდმა 10:24 წააგო და საბოლოოდ 81:67 დამარცხდა.

ფაცაციამ 20 წუთი ითამაშა, 5 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა. მის თანაგუნდელთა შორის გამორჩეული იყო **დონალდ სიმსი**, რომლის ანგარიშზე 30 ქულაა.

შეგახსენებთ, რომ „დნიპრო-აზოტმა" პირველ ტურში ცინცაძის „დონეცკთან" დათმო. დნიპროელები მომდევნო თამაშს მარიუპოლში 30 ოქტომბერს „აზოვმაშთან" ჩაატარებენ.

ვაჟა სიმონიშვილი



წიგნის თარო

სუპერლიგის 2013-14 წლების სეზონის დაწყებას წლის წიგნის პრეზენტაცია დაემთხვა. ეს არის ორიგინალური დიზაინით შესრულებული, ძირითადად სტატისტიკური მონაცემებით გაჯერებული ნაშრომი, რომელიც დეტალურად ასახავს 2012-13 წლების სეზონში ჩატარებულ ყველა საკალათბურთო ღონისძიებას.

სუპერლიგის დირექტორი **გიორგი ზაბახიძე**:

*- მოგილოცავთ ახალი სეზონის დაწყებას და გთავაზობთ ახალ, რიგით მეორე ჟურნალს, რომელშიც ფედერაციის მიერ ორგანიზებული შეჯიბრებებია თავმოყრილი. ასევე აქ არის ის ღონისძიებები, რომლის ორგანიზებაშიც ფედერაცია სხვებს დაეხმარა. პირველი ჟურნალი 1000-იანი ტირაჟით გამოვიდა, თუმცა მოთხოვნის გაზრდის გამო ტირაჟი 3000-მდე ავიდა. ამ წიგნში თავმოყრილია ციფრები და ეს არის არა ჰაერზე ლაპარაკი, არამედ დოკუმენტალურად გადმოცემული ფაქტები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს და რა საქმიანობას ეწევა კალათბურთის ფედერაცია. გასულ სეზონში მთლიანობაში 1300-მდე მატჩი გავმართეთ და მინდა ვთქვა იმათ გასაგონად, ვინც ვერ ხედავს კალათბურთის ფედერაციის მუშაობას. წაიკითხონ ეს წიგნი და ნახონ, თუ რა კეთდება კალათბურთში. ეს წიგნი დაურიგდება საქართველოს ჩემპიონატების ყველა მონაწილეს, საკალათბურთო სკოლებს და ორგანიზაციებს. ასევე განთავსდება ჩვენს ვებ-გვერდზე და მისი გაცნობა ნებისმიერ მსურველს შეეძლება.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ჩემპიონატი. ფაქტები


თემურ სოხაძე

# საუკეთესო შვიდეული

საქართველოს XXIV სარაგბო ჩემპიონატის მეშვიდე ტური ნაკლული გამოდგა. მოქმედ ჩემპიონ „ლელოს" და „არმაზის" უაღრესად საინტერესო დაპირისპირება მომავლისთვის გადაიდო, ვინაიდან ორივე გუნდის შემადგენლობაში ტრავმათა ეპიდემიაა. ტურის დარჩენილ ოთხ შეხვედრაში კი რამდენიმე საყურადღებო და საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა. წარმოგიდგენთ გასული ტურის შვიდ საუკეთესო მოვლენას.

## 86 ქულა ერთ მატჩში

„ბოლნისი ყოჩების" და „ბათუმის" დაპირისპირება საკმაოდ თვალსასეირო გამოდგა და სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმა მშვენიერი სანახაობა იხილა. ბოლნისელებმა ზღვისპირელები 59:27 გაანადგურეს - ორივე გუნდმა ჯამში 10 ლელოს გატანა მოახერხა და 86-ქულიანი მატჩიც შედგა. მიმდინარე ჩემპიონატში უხვქულიანობის მხრივ ეს მატჩი ჯერჯერობით საუკეთესოა. თუ სტატისტიკასაც გადავავლებთ თვალს, გასულ სეზონში ყველაზე მეტი ქულა რეგულარული გათამაშების XVII რაუნდის მატჩში დაფიქსირდა - „აკადემია" ქუთაისის „აიასთან" 64-ქულიანი სხვაობით დამარცხდა-10:74.

## თემურ სოხაძის 30 ქულა

„ბოლნისი ყოჩების" მგეზავმა **თემურ სოხაძემ** ბენეფისი მოიწყო „ბათუმთან" დაპირისპირებისას. იგი მთელი შეხვედრის განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდა საკუთარი გუნდის შეტევებს და ტრადიციულად ფეხჩუბინობითაც გამოირჩა. სოხაძემ მეტოქის ჩათვლის მოედანში დამიწებული 2 ლელოს გარდა, 4-4 გარდასახვა და ჯარიმა გაიტანა, რამაც ჯამში 30 ქულა შეადგინა.

## გაცუდებული შანსი

ტურის ცენტრალურ მატჩში „არმიამ" სატურნირო ცხრილის ლიდერ „აიას" უმასპინძლა. 47 წუთისთვის ქუთაისელები 8 ქულის სხვაობით იყვნენ წინ - 19:11, როდესაც მათმა ჰავბეკმა **გიორგი როხვაძემ** რაქიდან ბურთის ფეხით მოგერიება განიზრახა, მაგრამ მასპინძელთა მარბიელებმა მოულოდნელად დააფარეს, **გიორგი თხილაიშვილი** იოლად დაეუფლა ბურთს და მეტოქის ჩათვლის მოედანში მარცხენა კუთხიდან შეიჭრა, თუმცა დამიწების ნაცვლად ცენტრისაკენ გადაწევა განიზრახა, რათა გარდასახვა გაცილებით უფრო ხელსაყრელი პოზიციიდან შეესრულებინა „არმიას"... მის ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა, ქუთაისელმა მორაგბეებმა დროულად ჩამოასწრეს დაცვაში და მეტოქე აუტის ხაზს მიღმა გადადენეს.

## „არმია" საპლეიოფო ექვსეულს მიღმა

სარაგბო სეზონის წინ ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად შერაცხილმა თბილისის „არმიამ" ეროვნული პირველობა საკმაოდ ცუდად დაიწყო. **ნიკო ჭავჭავაძის** გაწვრთნილმა გუნდმა 6 მატჩი ჩაატარა, 2 მოიგო, სამჯერ დამარცხდა და ერთხელ ფრე ითამაშა. უკანასკნელ ტურში საკუთარ კედლებში ნაწვნევი მარცხი ქუთაისის „აიასთან" არმიელებს ძვირად დაუჯდათ - მათ პირველად დატოვეს საპლეიოფო ზონა და 13 მოპოვებული ქულით მეშვიდე საფეხურამდე დადაბლდნენ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ კლუბის შემადგენლობაში თავმოყრილ მოთამაშეთა მაღალ სათამაშო პოტენციალს და სამწვრთნელო შტაბის პროფესიონალიზმს, უახლოეს ტურებში უნდა ველოდოთ „არმიელთა" წარმატებულ დაბრუნებას მოწინავე პოზიციებზე.

## ბრძოლა ბონუს ქულისთვის

გასულ ტურში ორმა გუნდმა მოახერხა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ბონუს ქულის მომტანი ლელოს დადება, რაც მათ მებრძოლ სულისკვეთებასა და პროფესიონალიზმზე მიუთითებს. „ლოკომოტივის" მარბიელმა **გივი ბერიშვილმა** 83-ე წუთზე დაამიწა ბურთი რუსთავის „ხარების" ჩათვლის მოედანში და რკინიგზელებს ბონუს ქულა მოუტანა მეტოქეზე სამით მეტი ლელოს გატანისთვის, ხოლო „არმიას" მარბიელმა **ლევან დარასელიამ**, რომელიც „აიასთან" მატჩში 54 წუთიდან ჩაერთო შეხვედრაში, 81-ე წუთზე ქუთაისელთა ძელებს შუა ლელო გაიტანა და საკუთარ გუნდს სანუგეშო ქულა მოუპოვა 7 და ნაკლები ქულით ნაგებისთვის.

## აუტსაიდერთა სამეული

„აკადემიას" და „ჯიქების" დაპირისპირება თითქოს საინტერესო და დაძაბული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ერთმანეთის წინააღმდეგ სატურნირო ცხრილის მეზობლები - მერვე და მეშვიდე პოზიციებზე მყოფი გუნდები უპირისპირდებოდნენ, თუმცა რეალობა სხვანაირი გამოდგა. „ჯიქებმა" ყველა სარაგბო ასპექტში დაჩაგრეს აკადემიკოსები, 30-ქულიანი სხვაობით იმარჯვეს და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ის ფაქტი, რომ უმაღლეს ლიგაში აუტსაიდერი სამი გუნდია: „აკადემია", რუსთავის „ხარები" და „ბათუმი".

## გაგა სინაურიძე

ქუთაისის „აიას" მგეზავმა **გაგა სინაურიძემ** კიდევ ერთი მშვენიერი მატჩი ჩაატარა ეროვნულ ჩემპიონატში. „არმიასთან" დაპირისპირებისას იგი ყველაზე გამორჩეული გახლდათ მოედანზე, უნარიანად ხელმძღვანელობდა გუნდს როგორც შეტევაში, ისე დაცვაში და მასზე დაკისრებულ უმთავრეს მოვალეობასაც არ ივიწყებდა - ქარიანი ამინდის მიუხედავად, 4 საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა მეტოქის კარში რთული პოზიციებიდან (14 ქულა). შეხვედრის მიწურულს სინაურიძემ ფეხის ტრავმა მიიღო და თანაგუნდელთა დახმარებით დატოვა მოედანი - გულშემატკივართა ტრიბუნამ იგი ტაშით გააცილა.

ქართული ლეგიონი

# ზაზა ნავროზაშვილის სადებიუტო მატჩი ჩელენჯ ქაფზე

გასულ უქმეებზე „ჰეინეკენის თასისა" და „ემლიან ჩელენჯ ქაფის" ჯგუფური ეტაპის რიგით მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ევროპულ საკლუბო ბატალიებს ქართველი ლეგიონერების ასპარეზობის გარეშე, რაღა თქმა უნდა, არ ჩაუვლია.

საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონი „კასტრი" ჰეინეკენის თასის" გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტს, ირლანდიურ „ლენსტერს" ესტუმრა და დაძაბულ შეხვედრაში დასანანი მარცხი იწვნია - 7:19. ფრანგული კლუბის შემადგენლობაში პირველივე წუთებიდან მოედანზე გახლდათ ქართველი ბურჯი **ანტონ ფეიქრიშვილი**, რომელიც 46-ე წუთზე **კარენა ვიონგიმ** შეცვალა. 2 ტურის შემდეგ „კასტრი" 4 მოპოვებული ქულით მესამე ადგილს იკავებს A ჯგუფში.

B ჯგუფში **ლევან ჩილაჩავას** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი" უელსურ „კარდიფთან" გასამართი გასვლითი მატჩის წინ შეხვედრის უდავო ფავორიტად მოიაზრებოდა, თუმცა **მურად ბურჯელალის** მიერ შეკრებილმა ვარსკვლავურმა შემადგენლობამ ვერ შეძლო დაკისრებულ ამოცანაზე თავის გართმევა და 4-ქულიანი სხვაობით დამარცხდა 15:19. „ტულონი" 6 ქულით ჯგუფში მეორე ადგილზე იმყოფება. ქართველი მორაგბეები ტრავმის გამო განაცხადში არ იყვნენ.

C ჯგუფში ინგლისური „სარასენზის" წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა **ჯაბა ბრეგვაძის** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზამ". მთელი შეხვედრის განმავლობაში ინგლისელები უპირატესობას ფლობდნენ და ანგარიშში წინაც გახლდნენ, თუმცა 67-ე წუთზე **დუსანმა** ზუსტი საჯარიმო დარტყმით 6 ქულამდე შეამცირა მეტოქესთან სხვაობა, ხოლო 3 წუთში **პიკემოლის** მიერ გატანილი ლელოთი „ტულონმა" 17:16 იმარჯვა და 9 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ჯგუფს.

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს - **დავით ზირაქიშვილის** „კლერმონი" და **დათო ხინჩაგაშვილის** „მეტრო რასინგი". „კლერმონმა" **ბირნის, ფოფანას** და **ლაკრამპის** ლელოებით 23:17 მოუგო ინგლისურ „ჰალექვინზს" და 5 მოპოვებული ქულით ჯგუფში მესამე პოზიციაზე იმყოფება. „მეტრო რასინგისა" და „ჰლანეჰლის" უელსურ დაპირისპირებაში კი უხვქულიანი ფრე დაფიქსირდა - 28:28. შესაბამისად, ეს გუნდები პირველ-მეორე ადგილს ინაწილებენ 6-6 ქულით პულში.

**ზირაქიშვილი** ტრავმირებულია, **ხინჩაგიშვილი** კი მატჩის განაცხადში ვერ მოხვდა.

**მამუკა გორგოძის** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ" პირველ ტურში „ტრევიზო" დაამარცხა, თუმცა ინგლისურ „ალსტერთან" ველარ შეძლო გამარჯვებათა სერიის გაგრძელება და საკუთარ მოედანზე უშანსოდ დამარცხდა 8:25. გორგოძე სასტარტო შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე **ბიანჩინიმ** შეცვალა, ნარიაშვილი ტრავმას იშუშებს.

„მონპელიე" გასული ორი ტურის შემდეგ მოპოვებული 4 ქულით ჯგუფში მესამე ადგილზე იმყოფება.

F ჯგუფის მატჩში **გიორგი ჟღენტის** „პერპენიანი" **დიმიტრი ბასილაის** „ედინბურგს" ეთამაშა და იოლი გამარჯვებაც იზეიმა - 31:14. შეხვედრის გმირი ფრანგული კლუბის რიგებში შეცვლაზე შესული სამოელი გარემარბი **მჯეკევუ** გახდა, რომელმაც 2 ლელო გაიტანა და ლომის წვლილი დაიდო საკუთარი გუნდის წარმატებაში. ჟღენტი სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ და 54-ე წუთზე შეცვალეს, ბასილაია განაცხადში ვერ მოხვდა. „პერპენიანი" 6 ქულით ჯგუფის ლიდერია, „ედინბურგი" კი მესამე პოზიციამდე ჩამოქვეითდა (4 ქულა).

სიძლიერით რიგით მეორე ევროპულ საკლუბო ტურნირზე - „ემლინ ჩელენჯ ქაფის" გათამაშების მეორე ჯგუფის მატჩში **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდო" სტუმრად იტალიურ „მოგლიანოს" დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში 32:20 იმარჯვა. ახალგაზრდა ქართველი ბურჯმა სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა ევროთასებზე, იგი სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ და მოედანზე 62 წუთი დაჰყო. ამჟამად ბორდოელები 5 ქულით ჯგუფში მესამე ადგილს იკავებენ. მომდევნო ტურში ფრანგულ კლუბს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ელის უელსურ „ნიუპორტთან".

მესამე ჯგუფში **კარლენ ასეიშვილის** და **გოდერძი შველიძის** „ბრივმა" ინგლისური პრემიერშიფის აუტსაიდერ „ნიუკასლს" უმასპინძლა. შეხვედრაში გარდამტეხი ფრანგული კლუბის გარემარბ **ვორეტამაიას** მიერ 67-ე წუთზე გატანილი ლელო გახდა, რისი წყალობითაც „ბრივმა" 7-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა და საფინალო სასტვენამდე წარმატებით შეინარჩუნა ჰანდიკაპი 23:17. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

**დავით ქუბრიაშვილის** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე" შიდა ასპარეზზე წარმატებით ასპარეზობს, თუმცა ევროთასებზე საკმაოდ უჭირს დადებითი შედეგის ჩვენება. ამჯერად მათ დიდი გაჭირვებით, მინიმალური სხვაობით დაამარცხეს იტალიური „კავალიერო პრატო" 17:16. 79-ე წუთზე ფრანგთა მარბიელმა **გარაულტმა** გატანილი ლელოთი მინიმუმამდე დაიყვანა „კავალიერთა" უპირატესობა, ფულბეკმა **პორიკალმა** კი ზუსტად შესრულებული გარდასახვით გამარჯვება მოუტანა პარიზულ კლუბს. ქართველ მორაგბეებს შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. განვლილი ორი ტურის შემდეგ „სტად ფრანსე" 9 მოპოვებული ქულით V ჯგუფში მეორე ადგილს იკავებს.

### ჰეინეკენის თასი

**II ტური**

**A ჯგუფი**

ლენსტერი - კასტრი 19:7; ნორსჰემპტონი - ოსფრიზი 27:16

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლენსტერი - 8 ქულა; 2. ნორსჰემპტონი - 5; 3. კასტრი - 4; 4. ოსპრიზი - 0;

**B ჯგუფი**

კარდიფი - ტულონი 19:15; გლაზგო - ექსეტერი 20:16

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ექსეტერი - 6 ქულა; 2. ტულონი - 6; 3. გლაზგო - 5; 4. კარდიფი - 5

**C ჯგუფი**

სარასენზი - ტულუზი 16:17; ზებრე - ქონეთთი 6:33

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 9 ქულა; 2. სარასენზი - 5; 3. ქონეთთი - 5; 4. ზებრე - 0

**D ჯგუფი**

ჰლანეჰლი - მეტრო რასინგი 26:26; კლერმონი - ჰარლექვინზი 23:16

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰლანეჰლი - 6 ქულა; 2. მეტრო რასინგი - 6; 3. კლერმონი - 5; ჰარლექუინზი - 2;

**E ჯგუფი**

ლესტერი - ბენეტონი 34:3; მონპელიე - ალსტერი 8:25;

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 8 ქულა; 2. ლესტერი - 6; 3. მონპელიე - 4; 4. ბენეტონი - 0;

**F ჯგუფი**

პერპერიანი - ედინბურგი 31:14; მანსტერი - გლოსტერი 26:10;

**სატურნირო მდგომარეობა**

1. პერპერიანი - 6 ქულა; 2. მანსტერი - 5; 3. ედინბურგი - 4; 4. გლოსტერი - 4;

### ემლინ ჩელენჯ ქაფი

**II ტური**

**I ჯგუფი**

ბიარიცი - იოინაქსი 26:6; ვორჩესტერი - სეილ შარქსი 15:31;

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სეილ შარქსი - 9 ქულა; 2. ბიარიცი - 5; 3. ვორჩესტერი - 2; 4. იოინაქსი - 2;

**II ჯგუფი**

მოგლიანო - ბორდო 20:32; ბასი - ნიუპორტი 26:10;

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბასი - 8 ქულა; 2. ნიუპორტი - 5; 3. ბორდო - 5; 4. მოგლიანო - 0;

**III ჯგუფი**

ბუქარესტი - კავისანო 37:15; ბრივი - ნიუკასლი 23:16;

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბრივი - 6 ქულა; 2. ნიუკასლი - 5; 3. ბუქარესტი - 5; 4. კალვისანო - 2

**IV ჯგუფი**

გრენობლი - ვიადანა 40:7; ლონდონ ვასფსზი - ბაიონა 26:10

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლონდონ ვასფზი - 9 ქულა; 2. ბაიონა - 5; 3. გრენობლი - 5; 4. ვიადანა - 0

**V ჯგუფი**

კავალიერო პრატო - სტად ფრანსე 16:17; ლუზიტანუსი XV - ლონდონ აირიში 6:67

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლონდონ აირიში - 10 ქულა; 2. სტად ფრანსე - 9; 3. კავალიერ პრატო - 1; ლუზიტანოსი -0

გვერდი მოამზადა
**გიორგი ბარბაქაძემ**


ბურთით ზაზა ნავროზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შემაჯამებლის მონაწილეები

# აზარენკა-ერანით იწყება

დღეს, სტამბოლში სტარტს იღებს WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი, მანამდე კი გაიმართა წილისყრის ცერემონია, რომლის მიხედვით სეზონის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი ორ ჯგუფად დაიყო.

**წითელი ჯგუფი**

სერენა უილიამსი (აშშ, 1)
აგნიეშკა რადვანსკა (პოლონეთი, 3)
პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი, 5)
ანჟელიკ კერბერი (გერმანია, 8)

**თეთრი ჯგუფი**

ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი, 2)
ნა ლი (ჩინეთი, 4)
სარა ერანი (იტალია, 6)
ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 7)

ტურნირის მოქმედი ჩემპიონია მსოფლიოს პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსმა**, რომელმაც შარშან, ფინალში რუსი **მარია შარაპოვა** დაამარცხა. ეს უკანასკნელი წლევანდელ ტურნირს მხარის ტრავმის გამო ტოვებს.

დღეს სამი მატჩი გაიმართება. 18 საათზე კორტზე გავლენ აზარენკა და ერანი, შემდეგ გაიმართება მატჩები: კერბერი-უილიამსი და რადვანსკა-კვიტოვა.

■ ■ ■

ეს არის ბოლო ტურნირი, რომელიც სტამბოლში გაიმართება, 2014 წლიდან კი სეზონის შემაჯამებელ ჩემპიონატს სინგაპური უმასპინძლებს. გარდა ამისა, ოდნავ შეიცვლება ფორმატი, კერძოდ, წყვილების ტურნირში არა ოთხი, არამედ რვა დუეტი მიიღებს მონაწილეობას, მთლიანად ჩემპიონატი ექვსის ნაცვლად რვა დღე გაგრძელდება.



მაქსიმ დუბარენკო

# 28-წუთიანი მატჩი

ამ კვირას, რუსეთის ქალაქ ყაზანში მიმდინარე ჩელენჯერის ტურნირზე ჩატარდა ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე შეხვედრა.

მოლდოველმა ჩოგბურთელმა **მაქსიმ დუბარენკომ**, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციის 383-ე ნომერია, 28 წუთში გაანადგურა რუსი **რაფის სიფხატოვი**. მთელი მატჩის განმავლობაში, რომელიც 6:0, 6:0 დასრულდა, დუბარენკომ მეტოქეს მხოლოდ შვიდი გათამაშება დაუთმო.

სრული მატჩებისთვის მსოფლიოს რეკორდის მფლობელად მიიჩნევა ბრიტანელი **გრეგ რუსედსკი**, რომელმაც 1996 წელს, სიდნეის ტურნირზე 29 წუთში გაანადგურა გერმანელი **კარსტენ არიენსი**. დუბარენკოს რეკორდი ოფიციალურ სტატუსს ვერ მიიღებს, რადგან ეს მატჩი საკვალიფიკაციო ეტაპზე იმართებოდა.

# არაპატრიოტი რუსები



ანასტასია პავლიუჩენკოვა

2-3 ნოემბერს, ქალებს შორის მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატის - ფედერაციის თასის ფინალი გაიმართება. ქალაქ კალიარიში იტალიის ნაკრები რუსეთს დაუპირისპირდება.

რუსეთის ნაკრები ამ მატჩში განწირული ჩანს, რადგან ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობის შეკრებას ვერ ახერხებს. გუშინ ფინალში თამაშზე უარი თქვა **ანასტასია პავლიუჩენკოვამ**. მან მიბაძა **მარია კირილენკოსა** და **ელენა ვესნინას**, რომლებმაც ფედერაციის თასის გადამწყვეტ მატჩს სოფიაში "ჩემპიონთა ტურნირში" გამოსვლა ამჯობინეს, რომელიც 29 ოქტომბერს დაიწყება და 3 ნოემბრამდე გასტანს.

პავლიუჩენკოვას, კირილენკოსა და ვესნინას გარდა, რუსების რიგებში ვერ ვიხილავთ **სვეტლანა კუზნეცოვასა** და **ეკატერინა მაკაროვას**, რომლებმაც ტრავმები მიიღეს.

ჯერჯერობით, ნაკრებში თამაშის სურვილი მხოლოდ **ალისა კლეიბანოვამ** გამოთქვა. რუსეთის გუნდის კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** ადრე განაცხადა, რომ იტალიელების წინააღმდეგ ახალგაზრდული გუნდი ითამაშებს, თუმცა კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია.

● ტურნირები

# პირველი ტიტული შარაპოვას წყალობით

გასულ კვირას, ჩოგბურთელებს ძალიან დატვირთული კვირა ჰქონდათ – გაიმართა სამი ტურნირი მამაკაცების პროფესიულ ტურში და ორი – ქალებს შორის.



რიშარ გასკე

## დიმიტროვის პირველი ტიტული

ამ დღეებში, ბულგარელმა **გრიგორ დიმიტროვმა** და მისმა შეყვარებულმა **მარია შარაპოვამ** რთული მომენტი გადაიტანეს. როგორც უკვე ვწერდით, ბულგარულმა პრესამ გაავრცელა ჭორი რუსი ვარსკვლავის ფეხმძიმობის შესახებ. ეს ცნობა მარიას აგენტმა **მაქს აიზენბადმა** უარყო, სულ მალე კი შარაპოვამ თავის "ტვიტერზე" დაწერა, რომ სამი კვირის შემდეგ მზად იქნება კორტზე დასაბრუნებლად.

წინა კვირა კი შარაპოვამ სტოკჰოლმში გაატარა, სადაც დიმიტროვს გულშემატკივრობდა. ეს ტურნირი ბულგარელისთვის განსაკუთრებული იყო იმ მხრივ, რომ გრიგორი მას ახალი მწვრთნელის - ავსტრალიელი **როჯერ რაშიდის** ხელმძღვანელობით ატარებდა.

შვედეთში ბულგარელი მეშვიდე ნომრად იყო განთესილი და ძალიან დამაჯერებლად გააღწია ფინალში, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ძლიერი მეტოქეები არ შეხვედრია - **მარიუშ კოპილი, იან-ლენარდ შტრუფი, კენი დე სხეპერი** და **ბენუა პერი**. სამაგიეროდ, გადამწყვეტ მატჩში დიმიტროვს მსოფლიოს მესამე ჩოგანი **დავიდ ფერერი** ელოდა, რომელთანაც, მანამდე, სამიდან სამი დუელი ჰქონდა წაგებული.

გადამწყვეტ მატჩში ესპანელი მალე გავიდა წინ და პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა – 6:2, მაგრამ მეორე პარტიაში გვიანი ბრეიკით დიმიტროვმა გაათანაბრა ანგარიში. გადამწყვეტ სეტში ფერერს შეეძლო 4:2 დაწინაურდება, მაგრამ დიმიტროვმა გაძლო თავის გეიმზე, შემდეგში კი აილო მეტოქის მოწოდება, როცა დავიდმა ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. სულ მალე კი ბულგარელმა კარიერაში ATP-ის პირველი ტურნირის მოგება იზეიმა.

## ტრიუმფი 12 წლის მერე

გერმანელმა **ტომი ჰაასმა** თავისი მეორე ტიტული მოიპოვა სეზონში და მე-15 კარიერაში. 35 წლის ვეტერანმა ვენის ტურნირის ფინალში ჰოლანდიელი **რობინ ჰაასე** სამ სეტში დაამარცხა – 6:3, 4:6, 6:4. ამ მოგებით გერმანელი ლონდონში წლის შემაჯამებელ ტურნირში მოხვედრის მცირე შანსს ინარჩუნებს - "ჩემპიონთა რბოლაში" მერვე ადგილზე მყოფ **რიშარ გასკეს** 700 ქულით ჩამორჩება. სეზონის ორ დარჩენილ ტურნირზე კი 1500 ქულის გამომუშავება შეიძლება.

ავსტრიის დედაქალაქში ჰაასისთვის ტურნირი რთული გამოდგა: ოთხიდან სამ მატჩში მას ტაი-ბრეიკების თამაში მოუწია, ნახევარფინალსა და ფინალში კი შეხვედრები სამ სეტამდე გაიწელა.

ჰაასემ, რომელმაც ნახევარფინალში ბრძოლას გამოთიშა პირველ ნომრად განთესილი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, ფინალი უკეთ დაიწყო: ბრეიკით გავიდა წინ, თუმცა ჰაასმა მომდევნო შვიდი გეიმიდან ექვსი თავის სასარგებლოდ დაასრულა, მოიგო პირველი სეტი და მეორეში უპირატესობა მოიპოვა. მაგრამ ახლა უკვე ჰოლანდიელმა შეძლო დროული პასუხის გაცემა. სეტებს შორის ანგარიში გათანაბრდა. გადამწყვეტ სეტში ჰაასმა ისევ დაკარგა თავისი მოწოდება, მაგრამ შემდეგ ორი ბრეიკი გააკეთა და მატჩბოლზე მეტოქის შეცდომით წარმატება იზეიმა.

ჰაასმა ვენაში მეორედ გაიმარჯვა: პირველად მან აქ მთავარი პრიზი შორეულ 2001 წელს მოიგო.

## გასკე ლონდონს მიუახლოვდა

გასულ კვირას მესამე ტურნირს რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი მასპინძლობდა, სადაც პირველად ჩავიდა სათამაშოდ ფრანგი რიშარ გასკე. მას ეს მგზავრობა და მოსკოვში გამარჯვება ძალიან სჭირდებოდა ლონდონის საგზურისთვის ბრძოლაში.

27 წლის ფრანგმა ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ. როცა ვენაში პარალელურად მიმდინარ ტურნირზე ცონგამ ნახევარფინალი წააგო, ცხადი გახდა, რომ რუსეთის დედაქალაქში წარმატების შემთხვევაში, გასკე წლის შემაჯამებელ ტურნირამდე ორი კვირით ადრე "ჩემპიონთა რბოლაში" დროებით (ან საბოლოოდ) მერვე ადგილზე გადავიდოდა.

ფრანგმა მოსკოვის ტურნირი მეორე წრიდან დაიწყო, ფინალში მისმა მეტოქემ, ყაზახმა **მიხაილ კუკუშკინმა** კი კვალიფიკაცია გაიარა და ცხრა დღის განმავლობაში რვა მატჩი ჩაატარა, ფინალი უფრო აქტიურად სწორედ მან დაიწყო.

პირველ პარტიაში ყაზახმა მარჯვენიდან კარგი დარტყმებით თავისი თამაში მოახვია თავს გასკეს. მეორე სეტში რიშარმა გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ თამაშში გარდატეხა მოხდა. მესამე პარტიის მსვლელობისას, გასკეს ექიმის დახმარება დასჭირდა, მე-7 გეიმში კი კუკუშკინმა მორიგი ბრეიკი გააკეთა.

მიუხედავად ამისა, ფრანგმა გაძლო. ბოლოსკენ ყაზახს კლასი არ ეყო, შესაძლოა, ფიზიკური ძალაც. საბოლოოდ, ფავორიტმა მოიგო – 4:6, 6:4, 6:4 ორი საათი და 24 წუთის შემდეგ. ლამაზმა ფინალმა რიშარს წელს მესამე და კარიერაში მე-10 ტიტული მოუტანა.

# კაროლ ნავსი გატეხა

ქალებს გასულ კვირას ორი ტურნირი ჰქონდათ - ლუქსემბურგსა და მოსკოვში. დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ**, რომელმაც შარშან, ამ დროს, რუსეთის დედაქალაქში იმარჯვა, ამჯერად ლუქსემბურგში თამაში ამჯობინა. აქ სკანდინაველი პირველ ნომრად იყო განთესილი, მაგრამ ფინალამდე რთული გზის გავლა მოუწია. მაგალითად, მეოთხედფინალში სერბ **ბოიანა იოვანოვსკისთან** სამი სეტის თამაში დასჭირდა, ნახევარფინალში კი დიდი ბრძოლა ჰქონდა უიმბლდონის ნახევარფინალისტ **საბინ ლისიცკისთან**.

ფინალში კაროს არც ისე გამოცდილი მეტოქე ჰყავდა 19 წლის გერმანელი **ანდრეა ბეკის** სახით, რომელიც თავად დარჩა გაკვირვებული გადამწყვეტ მატჩში მოხვედრით. ეს მისი პირველი ფინალი იყო WTA-ის ტურნირებზე.

მაგრამ გერმანელმა ფინალში წინააღმდეგობა ვერ გაუწია დანიელს. მართალია, ბეკმა სამივე ბრეიკ-პოინტის გამოყენება შეძლო, მაგრამ, ამასთან, შვიდჯერ წააგო საკუთარი მოწოდება და 2:6, 2:6 დამარცხდა. 23 წლის ვოზნიაცკიმ 2013 წელს პირველი ტიტული მოიგო, კარიერაში კი 21-ე გამარჯვებას მიაღწია.

ტიტულის გარდა, კაროლინმა გაინაღდა სოფიაში "ჩემპიონთა ტურნირზე" თამაში, სადაც ის შარშან ფინალში გავიდა. გარდა ამისა, დანიელი პირველი სარეზერვო მოთამაშე იქნება წლის შემაჯამებელ ტურნირზე, რომელიც დღეს სტამბოლში იწყება.

რაც შეეხება მოსკოვის ტურნირს, აქ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი გმირი, რუმინელი **სიმონა ჰალეპი** და გამოცდილი ავსტრალიელი **სამანტა სტოსური**. ამ უკანასკნელს პირველ სეტში 11 ბრეიკ-პოინტის მოგერიება მოუწია და ტაი-ბრეიკამდე მიაღწია, თუმცა იქ მხოლოდ ერთი ქულა აილო. მეორე სეტში ჰალეპი უკეთ იყენებდა ბოძებულ შანსებს და უფრო იოლად მოიგო 6:2.



კაროლინ ვოზნიაცკი

22 წლის ჰალეპმა წელს (და მთლიანად კარიერაში) მეხუთე ტიტული მოიგო, თანაც ისე, რომ მოსკოვში ერთი სეტიც არ დაუთმო მეტოქეებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# მაკლარენში დიდი ამბებია



კევინ მაგნუსენი

**კევინ მაგნუსენი**, რომელიც გასულ უქმეებზე "რენოს" მსოფლიო სერიის ჩემპიონი გახდა, 2015 წელს, შესაძლოა, "მაკლარენში" **ფერნანდო ალონსოს** მეწყვილე გახდეს, - ასეთი ვარაუდი გამოთქვა დანიურმა გაზეთმა Ekstra Bladet-მა.

თუმცა ეს მოსაზრება მხოლოდ ჭორებს ეფუძნება, რომელსაც ესპანური პრესა ავრცელებს. იქაური ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ ალონსომ უკვე მოაწერა ხელი "მაკლარენთან" კონტრაქტს და იქ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდება. კევინ მაგნუსენი კი, როგორც იცით, "მაკლარენის" ახალგაზრდულ პროგრამაში შედის. მან ძალიან დამაჯერებლად მოიპოვა WSR-ის ტიტული და დაადასტურა თავისი ნიჭი და პროფესიონალიზმი.

როგორც Ekstra Bladet წერს, დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ახალგაზრდა დანიელის დებიუტი ფორმულა 1-ში გაისად "მარუსიას" რიგებში შედგება. "მაკლარენის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებს ამ რუსულ-ბრიტანულ გუნდთან, რომელთანაც ტექნიკური პარტნიორობა აკავშირებს და სურს მაგნუსენისთვის კონტრაქტი მოიპოვოს.

გამოდის საკმაოდ ლოგიკური სქემა, რომლის მიხედვითაც კევინს დებიუტი ექნება "მარუსიაში", მიიღებს საჭირო გამოცდილებას, რის შემდეგაც გადავა "მაკლარენში".

ერთი მხრივ, "ფერარის" ხელმძღვანელობა გამოთქვამს იმედს, რომ ალონსო კარიერას იტალიურ გუნდში დაასრულებს, მეორე მხრივ, ევროპულ პრესაში გაჩნდა ჭორები, რომ ფორმულა 1-დან, შესაძლოა, წავიდეს ისეთი მსხვილი სპონსორი, როგორიცაა ესპანური ბანკი "სანტანდერი", ეს კი გაზრდის ალონსოს "მაკლარენში" გადასვლის ალბათობას.

გარდა ამისა, "მაკლარენის" მიმართ ინტერესი 2015 წელს გარანტირებულად მაღალი იქნება, რადგან ერთი წლის შემდეგ, ბრიტანული გუნდი მიიღებს "ჰონდას" უახლეს ტურბოძრავებს. თანაც, ბრიტანულ საჯინიბოს არ მოუწევს ამ ძალისმიერი აგრეგატების სანაცვლოდ ფულის გადახდა, შესაბამისად, გუნდი წელიწადში დაახლოებით 20 მილიონ ევროს დაზოგავს და შეძლებს ეს თანხა მანქანის შექმნას მოახმაროს. "მაკლარენის" სერიოზულ მიზნებზე ისიც ლაპარაკობს, რომ ბრიტანელების რიგებში გადადის "რედ ბულის" ორი სპეციალისტი – **პიტერ პროდრომი** და მისი თანაშემწე.

ასევე შეგვიძლია მოვიშველიოთ გერმანული ტაბლოიდის "ბილდის" ახალი ნომერი, სადაც გაჩნდა წერილი ამავე თემაზე: "ჰონდა" დაბეჯითებით უწევს რეკომენდაციას ალონსოს "მაკლარენში" გადასვლას და მზად არის ესპანელის სავარაუდო ხელფასის – 25 მილიონი ევროს ნახევარის გადახდა თავის თავზე აიღოს.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ნაგება 41 სეივის მიუხედავად



ჯეკ კემპბელი

**სამი** მატჩით გაგრძელდა ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატი. ერთ-ერთ შეხვედრაში "ანაჰაიმ დაქსი" "დალას სტარზს" მასპინძლობდა და ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებას მიაღწია.

ეს შეხვედრა რამდენიმე მოვლენით იყო გამორჩეული. მაგალითად, "დალასის" კარს იცავდა 21 წლის მეკარე **ჯეკ კემპბელი**. ეს მისი პირველი სტარტი იყო მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში. კემპბელმა საერთო ჯამში 41 დარტყმა მოიგერია, მაგრამ ამან მის გუნდს ვერ უშველა.

ანგარიში 43 წლის ფინელმა **ტეემუ სელიანემ** გახსნა, რომელიც ზედიზედ სამი მატჩია უგოლოდ არ ტოვებს მოედანს, თუმცა პირველი პერიოდის დასრულებამდე "სტარზმა" სამი შაიბის გატანა მოასწრო და 3:1 დაწინაურდა.

"ანაჰაიმის" დამრიგებელმა **ბრიუს ბუდრომ** მეკარის შეცვლა გადაწყვიტა და **იონას ჰილერი** დებიუტანტი ფრედერიკ ანდერსენით შეცვალა. ამ ნაბიჯმა გაამართლა – ანდერსენმა მეორე და მესამე მეოთხედებში 24-დან 24 დარტყმა მოიგერია და სადებიუტო მატჩში "შატაუტი" შეასრულა.

"დაქსმა" მეორე პერიოდში **კორი პერის** დუბლით ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი **ემერსონ ეტემმა** რიცხობრივ უმცირესობაში მეორედ გაიყვანა წინ მასპინძლები. მესამე 20-წუთეულში "იხვებმა" კიდევ ორჯერ აილეს კემპბელის კარი და 6:3 მოიგეს.

ზედიზედ მეშვიდე გამარჯვების წყალობით, "ანაჰაიმმა" დასავლეთ კონფერენციაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა (14 ქულა რვა მატჩის შემდეგ), "დალასი" კი ამავე კონფერენციაში ბოლოსწინა ადგილზეა (6 ქულა რვა მატჩში).

ჯეკ კემპბელი "დალასის" რიგებში 2011 წლიდან ირიცხება. მან 2010 წელს, აშშ-ის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო, 2011 წელს კი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

**ანაჰაიმი–დალასი 6:3**

1:3, 3:0, 2:0

**გოლები:** 1:0 სელიანე-3 (გეტცლაფი-4, ვატანენი-2), 1:1 გარბუტი-1 (ფიდლერი-2), 1:2 დილონი-2 (ნიჩუშკინი-1, ჰორკოფი-1), 1:3 ჰორკოფი-1 (ე. კოული-2, ჯეიმი ბენი-8), 2:3 პერი-4 (გეტცლაფი-5, ვინიკი-3), 3:3 პერი-5 (ფაულერი-2, გეტცლაფი-6), 4:3 ეტემი-1 (კოლიანო-3, ალენი-3), 5:3 გეტცლაფი-3 (პერი-4, პალმიერი-1), 6:3 მ. პერო-3 (ეტემი-1, ფაულერი-3).

**კოლამბუსი–ვანკუვერი 3:1**

1:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 გაბორიკი-3 (ანისიმოვი-2, ვიშნიევსკი-4), 1:1 ჰ. სედინი-2 (გარისონი-7, კესლერი-1), 2:1 უმბერგერი-1 (რ. იოჰანსონი-3, პრაუტი-1), 3:1 რ. იოჰანსონი-2 (უმბერგერი-3).

**ვინიპეგი–ნეშვილი 1:3**

0:0, 0:3, 1:0

**გოლები:** 0:1 ნისტრიომი-2, 0:2 ჰორნკვისტი-3, 0:3 კულენი-2 (კ. სმიტი-5, კ. უილსონი-4), 1:3 ე. კეინი-5 (ო. იოკინენი-3, სეტოგუჩი-2).

ცურვა

# ფელპსმა ვარჯიში დაიწყო



მაიკლ ფელპსი

**ლეგენდარული** ამერიკელი მოცურავის, 18-გზის ოლიმპიური ჩემპიონის **მაიკლ ფელპსის** მწვრთნელმა **ბობ ბოუმენმა** დაადასტურა, რომ უდიდესი სპორტსმენი მისი ჯგუფის ვარჯიშებს ესწრება. და ეს იმის მიუხედავად, რომ მაიკლმა ლონდონის თამაშების შემდეგ დაასრულა კარიერა, - იტყობინება სააგენტო AP.

ბოუმენის თქმით, მაიკლი რეგულარულად ესწრება ვარჯიშებს სპორტული ფორმის ალსადგენად. შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ გაჩნდა ჭორები იმასთან დაკავშირებით, რომ ფელპსმა კარიერის დასრულების შესახებ განცხადებების მიუხედავად, შესაძლოა, განაახლოს კარიერა 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს თამაშებისთვის. თავად ფელპსი, რომელიც ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ გოლფით არის გატაცებული, არც ადასტურებს და არც უარყოფს ამ ცნობებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 17** | |
| ხორვატია-პანამა | 1:0 |
| უზბეკეთი-მაროკო | 0:0 |
| ტუნისი-რუსეთი | 1:0 |
| იაპონია-ვენესუელა | 3:1 |
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 17** | |
| იტალია-ლიტვა | 0:0 |
| **ინგლისი** | |
| კრ. პალასი-ფულჰემი | 1:4 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| სიენა-პალერმო | 2:3 |
| **სერია C1/A** | |
| რეჯანა-ალბინოლეფე | 2:3 |
| **ესპანეთი** | |
| სელტა-ლევანტე | 0:1 |
| ბილბაო-ვილიარეალი | 2:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კიოლნი-მიუნხენი | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| ბრესტი-მეცი | 0:3 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვენლო-აიაქსი II | 5:1 |
| **დანია** | |
| სონდერიისკი-ოდენსე | 1:5 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სტაბეკი-ელვერუმი | 3:3 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ნორჩოპინგი | 1:0 |
| კალმარი-იურგორდენი | 1:2 |
| ჰალმსტადი-მიალბიუ | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრაგე-იონჩოპინგსი | 1:2 |
| ლანდსკრონა-გაისი | 2:3 |
| იორგრიტე-ერებრო | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰორნი-ავსტრია (ლ) | 0:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბილი-ვილი | 0:2 |
| **საბერძნეთი** | |
| იანინა-პანიონიოსი | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-რიზე | 0:0 |
| ბურსა-კაისერი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| მერსინი-დენიზლი | 0:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-ტეპლიცე | 3:2 |
| **რუსეთი** | |
| ლოკომოტივი-ამკარი | 4:0 |
| **პოლონეთი** | |
| რუხი-პოგონი | 1:1 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| შლიონსკი-იაგელონია | 0:1 |
| **რუმინეთი** | |
| კონკორდია-ბრაშოვი | 1:0 |
| უნივერსიტატ.-პოლი ტიმიშოარა | 1:2 |
| **ლატვია** | |
| დაუგავა-ილუკსტესი | 7:1 |
| **ისრაელი** | |
| ბეითარი-ჰაპოელი (თ-ა) | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკ.-პანელეფსინიაკ. | 74:35 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ორლეანი | 79:82 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-ავანგარდი | 2:5 |
| ადმირალი-ბარისი | 1:3 |
| მეტალურგი (ნ)-იუგრა | 2:1 |
| სიბირი-ავტომობილისტი | 3:4 (ბ) |
| აკ ბარსი-სპარტაკი | 2:0 |
| ვიტიაზი-ზაგრები | 1:0 |
| ტორპედო-დინამო (მნ) | 3:0 |
| დინამო (მ)-დონბასი | 1:2 |
| ლევი-დინამო (რ) | 2:1 (ბ) |
| სლოვანი-ცსკა | 2:3 |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-ორებრო | 3:2 (ო) |
| ჰვ 71-შელეფტეო | 1:5 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბაზელი** | |
| ხიმენო ტრავერი-კუბოტი | 6:7, 2:6 |
| ჰანესკუ-კამკე | 4:6, 4:6 |
| მანარინო-ფედერერი | 4:6, 2:6 |
| დოლგოპოლოვი-დე სხეპერი | 6:4, 6:4 |
| **ATP. ვალენსია** | |
| მონტანიესი-ტურსუნოვი | 4:6, 1:6 |
| ანდერსონი-ბ. აგუტი | 6:3, 6:7, 3:6 |
| კლიჟანი-ფონინი | 5:7, 6:3, 0:6 |

TV პროგრამა

**22 ოქტომბერი. შაბათი**

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მილანი-ბარსელონა (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. ჰამბურგი-შტუტგარტი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. X ტური. გრონინგენი-ეინდჰოვენი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. XII ტური. რივერი-ბელგრანო.
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
22:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მარსელი-ნაპოლი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. გოდოი-ბოკა ხუნიორსი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. ჩემპიონის გზა. მაიამი-სან ანტონიო.
15:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 2012-13 წლების სეზონი. ედინბურგი-რასინგი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
19:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 კალათბურთი. NBA. ჩემპიონის გზა. მაიამი-სან ანტონიო.
22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. შალკე-ჩელსი (LIVE).
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ბაზელი. შვეიცარია.
13:10 სპორტ-NEWS.
14:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
16:50 სპორტ-NEWS.
19:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მარსელი-ნაპოლი (LIVE).

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 19 | (მზე) |
| ქუთაისი | 9 | 21 | (მზე) |
| ბათუმი | 10 | 19 | (მზე) |
| ფოთი | 10 | 20 | (მზე) |
| ზუგდიდი | 5 | 17 | (მზე) |
| გორი | 4 | 18 | (მზე) |
| თელავი | 8 | 19 | (მზე) |
| სიღნაღი | 7 | 17 | (მზე) |
| ბაკურიანი | -3 | 14 | (მზე) |
| ბორჯომი | 2 | 18 | (მზე) |
| მესტია | 1 | 9 | (მზე) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2753 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6636 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6895 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2148 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ფედერერი: ტრავმით არ უნდა მეთამაშა

ლეგენდარულმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფედერერმა** განაცხადა, რომ არ უნდა გასულიყო ტრავმით მოედანზე ამა წლის მარტსა და ივლისში.

"დიდი სლემის" ტურნირების 17-გზის ჩემპიონს ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა მარტსა და ივლისში, მაგრამ არ თქვა უარი ინდიან უელსის, ჰამბურგისა და გშტაადის ტურნირებში თამაშზე.

*"ახლა, როცა უკან ვიყურები, შემიძლია ვთქვა, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა. შეცდომა დავუშვი"*, - განაცხადა ფედერერმა Tennis.com-თან კომენტარში.

32 წლის შვეიცარიელმა ასევე აღნიშნა, რომ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მზად არის იმისთვის, რომ სეზონის დარჩენილ სამ ტურნირზე ჩაატაროს 15 შესაძლო შეხვედრა. ამ ტურნირებს ბაზელი, პარიზი და ლონდონი უმასპინძლებენ.

კითხვაზე, შეძლებს თუ არა 2011 წლის შედეგის გამეორებას და ამ სამი ტურნირის მოგებას, ფედერერმა უპასუხა, რომ არ იცის, რამდენად მაღალია ამისთვის მისი ამჟამინდელი სათამაშო დონე.

■ ■ ■

ამასობაში, ATP-მ გამოაქვეყნა განახლებული რეიტინგი, რომლის მიხედვითაც როჯერ ფედერერმა ერთი საფეხურით მაღლა ასვლა შეძლო. მან ადგილი გაუცვალა ჩეხ **ტომაშ ბერდიხს** და მეექვსე პოზიციაზე იმყოფება.

ტოპ-ათეულში წინ წაიწია კიდევ ერთმა შვეიცარიელმა **სტანისლას ვავრინკამ**. მან ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** გაუსწრო და მერვე ჩოგანი გახდა. ლიდერებს შორის სხვა ცვლილება არ მომხდარა.

**TOP10**

| | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 11 520 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 11 120 |
| 3(3). დავიდ ფერერი (ესპ) | 6 800 |
| 4(4). ენდი მარეი (ბრიტ) | 6 295 |
| 5(5). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 5 365 |
| 6(7). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 4 245 |
| 7(6). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 4 180 |
| 8(9). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 3 240 |
| 9(8). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 235 |
| 10(10). რიშარ გასკე (საფ) | 3 220 |



როჯერ ფედერერი

# პეტროვა ასეულიდან გააგდეს



ნადეჟდა პეტროვა

ორშაბათს ასევე გამოქვეყნდა ქალთა ახალი რეიტინგი. აქაც ტოპ-ათეულში ორი ცვლილება მოხდა. კერძოდ, ჩეხმა **პეტრა კვიტოვამ** გაუსწრო იტალიელ **სარა ერანის** და მეექვსე პოზიციაზე აღმოჩნდა, აპენინელმა კი ერთი საფეხურით უკან დაიწია. ლუქსემბურგის ტურნირის მოგების მიუხედავად, ერთი ადგილით ქვემოთ ჩამოვიდა დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**. ის ახლა მეათე ნომერია, მეცხრეზე კი გადავიდა გერმანელი **ანჟელიკ კერბერი**.

ახალ რეიტინგში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო რუსი **ნადეჟდა პეტროვას** გავარდნა WTA-ის ტოპ-ასეულიდან, რომელშიც ეს ჩოგბურთელი 1999 წლიდან იმყოფებოდა. წინა კვირის დასაწყისში პეტროვა 59-ე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ 376 სარეიტინგო ქულა დაკარგა და ახლა, 105 ადგილზე იმყოფება.

**TOP10**

| | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 12 040 |
| 2(2). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 7 676 |
| 3(3). მარია შარაპოვა (რუს) | 5 891 |
| 4(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 5 890 |
| 5(5). ნა ლი (ჩინ) | 5 120 |
| 6(7). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4 370 |
| 7(6). სარა ერანი (იტა) | 4 190 |
| 8(8). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3 860 |
| 9(10). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 3 715 |
| 10(9). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 520 |

კალათბურთი



ჯეისონ ტერი

# ბოსტონში სტუმრობის წინ

**ჯეისონ ტერი**, რომელმაც ზაფხულში მარცხენა მუხლზე ოპერაცია გადაიტანა, მზად არის მოედანზე დასაბრუნებლად. საინტერესოა, რომ "ბრუკლინის" ახალწვეული ისევ გამოჩნდება პარკეტზე თავის ყოფილ კლუბთან "ბოსტონ სელტიქსთან" საწვრთნელ მატჩში.

*"ძალიან კარგია, რომ ისევ შემიძლია მატჩებში მონაწილეობა, - გახარებულია ვეტერანი მცველი. – აღდგენა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, ასე რომ, ჩემს დაბრუნებას წინ არაფერი უდგას".*

"ნეტსის" დამრიგებელი **ჯეისონ კიდიც** ასევე ოპტიმიზმით უცქერს თავისი შეგირდის მონდომებას. *"ის შესანიშნავად გამოიყურება. ჯეტს შესანიშნავად ესმის თამაში, იცის ქულების დაგროვება და ბევრი შავი სამუშაოს შესრულება. გარდა ამისა, ის ვერ იტანს წაგებას და ეს კარგი თვისებაა".*

"ბრუკლინის" მოსალოდნელი სტუმრობა ბოსტონში მართლაც დიდი ინტერესს იწვევს, თუმცა ტერისგან განსხვავებით, "კელტების" წინააღმდეგ არ ითამაშებენ მისი ყოფილი წევრები – **კევინ გარნეტი** და **პოლ პირსი**. ეს ინფორმაცია კიდმა დაადასტურა და დაამატა, რომ ბოლო საწვრთნელ შეხვედრაში "მაიამის" წინააღმდეგ ამ კალათბურთელებს მოედანზე ვიხილავთ.

პირსმა დაადასტურა, რომ გუნდთან ერთად მასაჩუსეტსში მგზავრობის დიდი სურვილი არ აქვს. *"თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, მირჩევნია ბოსტონში ერთხელ ჩავიდე სათამაშოდ – რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას"*. ფორვარდმა 15 წელი ითამაშა "ბოსტონში" და მიაჩნია, რომ "მწვანეების" საშინაო არენაზე დაბრუნებისას ცრემლს ვერ შეიკავებს.

გამოდის, რომ ბრუკლინელი პირსის პირველი რანდევუ მშობლიურ კლუბთან არაუგვიანეს 26 იანვარს შედგება.

# ლებრონის ოცნება

ორი დღის წინ "მაიამის" ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა ონლაინ-კონფერენცია გამართა თავის გულშემატკივრებთან. იქ მან განაცხადა, რომ ნანობს **მაიკ მილერის** დაკარგვის გამო, მოსწონს **მაიკლ ბიზლი**, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფორვარდმა აღიარა – სურს თუნდაც ერთ მატჩში მაინც ითამაშოს ფეხბურთის ეროვნულ ლიგაში. შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონის საუკეთესო კალათბურთელი სკოლის პერიოდში სწორედ ამერიკული ფეხბურთით იყო გატაცებული.

შესაძლებელია თუ არა ამ ოცნების ასრულება? ერთის მხრივ, NFL-ის ლიგის გუნდი სეზონში მხოლოდ 16 შეხვედრას ატარებს. შესაბამისად, პასუხისმგებლობა ცალკეულ თამაშზე გაცილებით მაღალია, ვიდრე NBA-ში. მეორეს მხრივ, რამდენიმე ვარიანტი მაინც არსებობს. მაგალითად, მოედანზე წინასასეზონო მატჩში გასვლა, ან აუთსაიდერის რიგებში თამაში, როცა სატურნირო თვალსაზრისით შეხვედრის შედეგი არაფერს წყვეტს. სხვა თუ არაფერი, ეს კარგი რეკლამა იქნებოდა თავად ამერიკული ფეხბურთის ლიგისთვის.



ლებრონ ჯეიმსი

# კარმელო ნიქსს არ დატოვებს

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ "ნიუ იორკ ნიქსის" ლიდერმა კარმელო ენტონიმ მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტების ბაზარზე გასვლა გადაწყვიტა. თუმცა სულ მალე მელომ განაცხადა, რომ არ სურს "ნიუ იორკის" დატოვება. ეს არც არის გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ენტონის "ნიქსში" ყველაფერი, რაც მას სჭირდება: სრული კარტ-ბლანში მოედანზე, უდიდესი ქალაქი დიდი შესაძლებლობებით და გუნდის ბაზა, რომელიც მის სახლთან ახლოს მდებარეობს.

"ნიუ იორკის" მთავარი მწვრთნელი მაიკ ვუდსონი დარწმუნებულია იმაში, რომ კარმელო "ნიქსიდან" არ გაიქცევა. იგივე აზრს გამოთქვამს ყოფილი კალათბურთელი და ამჟამად ჟურნალისტად მომუშავე ჯალენ როუზი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



კარმელო ენტონი

NBA
საკონტროლო მატჩები

**ატლანტა–მემფისი 82:90**

14:28, 26:25, 28:17, 14:20

ა: მილსეპი (19+8 მოხსნა+3 დაფარება), ტიგი (15+5 პასი).

მ: ბეილესი (22), დევისი (14+8 მოხსნა), გასოლი (10), ფრანკლინი (10+6 მოხსნა).

**ორლანდო–დეტროიტი 87:86**

19:27, 24:9, 29:18, 15:32

ო: მური (14), ჰარისი (13), ო'ქუინი (12+9 მოხსნა+4 დაფარება), ჰარკლესი (11), ნიკოლსონი (10+3 დაფარება), ოლადიპო (8+6 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა.

დ: მონრო (19), დრამონდი (14+15 მოხსნა), სმიტი (13+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), სილვა (12+7 პასი), კალდუელ-პოუპი (11).

**მინესოტა–ბოსტონი 104:89**

31:27, 26:24, 24:21, 23:17

მ: ლავი (22+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), მარტინი (21+5 მოხსნა), რუბიო (15+7 პასი), პეკოვიჩი (12+7 მოხსნა)

ბ: ულასი (16), გრინი (12), ბრედლი (11+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბასი (10+8 მოხსნა).

**ოკლაჰომა–იუტა 88:82**

23:14, 26:26, 28:22, 11:20

ო: ჯექსონი (18+6 პასი), იბაკა (17+8 მოხსნა+4 დაფარება), სეფოლოშა (14+5 მოხსნა), ლემბი (12), კოლისონი (11+5 მოხსნა), ს. ადამსი (6+10 მოხსნა).

ი: გ. ჰეივორდი (18), კანტერი (15+7 მოხსნა), ბერქსი (10).

**პორტლენდი–საკრამენტო 109:105**

30:19, 23:25, 24:28, 32:33

პ: ლილარდი (28), მო უილიამსი (17+5 მოხსნა+5 პასი), ბატუმი (14+11 მოხსნა+5 პასი), რობინსონი (14+8 მოხსნა), ლოპესი (14+7 მოხსნა).

ს: პატერსონი (27+8 მოხსნა), მაკლემორი (23), ტომასი (15+10 პასი), ტორნტონი (10), ჰეისი (6+11 მოხსნა).

ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608